საქართველოში ოჯახში ძალადობის შედეგად ქალის მკვლელობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა ის შემთხვევა, როცა ქალი მიდის მოძალადე მამაკაცისგან და კატეგორიულ უარს ეუბნება მას შერიგებაზე, რის გამოც ყოფილი მეუღლე კლავს მას.

შესაძლებელია თუ არა ასეთი შემთხვევა შევაფასოთ **არა თუ ფემიციდად, არამედ** თუნდაც გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულად? სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ შეიძლება დავეთანხმოთ გავრცელებულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ეს ქალი მოკლეს იმიტომ, რომ იგი ქალი იყო.

ამგვარი მოსაზრების გაზიარება არ იქნება გამართლებული რადგან:

ა) ყოფილი მეუღლის მიერ ჩადენილი მკვლელობის მოტივი ამ დროს არაა ქალის სქესისადმი სიძულვილი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მკვლელობის გადაწყვეტილება დანაშაულის სუბიექტს არა აქვს მიღებული იქიდან გამომდინარე, რომ მსხვერპლი ქალია. პირიქით, მას დიდი სურვილი აქვს იმისა, რომ ამ ქალთან გააგრძელოს ოჯახური ურთიერთობა. **სხვა საკითხია**, რომ დამნაშავეს მისი პიროვნული, მენტალური, ფსიქიკური თუ სხვა პრობლემის გამო არ შეუძლია პატივი სცეს ოჯახის წევრებს და მათ შორის მეუღლეს, მოიქცეს ოჯახში ღირსეულად, რაც თავისთავად არის ოჯახში კონფლიქტის და მეუღლეთა დაშორების საფუძველი;

ბ) **მაშ რაა ჩადენილი დანაშაულის მოტივი?** ჩადენილი დანაშაულის მოტივია არა გენდერული ნიშანი, არამედ შურისძიება იმის გამო, რომ იგი ცოლმა მიატოვა და უარს ეუბნება შერიგებაზე. ამდენად, პირი ვერ ეგუება იმას, რომ დაენგრა ოჯახი.

შესაბამისად, ასეთი მკვლელობა **არათუ ფემიციდად, არამედ** დამამძიმებელ გარემოებაში, გენდერის ნიშნით ჩადენილ მკვლელობადაც არ უნდა დაკვალიფიცირდეს (სსკ 109-ე მ. მე-2 ნაწ.). ეს დამამძიმებელი გარემოება სსკ 109-ე მუხლს სულ ახლახანს დაემატა (2018 წ. 30 ნოემბერს).<sup>2</sup>

**ოპონენტი გვკითხავს:** თუკი ამ მკვლელობის მოტივია შურისძიება და არა მსხვერპლის გენდერული კუთვნილება, მაშინ პირუკუ შემთხვევებში (ანუ როცა ქმარი ტოვებს ცოლს და უარს ეუბნება მას შერიგებაზე), რატომ ქალებიც არ სჩადიან მკვლელობას? ნუთუ მათ არ უჩნდებათ შურისძიების მოტივი ყოფილი ქმრის (ან პარტნიორის) მიმართ?

<sup>1</sup> იხ. მ. მესხი, ფემიციდი - საკანონმდებლო რეგულაციის გამოცდილება და გამოწვევები, ჟურნ.

„სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №2, თბ. 2017, გვ. 17.

<sup>2</sup> იხ. ნ. თოდუა, წიგნში: სისხლის სამართალი, კერძო ნაწილი, წიგნი პირველი, გვ. 60-62; 99.

**სწორედ აქ უნდა ითქვას ის მთავარი მიზეზი**, რის გამოც მეუღლეებს შორის ურთიერთობის დაძაბვისას უმეტესად ქალები ხდებიან უჯახური ძალადობის მსხვერპლნი.

საქმე ისაა, რომ შურისძიების მოტივი შეიძლება გაუჩნდეს როგორც მიტოვებულ მამაკაცს, ისე ქალს; როგორც მოლაღატე მეუღლისგან შეურაცხყოფილ მამაკაცს, ისე ქალს, მაგრამ განსხვავებით მამაკაცისაგან, ქალი ამ მოტივის დასაკმაყოფილებლად როგორც წესი, არ მიმართავს ძალდობას. მით უმეტეს, მისი ისეთი უკიდურესი გამოვლინებით, როგორცაა მკვლელობა.

**ქალის ბუნება ამ თვალსაზრისით** რომ აშკარად განსხვავდება მამაკაცის ბუნებისაგან, ამის დადასტურება არაა რთული:

--მამაკაცები ერთმანეთთან კონფლიქტის შემთხვევაშიც ხშირად მიმართავენ ძალადობით დანაშაულს, მათ შორის მკვლელობას. ისინი ხშირად ე.წ. „გადაბრუნებულ“ სიტყვასაც არ პატიობენ ერთმანეთს და ამ ნიადაგზე არც თუ იშვიათად სჩადიან ჯგუფურ და განსაკუთრებული სისასტიკით განხორციელებულ მკვლელობას;

--ქალების აგრესია ერთმანეთის მიმართ კი გამოიხატება გაცილებით მსუბუქ ფორმებში - სიტყვიერ შეურაცხყოფაში ან მაქსიმუმ ერთმანეთის თმებით თრევაში;

--მსოფლიოში ძალადობით დანაშაულთა აბსოლუტური უმრავლესობის ავტორები მამაკაცები არიან;

--მსოფლიო ისტორიაში ომების ავტორები მამაკაცები არიან;

-- მსოფლიო ტერორიზმის ავტორებიც მამაკაცები არიან;

--ტრეფიკინგის, ნარკობიზნესის, პორნობიზნესის, იარაღით ვაჭრობის ავტორები მამაკაცები არიან;

-- ე.წ. „სერიულ მკვლელთა“ სუბიექტები მამაკაცები არიან;

-- პროფესიონალ მკვლელთა („ქილერთა“) სუბიექტები მამაკაცები არიან;

-- ქალაქის დაუცველ ქუჩებში ღამით ფეხით სიარულთან დაკავშირებული საფრთხის ავტორები მამაკაცები არიან ;

-- „ოჯახის ტირანის“ სუბიექტები მამაკაცები არიან და ა.შ.

ამ ჩამონათვალის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება.

შესაბამისად, ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებულ დანაშაულში **პრობლემა უნდა ვეძიოთ არა გენდერული ნიშნით წარმოშობილ მოტივში**, არამედ სულ სხვა რამეში. **კერძოდ, საკვლევია იმის მიზეზი**, თუ რატომ იქცევიან მამაკაცები აგრესიულად საერთად და მით უმეტეს, ოჯახში? რატომ იგულისხმება ე.წ. „ოჯახის ტირანში“ მამაკაცი და არა ქალი, რის გამოც ოჯახის წევრები უარს ამბობენ მათთან ცხოვრებაზე.

**თუკი ამგვარი აგრესიის პროვოცირებას** თავისი შეუფერებელი ქცევით იწვევს თავად მსხვერპლი (მაგალითად, ცოლი), რის გამოც მას ხშირად წინასწორობიდან გამოჰყავს ქმარი, **მაშინ რატომ ხდება ისე**, რომ ქმარს კატეგორიულად არ სურს მასთან განქორწინება? უფრო

მეტიც მზადაა მკვლევლობაც კი ჩაიდინოს, თუ დარწმუნდა, რომ ცოლი გაქცევას აპირებს ან არ ურიგდება?

საქმე ისაა, რომ ცოლის მიმართ ძალადობის მიზეზი არაა ცოლის შეუფერებელი ქცევა და ეს კარგად იციან მოძალადე ქმრებმა. მათ მიერ განხორციელებული ძალადობის პრობლემა თავად მათშია. ამიტომაც მათ არ სურთ ცოლთან დაშორება.

მართლაც, რას მიიღებს მასთან დაშორებით მოძალადე ქმარი გარდა ოჯახის დანგრევისა? მან კარგად უწყის, რომ სხვა ქალზე დაქორწინება მის ოჯახში ძალადობის პრობლემას ვერ გადაჭრის, რადგან იგი ახალ მეუღლესთანაც იგივეს გააგრძელებს.

**ოჯახში ქალის მიმართ ძალადობის საფუძველი გენდერული მოტივი რომ იყოს**, მაშინ მამაკაცები ასეთ აგრესიას არა მხოლოდ ცოლების, არამედ საკუთარი დედების ან ქალიშვილების მიმართაც გამოხატავენ - ისინიც ხომ ქალები არიან? თუმცა ფაქტია, რომ ოჯახის ტირანი მამაკაცები ასეთ აგრესიას არა მარტო ცოლების, არამედ არასრულწლოვანი შვილების მიმართაც გამოხატავენ მიუხედავად მათი გენდერული კუთვნილებისა. არის შემთხვევა, როცა ისინი ძალადობას მიმართავენ თავიანთი მუხუცი მამების მიმართაც.

**მართალია, ცოლების მიმართ ძალადობის შემთხვევი გაცილებით მეტია**, მაგრამ ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ ადამიანის პირადი ცხოვრება (რომელიც საერთოდ მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი მხარეა) მეტადაა დაკავშირებული ცოლ-ქმრულ ურთიერთობასთან, ვიდრე მშობლებისა და შვილების, ან დებისა და ძმების ურთიერთობასთან.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ მამაკაცთა მიერ ოჯახური ძალადობისას ქალების მკვლევლობის **დომინანტი მოტივი არაა ქალის გენდერული კუთვნილება**. გენდერული კუთვნილება ხშირად **შეიძლება იყოს ერთ-ერთი ხელშემწყობი მკვლევლობის მოტივის** (მაგალითად, შურისძიების მოტივის) ჩამოყალიბებისას. ანუ მან შეიძლება გარკვეული როლი ითამაშოს **მოტივაციის პროცესში**.

საქმე ისაა, რომ ოჯახი არის ის ადგილი, სადაც მეტი სიმძაფრით და უფრო ნათლად ვლინდება ადამიანის ხასიათის ყველა ნიუანსი. სხვაგვარ ურთიერთობებში ადამიანები უფრო მეტად ახერხებენ, დამალონ თავიანთი პიროვნული მანკიერი მხარეები. მათ საამისო მოტივიც მეტი აქვთ - თუ საზოგადოებაში ან სამსახურში არ მოიქცევი კორექტურულად, პრობლემას სხვას კი არა, საკუთარ თავს შეუქმნი - შენ კი არ მოიპოვებ გაბატონებულ მდგომარეობას, არამედ შენ გაირიყები და არა ისინი. უფრო მეტიც, დიდი ალბათობით დაკარგავ სამსახურს.

ოჯახში კი, სადაც ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ მისი წევრები, მეტი შესაძლებლობა არსებობს იმისათვის, რომ პირმა დაიკმაყოფილოს თავისი პირადი და მათ შორის არაჯანსაღი ამბიციაც, ასევე განიტვირთოს აგრესიისაგან - „გამოუშვას ორთქლი“. ხოლო თუკი ამის გამო ოჯახის წევრები მისგან განცალკევებით ცხოვრებას შეეცდებიან, არ მისცემს მათ ამის საშუალებას - იგი ხომ **ოჯახის მეთაურია**.

აქ თავს იჩენს **მეორე პრობლემა** - სამწუხაროდ, არასწორი აღზრდის გამო ხშირად მამაკაცებს ჰგონიათ, რომ ოჯახის მეთაურობა ნიშნავს მათ ძალადობის უფლებას ოჯახის წევრებზე. არ



ესმით ის, რომ მეთაურობა გაიგივებულია მეტ პასუხისმგებლობასთან ოჯახისადმი ზრუნვის თვალსაზრისით და რა ძალადობის უფლებასთან.

**კერძოდ, უპირატესად მამაკაცის მოვალეობაა,** ოჯახის უზრუნველყოფა როგორც მატერიალური, ისე უსაფრთხოების თვალსაზრისით. ესაა ოჯახის მეთაურის ფუნქცია და არა ძალადობა ოჯახში.

ამდენად, ოჯახში ძალადობის მიზეზთან დაკავშირებით **არსებული თეორიები** (ოჯახის მატერიალური სიდუხჭირე, ქალის მატერიალურად დაქვემდებარებული მდგომარეობა ქმრისადმი და ა.შ.) არაფერს ამბობს ოჯახში ძალადობის მთავარ მიზეზზე - მამაკაცებში ჩაბუდებულ აგრესიაზე.

არადა, სწორედ ეს საკითხია საკვლევი:

**რა არის ამის მიზეზი?** იგი დაკავშირებულია მამაკაცის ბიოლოგიურ ან ფსიქიკურ თავისებურებასთან, მამაკაცების არასწორი აღზრდის საკითხთან, მათ მენტალობასთან, ხშირ შემთხვევაში მათში დაბუდებულ არასრულფასოვნების კომპლექსთან, თუ კუმულაციურად ყველაფერ ამასთან?

**ასევე საკვლევია** საკითხის რელიგიური ასპექტი (რელიგიური აღზრდის დეფიციტი და აქედან გამომდინარე, „ევას კომპლექსი“).

შესაბამისად, საკითხის კვლევა უნდა მოხდეს კომპლექსურად და მასში უნდა ჩაერთონ ზემოთ ხსენებული ყველა სფეროს წარმომადგენლები.

**არ მინდა ისე გამოვიდეს,** თითქოს მსურს, საზოგადოება დავეო ორ ნაწილად: **ერთ მხარეს** დავაყენო აგრესორი მამაკაცები, ხოლო **მეორე მხარეს** მათი აგრესიის მსხვერპლი ქალები. თუმცა თუკი ზემოთ დასმული პრობლემა ამ მიმართებით არ იქნება გამოკვლეული და შესაბამისი ნაბიჯები გადადგმული, ოჯახში ძალადობის პრობლემა პრობლემად დარჩება.

რაც არ უნდა ვმალოთ პრობლემის ეს მხარე, იგი ვერ დაიმალება.

**აქედან გამომდინარე, გაუმართლებლად მიმაჩნია** იმის მცდელობა, რომ სისხლის სამართლის კოდექსში შემოვიღოთ მკვლელობის ახალი სახე - ფემიციდი. იგი ვერ უპასუხებს ქალთა ნიშნით ჩადენილი მკვლელობის არსს.

მამაკაცების მიერ ქალთა მიმართ ჩადენილი ოჯახური ძალადობის მიზეზი უნდა ვეძებოთ არა მამაკაცის მიერ ქალის სქესისადმი სიმულვილის და ამ სქესის რაოდენობრივი შემცირების სურვილში, არამედ ზოგადად ძალადობისკენ მათი მიდრეკილების პრობლემაში.

სწორედ ეს საკითხია კომპლექსურად შესასწავლი.

არასრულწლოვანი კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში

თამარ ზარანდია, ასოცირებული პროფესორი

მოხსენებაში ხაზგასმული იყო შემდეგი ძირითადი თეზისები:

- მშობელი, როგორც არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი

მშობლები არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები არიან და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში.

- ბავშვის აღზრდის მეთოდები

ბავშვი დაცული უნდა იყოს ყოველგვარი ძალადობისგან, განურჩევლად იმისა, როგორ ამართლებენ ძალადობას ზრდასრული ადამიანები (გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია).

- ნაადრევი ქორწინება და მასთან დაკავშირებული პრობლემები

სტატისტიკურად, საქართველო აღმოსავლეთ ევროპაში მეორე ადგილზეა გოგონების ნაადრევი ქორწინებებით. მას მოსდევს თურქეთი და ტაჯიკეთი;

- არასრულწლოვანი პირების გარიგებაუნარიანობა

თუ არასრულწლოვანი დებს ორმხრივ გარიგებას (ხელშეკრულებას) კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე, მაშინ ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, შემდგომში მისი წარმომადგენელი.

კანონმდებლის მიზანი არასრულწლოვნის დაცვა იმ მოსალოდნელი უარყოფითი შედეგებისაგან, რომლებიც მის მიერ ხელშეკრულების დადებას შეიძლება მოჰყვეს. ამ თვალსაზრისით მუხლი განამტკიცებს პრინციპს, რომლის თანახმად არასრულწლოვნის მიერ ისეთი ხელშეკრულების დადება, რომლითაც ის სამართლებრივ სარგებელს არ იღებს, მოითხოვს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობას.

- მცირეწლოვანი - არასრულწლოვანი

მცირეწლოვანი - 7 წლამდე; არასრულწლოვანი - 7-დან 18 წლამდე;

არასრულწლოვანს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღონ სამოქალაქო ბრუნვაში, მაგრამ მისი მონაწილეობა შეზღუდულია მხოლოდ სარგებლის მომტანი ან ნეიტრალური ხელშეკრულებების დადების შესაძლებლობით;

ყველა სხვა შემთხვევაში აუცილებელია კანონიერი წარმომადგენლების თანხმობა.

- სარგებლის მქონე გარიგებები

არასრულწლოვანისათვის სამართლებრივად წამგებიანად მიიჩნევა გარიგება, თუკი მისგან გამომდინარე არასრულწლოვანს რაიმე ვალდებულება ეკისრება. მაგალითად, ორმხრივი სასყიდლიანი ხელშეკრულებები.

სამართლებრივად სარგებლის მომტანად მიიჩნევა ისეთი გარიგებები, რომლებიც არასრულწლოვნის სამართლებრივ მდგომარეობას მხოლოდ აუმჯობესებენ, მაგალითად, უფლების შექმნა, საკუთრების შექმნა, ჩუქება და ა.შ.

- არასრულწლოვანის მიერ მემკვიდრეობით მიღებული ქონება
- „ჯიბის ფული“
- სასამართლო პრაქტიკა არასრულწლოვანი ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის შესახებ
- არასრულწლოვანი და შრომითი ურთიერთობები

შრომითი ურთიერთობები, 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად. 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 24 საათს. 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს.

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა.

ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრისი

სეზონური სკოლა „ოჯახური კალაღობა“

2019 წლის

## ოჯახში კალაღობის შეღარებოთსამართლებრივო ასპექტები

ოჯახი არაა სამართლისაგან თავისუფალი სივრცე!

ოჯახური კალაღობის სამართლებრივო მოწესრიგება ბერმანულონოვან  
ქვეყნებში:

(1) ფსიქოლოგიური თანადგომა

(2) საპოლიციოსამართლებრივი გადაუდებელი დახმარება პოლიციის მიერ

- მოძალადის განრიდება სახლიდან პოლიციის მიერ, მოძალადეს ბინას ატოვებინებს
- მოძალადის დაკავება
- მოძალადისათვის მსხვერპლთან ურთიერთობის აკრძალვა (პოლიციის კანონმდებლობა) – კონტაქტის აკრძალვის დარღვევა სისხლისსამართლებრივ შედეგებს არ იწვევს.

(3) სამოქალაქოსამართლებრივი დახმარება სასამართლოს მიერ

„ძალადობისაგან და ადევნებისაგან სამოქალაქოსამართლებრივი  
დაცვის“ კანონის §2 შესაბამისად **სასამართლოს მიერ** ნახევარი წლის  
განმავლობაში ბინაში ან სახლში შესვლა აკრძალოს. საჭიროების  
შემთხვევაში ეს აკრძალვა შეიძლება **კიდევ ნახევარი წლითაც კი  
გაგრძელდეს**. მოძალადის მიერ ამ ვადლებულების შეუსრულებლობა  
სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს. სანქცია მოიცავს  
თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე ან ჯარიმას.

(4) სისხლისსამართლებრივი რეაქცია

## ოჯახური ძალადობის საჭმეეში კონფლიქტის არასასამართლო რეზულაცია – მედიაცია და Community Accountability

### აშშ ახალი ტენდენცია **Community Accountability**

სახელმწიფოს მიდგომა - როგორც გენერელური პრევენციის, ასევე კრძო პრევენციისათვის მნიშვნელოვანია დამნაშავის დასჯა. წინააღმდეგ შემთხვევაში მოძალადეს განუმტკიცდება რწმენა იმისა, რომ მან თავისი ქმედება უნდა გააგრძელოს. **სამართლებრივი, განსაკუთრებით კი სისხლისსამართლებრივი მიდგომა - საზოგადოების პოლარიზაცია** – ქალები – პოტენციური მსხვერპლები და მამაკაცები, როგორც პოტენციური მოძალადეები.

ინტერვენციის ალტერნატიული მეთოდი – საზოგადოების მიერ პასუხისმგებლობის აღება – **Community Accountability** აშშ აქტივისტების მიერ შემუშავებული მეთოდი, ალტერნატივა სისხლისსამართლებრივი დევნის. სამართლებრივი მიდგომის გამოსადეგი ეფექტი – საშიში ქმედების თავიდან აცილება, ზიანზე პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება და ზიანის ანაზღაურება (რეპარაცია). მსხვერპლს არ ავალდებულებს პოლიციასთან კონტაქტზე გაუსვლელობას და სამართლებრივი გზის ძეგზე ხელის აღებას.

ძალადობის სპირალიდან გამოსვლის პრობლემა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ნაკლებად ჩართული ქალების პრობლემაა – ვერ იღებენ კლასიკური სამართლებრივ დაცვას. შესაბამისად საჭიროა თემის, საზოგადოების როლის განმტკიცება და ალტერნატიული მეთოდების შემუშავება. ძლიერი საზოგადოება, თემი, რომელიც იცავს მსხვერპლს და მოძალადეს მორალურ პასუხისმგებლობას აკისრებს, სასწრაფოდ შეწყვიტოს ძალადობა.

პირმა უნდა გააცნობიეროს ქცევის **პრობლემატურობა** და **გაწყვიტოს** ძალადობის სპირალი, გააცნობიეროს, რომ თავდასხმა მსხვერპლზე წარმოადგენს აგრეთვე მთელ საზოგადოებაზე, საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე. განსაკუთრებით ფერადკანიანი ქალების პრობლემების მოგვარება წყვილთა ურთიერთობაში თემში უკეთესად შეიძლება, ვიდრე სახელმწიფოს იძულებითი მექანიზმის საშუალებით.

ამ მეთოდის ადამიანის სურათ-ხატი დადებითია - მოძალადე მოძალადედ არ იბადება. იგი უნდა განვიხილოთ ინდივიდალ და მის გარემომცველ სოციალურ

დინამიკასთან კავშირში. სახელმწიფოს რეაქცია კი არის მისი კრიმინალად სტიგმატიზირება და საზოგადოებისაგან მოწყვეტა.

ამ მეთოდით წყვილთა შორის არსებული ძალადობა ცალკეულ პირთა შორის არსებულ ძალადობად არ აღიქმება. არამედ საზოგადოების ყველა წევრი ამ ძალადობის ნაწილია. მთელი საზოგადოება პასუხისმგებელია იმისათვის, გრძნობს თუ არა მისი წევრი თავს დაცულად.

თუ მოძალადის ღირსებას დავიცავთ, იგი ჯიუტად არ დაიწყებს ძალადობის ფაქტის უარყოფას და თავისი მოქმედების გასიგრძეგანებას შეძლებს. მოძალადე – არ უნდა განიმარტოს როგორც ცხოველი, უცხო.

საზოგადოება არ უნდა დუმდეს ძალადობაზე. მან უნდა გააცნობიეროს ძალადობის მიზეზები და გაარღვიოს ძალადობით დატვირთულ წყვილსა და საზოგადოებას შორის არსებული იზოლაცია, დაიცვას როგორც მსხვერპლის უსაფრთხოება, ასევე ყველა მონაწილის უფლება. საზოგადოებამ აგრესორს ცალსახა მოთხოვნები უნდა წაუყენოს – შეწყვიტოს აგრესია. მან ასევე მოძალადეს ნდობა უნდა გამოუცხადოს და მას დაეხმაროს პასუხისმგებლობის და ძალადობის არსებული დინამიკის გაცნობიერებაში.

### მოძალადის თერაპია შვეიცარიაში

ანტიაგრესიული თერაპია, რომლის შედეგადაც მოძალადეს ძალადობის სპირალის გაცნობიერების და მისი გარღვევის შესაძლებლობა აქვს.

შვეიცარიაში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება **მოძალადე მამაკაცებისათვის დახმარებას**. 1999 წლიდან ციურიხის კანტონში იმ მამაკაცებისათვის, რომლებმაც თავიანთი პარტნიორის მიმართ ძალადობა გამოავლინეს, არსებობს სასწავლო პროგრამა „პარტნიორობა ძალადობის გარეშე“, რომელიც აღსრულების და პრობაციის სამსახურის პროგრამას წარმოადგენს. ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლია როგორც პირს, რომელმაც პირველად იძალადა, ასევე იმ პირებსაც, რომლებმაც ამგვარი ქმედება განმეორებით ჩაიდინეს. პირი შვეიცარიის მაცხოვრებელი უნდა იყოს, ქვეყნის ენა საკმარისად უნდა იცოდეს (შემოთავაზება არაა ენის არმცოდნე უცხოელებისათვის), ნაწილობრივ მაინც უნდა აღიაროს დანაშაული და უნდა არსებობდეს პირობითი მსჯავრის მისჯის შესაძლებლობა. პირს პროკურორი გადააგზავნის პრობაციის სამსახურში, სადაც მას გაესაუბრებიან. საუბარი მიდის დელიქტზე, სოციალურ ინტეგრაციაზე, პიროვნულ რესურსებსა და

დეფიციტებზე და მონაწილეობის მოტივაციაზე. პრობაციის ბიურო დადებითი დასკვნის გაკეთების შემთხვევაში პრობაციის სამსახური შესაბამის პროკურატურას უგზავნის მონაწილეობის შესახებ რეკომენდაციას და დაწვრილებით მოხსენებას., რომლის საფუძველზეც იგი გადაწყვეტილებას იღებს. მონაწილეთა რიცხვი აღძრულ საქმეებთან შეფარდებით მცირეა.

**შვეიცარიელი ექსპერტების ნაწილი მოითხოვს მოძალადეებთან მუშაობის გაუმჯობესებას და მათზე ვალდებულების დაკისრებას, რომ არა მარტო სისხლისსამართლებრივი მეთოდები იქნას გამოყენებული, არამედ მათზე განხორციელდეს ზეწოლა, რათა მათ იმუშაონ საკუთარ თავზე და იყოს ისეთი პროგრამები, რომლებითაც შესაძლებელი იქნება მოძალადის მოტივირება.**

გარდა ამისა, შვეიცარიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე **ძალადობის სპირალის დაწყებამდე ადრეულ გამოვლენას** და ადრეულ ინტერვენციას. ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა იქამდე, სანამ თავად ძალადობა წარმოიშობა. მნიშვნელოვანია, რომ პირი იქამდე, სანამ იპირველად ძალადებს, მივიდეს რჩევის საკითხავად. „მეშინია, რომ დავარტყამ!“ ამასთან, ანტიაგრესიული ტრენინგის შემოთავაზების ფორმატი ცნობილი უნდა იყოს. ასევე მნიშვნელობა ენიჭება ექიმის მიერ მომავალი ძალადობის პრობლემის ამოცნობას. ცნობილია, რომ მძიმე ძალადობის წინ მოძალადეთა 1/3 შვეიცარიაში ექიმთან მიდის ვიზიტზე. ოძალადე დიდი ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშაა, ამოტომაც, თუ ექიმმა პრობლემა ამოიცნო და პირი შესაბამის ადგილას გადაამისამართა, ძალადობრივი ქმედების ნაწილი არ იქნას ჩადენილი.

**მრავალ კანტონში არსებობს ოჯახთა კონსულტაციის და ხელშეწყობის სარეკომენდაციო ცენტრები.** ისინი პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდებიან ასევე წყვილთა შორის ძალადობის პრობლემას და მათ შეუძლიათ საკმარისი კეთილგონიერებისას პრობლემა გამწვავებამდე დაინახონ და შექცებისდაგვარად აღმოფხვრან.

### **აღღმენითი მართლმსაჯულება და ძალადობა წყვილთა შორის**

საკითხავია, რამდენადაა შესაძლებელი იქამდე, სანამ ძალადობის სპირალი არ განმტკიცებულა, სანამ ფსიქიკური ძალადობა ფიზიკურში გადაზრდილა, მედიაციის ჩართვა წყვილთა შორის ძალადობისას.

ეს თემატიკა მეცნიერთა სპეციალური გამოკვლევის საგანი გახდა, სამწლიანი პროექტის დაფინანსდა ევროკომისიის მართლმსაჯულების გენერალური დირექციის (European Commission Directorate-General for Justice) მიერ. პროექტის დასასრულს ამ უწყების და გერმანიის განათლების და ქალთა საქმის ფედერალური სამინისტროს (Bundesministerium für Bildung und Frauen) ეგიდით გამოიცა ამ პროექტის მკვლევართა, ბრიგიტე ჰალერის და ვერონიკა ჰოფინგერის მიერ შემუშავებული სპეციალური სახელმძღვანელო წინადადებები აღდგენითი მართლმსაჯულების და პარტნიორთა შორის ძალადობის საკითხებზე. ესაა სახელმძღვანელო წინადადებები ყველა იმ სპეციალისტისათვის, ვინც აღდგენითი მართლმსაჯულების საკითხითაა დაინტერესებული წყვილთა ურთიერთობაში, როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკოსების, ასევე ქალთა და მსხვერპლთა დაცვის დაწესებულებებისათვის, პროკურატურისა და სასამართლოსათვის. სახელმძღვანელო წინადადებების მიზანია წყვილთა ურთიერთობაში გამოსაყენებელი აღდგენითი მართლმსაჯულების მინიმალური წესების სტანდერტირება და შიდასახელმწიფოებრივი კონტექსტისათვის მნიშვნელოვანი თემების წამოწევა.

### **ჩარჩო-პირობები და დეფინიციები**

ევროპაერთიანების მსხვერპლის დაცვის აქტუალური დირექტივების მიხედვით, აღდგენითი მართლმსაჯულება ანდა ზარალის ანაზღაურება განმარტებულია როგორც პროცესი, რომლის დროსაც მსხვერპლსა და დამნაშავეს შესაძლებლობა მიეცემათ, თუკი ისინი დამოუკიდებლად გადაწყვეტენ, ობიექტური მესამე პირის დახმარებით ღია დიალოგის ფორმაში დანაშაულის შედეგების მოგვარება/რეგულაცია.

ავსტრიაში დამკვიდრებული აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესს ჰქვია **კონფლიქტის მოგვარება (Tatausgleich)** და საკითხი გადამისამართდება პროკურატურის, იშვიათად ასევე სასამართლოს მიერ და ასოციაცია ახალი სტარტის მიერ ხორციელდება. ამ ასოციაციის მიერ განხილული კონფლიქტების ერთი მესუთედი წყვილთა ურთიერთობაში განხორციელებული ძალადობის შემთხვევებია.

ევროპაერთიანების მსხვერპლის დაცვის დირექტივების მიხედვით, „მსხვერპლი“ არის ფიზიკური პირი, რომელიც სხეულებრივ, ფსიქოლოგიურ ანდა სულიერ (geistige oder seelische) ზიანს განიცდის, რაც დანაშაულის პირდაპირი შედეგი იყო.



დირექტივები აღგენს, რომ პირად ურთიერთობაში პარტნიორის ან ყოფილი პარტნიორის მიერ განხორციელებული ძალადობის მსხვერპლი, დამოუკიდებლად იმისა, მსხვერპლი მოძალადესთან ოჯახურ თანაცხოვრებაშია იყო) თუ არა, შესაძლოა, განსაკუთრებულ დაცვის ღონისძიებებს საჭიროებდეს, რადგან ძალადობა მჭიდრო ურთიერთობისას სერიოზული და ხშირად დაფარული სოციალური პრობლემაა, რომელსაც შეუძლია სისტემატური ფსიქიკური და ფიზიკური ტრავმის გამოწვევა სერიოზული შედეგებით, „რადგან დამნაშავე პირია, რომლის ნდობა მსხვერპლს უნდა შეეძლოს“.

### **წყვილთა ურთიერთობაში აღდგენითი მართლმსაჯულების პრო და კონტრა არგუმენტები**

აღდგენითი მართლმსაჯულება ევროგაერთიანების უმეტეს ქვეყნებში უკვე ეტაბლირებულია, თუმცა წყვილთა ურთიერთობაში მისი გამოყენება ჯერ კიდევ სადავოა. ამ დისკუსიისას ხშირად ყურადღება არ ექცევა იმას, რომ ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ „წყვილთა შორის სიტუაციური ძალადობა“ და „ინტიმური ტერორიზმი“. კრიტერიუმები განსხვავებისათვის არის არა მხოლოდ ძალადობის სისშირე და ხანგრძლივობა, არამედ უპირველესად კონტროლი, რომელსაც პარტნიორი/ყოფილი პარტნიორი ახორციელებს.

აღდგენითი მართლმსაჯულების მოძრაობა წარმოიშვა როგორც მართლმსაჯულების აპარატის ალტერნატივა: დამნაშავეს დასჯის მაგიერ მსხვერპლისათვის სამართლიანობის აღდგენის მისაღწევად „wiedergutmachende Gerechtigkeit“. აღდგენითი მართლმსაჯულება პირებს პრობლემის გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობის საშუალებას აძლევს. 1977 წელს ერთი ავტორი მიუთითებდა, რომ სახელმწიფომ პირებს თავიანთი კონფლიქტი „უკან უნდა დაუბრუნოს“, რადგან მხოლოდ მათ შეუძლიათ ამ კონფლიქტის აზრიანი და ამომწურავი გადაწყვეტა. სწორედ ამიტომ აკრიტიკებდა ფემინისტური მოძრაობა ოჯახური ძალადობის „პრივატიზებას“. ქალთა მოძრაობის უმნიშვნელოვანეს მონაპოვრად ითვლება ინტიმურ ურთიერთობაში ძალადობის საჯარო დევნა და მსხვერპლის დაცვასახელმწიფოს და მისი ორგანოების მიერ. სწორედ ამიტომ წყვილთა ურთიერთობაში ძალადობისას აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენება მძაფრი კრიტიკის საგანი იყო.

წყვილთა უერთიერთობაში ძალადობისას აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენების მიმართ გამოთქმული კრიტიკა ასახულია ასევე საერთაშორისო დოკუმენტებში, როგორცაა გაერთიანებული ერების სახელმძღვანელო ძალადობის შესახებ კანონმდებლობისათვის (2009), რომელიც ქალთა მიმართ ძალადობისას აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენების კარგადეს მოითხოვს. სტამბულის კონვენცია (მუხლი 48) ეწინააღმდეგება ქალთა მიმართ ძალადობისას ქალის დაავადებულებას, მონაწილეობა მიიღოს აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში, რადგან არ არსებობს მსხვერპლსა და მოძალადეს შორის ძალთა უთანასწორობის აღმოფხვრის შესაძლებლობა და სახელმწიფომ ოჯახური ძალადობის რეპრივაციზაციას ხელი უნდა შეუშალოს.

თუმცა წყვილთა შორის უერთიერთობისას აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენება უკანასკნელ წლებში საერთაშორისო ტენდენციაა. მართალია, სისხლის სამართლის პროცესში მსხვერპლის მოთხოვნისა და მისთვის მემტი ყურადღება ექცევა, მაგრამ აღდგენითი მართლმსაჯულების კრიტიკისას სასამართლო პროცესის მინიშნელობა გადაჭარბებულადაა შეფასებული და დაიწყოებულია ის, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება ძალადობის შესახებ ნორმის გასივრცეების და ოჯახური ძალადობის დაგმობის ინსტუმენტი შეიძლება იყოს.

წყვილთა უერთიერთობაში აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენების სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი:

- მსხვერპლის ინტერესებს როგორც წესი, უფრო მეტი ყურადღება ენიჭება მედიაციისას, რადგან ამ დროს მისი ინტერესები დგას ყურადღების ცენტრში და მისი მიზანი მსხვერპლისათვის სამართლიანობის აღდგენა და ზიანის ანაზღაურებაა, ასევე მომავლისათვის ეფექტური გადაწყვეტილებების მიღება. სასამართლო კი მსხვერპლს აღიქვამს როგორც „მტკიცებულებას“.
- მსხვერპლის პოზიცია ამგვარი აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესის დასრულების შემდეგ გაძლიერებულია.
- ძალადობის გამოყენება ნათლად უარყოფილი და მოძალადის მიერ პასუხისმგებლობის თავის თავზე აღება მედიაციის მნიშვნელოვანი ელემენტია.
- რომ მედიაციის საშუალებით წყვილთა შორის კონფლიქტის მოგვარების შემდეგ რეციდივი ძალიან მცირეა (მხოლოდ 9%).

**კვლევის პროექტი „აღდგენითი მართლმსაჯულება და ოჯახური ძალადობა“** ეხება როგორც აღდგენითი მართლმსაჯულების კრიტიკას, ასევე მისი გახშირებული

გამოყენების დადებით მხარეებს და მიზნად ისახავს ოჯახური ძალადობისას მედიაციისათვის მინიმალური მოთხოვნების ჩამოყალიბებას. სახელმძღვანელო წინადადებები შემდეგი ემპირიული საფუძვლებია გამოყენებული:

1. სამართლებრივი ჩარჩო-პირობების სამართალშედარება და აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკა ოჯახური ძალადობისას საკვლევ ქვეყნებში: დანია, ფინეთი, საბერძნეთი, ნიდერლანდები, ავსტრია და დიდი ბრიტანეთის და ჩრდილო ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში.
2. ინტერვიუ მსხვერპლებთან და ბრალდებულებთან, რომლებმაც აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში მიიღეს მონაწილეობა მათს მოლოდინებზე, მოთხოვნებსა და გამოდილებაზე.
3. შედეგების გადამოწმება შიდასახელმწიფოებრივ ექსპერტებთან პროკურატურის, სასამართლოს, მსხვერპლთა დაცვის და ახალი სტარტის თანამშრომლებთან ფოკუს ჯგუფის მეთოდის გამოყენებით.<sup>1</sup>
4. შიდასახელმწიფოებრივი შედეგების და მოლოდინის შესახებ ორ შიდასახელმწიფოებრივ კონფერენციაზე მრავალი ექსპერტის და პრაქტიკოსის მონაწილეობით.
5. სახელმძღვანელო მითითებების იმპლემენტაცია პრაქტიკაში.

საერთაშორისო სამართალშედარებისას დადგინდა, რომ წყვილთა შორის ძალადობისას მედიაციის გამოყენების სხვადასხვა გამოცდილება არსებობს. ამასთან ავსტრიის მოდელი, რომელიც მრავალი წელია, ხორციელდება და პარალელურად მეცნიერთა კვლევის საგანია, როგორც ახალი სტარტის თანამშრომელთა პროფესიონალიზმის, ასევე საზოგადოებრივი და სამართლებრივი პოლიტიკის გათვალისწინების გამო „კარგი პრაქტიკა“.

ვროგაერთიანების მსხვერპლის დაცვის სახელმძღვანელო მითითებების თანახმად, ყველა დაწესებულება, რომელიც აღდგენით მართლმსაჯულებას შესთავაზებს, მუდამ აქცენტს უდა აკეთებდეს მსხვერპლის ინტერესებზე, მის მოთხოვნებსა და უსაფრთხოებაზე. მისი მიზანია სამართლიანობის აღდგენა და მეორადი ვიქტიმიზაციის თავიდან არიდება. ვროგაერთიანების წევრი სახელმწიფოები უნდა

<sup>1</sup> თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მეთოდი, რომელიც ასევე ცნობილია „ჯგუფური დისკუსიის“ სახელით. როგორც წესი, ფოკუსჯგუფში 6-დან 12-მდე რესპონდენტი იღებს მონაწილეობას; ის წარიმართება სადისკუსიო გეგმის საფუძველზე სპეციალური კვალიფიკაციის მქონე წამყვანის, მოდერატორის მიერ.

უზრუნველყოფდნენ დამნაშავის და მსხვერპლის ურთიერთობის დაბალანსების შემდეგ წინაპირობებს (Täter-Opfer-Ausgleich):

1. კონფიდანციალურობა
2. სრული და ობიექტური ინფორმაცია
3. ნებაყოფლობითი და ინფორმირებული თანხმობა
4. მოძალადემ საქმის გარემოება ძირითადად აღიარა
5. კარგი სპეციალისტი
6. მსხვერპლის ინტერესებისათვის

ეს წინაპირობები დაკონკრეტებული და სპეციალიზებული უნდა იყოს წყვილთა შორის ძალადობის მეტად სფეროსათვის.

### **ევროპის მინიმალური სტანდარტები წყვილთა შორის ძალადობისას აღდგენითი მართლმსაჯულების შემთხვევებისათვის**

ევროპაერთიანების დასახელებული პროექტის შედეგების საფუძველზე წყვილთა შორის ძალადობისას აღდგენითი მართლმსაჯულების გამოსაყენებლად შემდეგი მინიმალური სტანდარტები უნდა ჩამოყალიბდეს:

- წყვილთა შორის ძალადობისას აღდგენითი მართლმსაჯულებისას როგორც გადამამისამართებელი ორგანო, ასევე აღდგენითი მართლმსაჯულების განმახორციელებელი უნდა უზრუნველყოფდეს მსხვერპლის უსაფრთხოებას და მივი განმეორებითი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებას.
- ამ დასახელებულ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ გამოცდილება და საფუძვლიანი ცოდნა როგორც აღდგენითი მართლმსაჯულებაზე, ასევე წყვილთა შორის ძალადობაზე. განგრძობადი ძალადობის შემთხვევები, მონაწილეთა შორის ძალთა აშკარა დისბალანსი და „ინტიმური ტერორიზმის“ შემთხვევები აღდგენითი მართლმსაჯულებისათვის გამოსადეგი არაა.
- საფრთხო პროცესის განსახორციელებლად საჭიროა მოსამზადებელი შეხვედრები, სულ მცირე ერთი ორივე მონაწილესთან, რომელის დროსაც მოხდება ობიექტური ინფორმაციის მოპოვება, პირებს მიუთითებენ პროცესის ნებაყოფლობითობასა და ნებისმიერ დროს მისი შეწყვეტის შესაძლებლობაზე. ასევე უნდა მითითებულ იქნას ურთიერთობის დაბალანსების გაშუალებული მეთოდზე, პირდაპირი კონტაქტის გარეშე.

- ამ მოსამზადებელი საუბრისას უნდა დადგინდეს მოძალადის მზაობა, პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ ქმედებაზე. ჭინააღმდეგ შემთხვევაში აღდგენითი მართლმსაჯულება გამორიცხულია.
- წყვილთა შორის ძალადობისას რეკომენდებულია მედიაცია ორი მედიატორით, რომელთაგან მინიმუმ ერთი სპეციალურადაა მომზადებული წყვილთა შორის ძალადობის საკითხებზე და სულ მცირე ერთი ქალია. რეკომენდებულია სერეული ჯგუფის მიერ მედიაციის განხორციელება. მედიატორებს უნდა ჰქონდეთ მენტორთან კონტაქტის შესაძლებლობა და მათზე უნდა ხორციელდებოდეს ზედამხედველობა, რომელიც განხორციელებული მედიაციის ხარისხზეა პასუხისმგებელი.
- აღდგენითი მართლმსაჯულების განმახორციელებელ დაწესებულებასა და იმ უწყებებს შორის, რომლებიც დაკავშირებულნი არიან წყვილთა შორის ძალადობასთან, განსაკუთრებით კი მსხვერპლის დაცვის დაწესებულებებთან, მჭიდრო კავშირი უნდა არსებობდეს. მათ შეუძლიათ ამ პროცესის განმავლობაში თან ახლდნენ მსხვერპლს და მისი უფლებების დაცვაზე იზრუნონ. შხვა დაწესებულებებთან კოოპერაციისას პირადი მონაცემების დაცვის წინაპირობები უნდა იყოს დაცული.
- ყურადღება უნდა გამახვილდეს მსხვერპლის მიმართ ახალი ძალადობის განხორციელების რისკზე, ასევე სხვა მონაწილეთა (მაგ. ბავშვთა) მიმართ ძალადობის განხორციელებაზე. გამაფრთხილებელი სიგნალია განსაკუთრებით, იარაღის ფლობა, თვითმკვლელობის მუქარა და პარტნიორთან გაყრის დაჟინებულად არმიღება (Nichtakzeptanz).
- მედიატორი სამართლიანად, ობიექტურად, გამჭვირვალედ და ნათლად უნდა მოქმედებდნენ. პროცესის მიზანია შემთხვევის ღია განხილვა, დამაჯერებელი ბორიშის მოხდა მოძალადის მიერ და რამდენადაც ეს შესაძლებელია, ზიანის ანაზღაურება. საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტთან გადამისამართება, როგორცაა ანტიაგრესიული ტრენინგი ანდა მკურნალობა რაიმე ავადმყოფური დამოკიდებულების მაგ. ნარკომანიის.
- იმისათვის, რომ მოძალადემ აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესის შეწყვეტა მსხვერპლს არ დააბრალოს, პროცესი მედიატორის ინიციატივით უნდა შეწყდეს და მედიატორმა ოფიციალური პასუხისმგებლობა აიღოს.

- სამართლებრივ როცესში აღდგენითი მართლმსაჯულების სხვადასხვაგვარი ჩართვის გამო აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესის შედეგები სხვადასხვანაირია. საბოლოოდ წერილობითი შეთანხმება უნდა იქნეს მიღწეული, რომლის შესრულებაზე კონტროლს აღდგენითი მართლმსაჯულების თანამშრომელი ახორციელებს.
- საბოლოო შეთანხმებაზე შესაძლოა დაკვირვების ვადა დადგინდეს Follow-up შეხვედრით, ანუ მიღწეული შედეგის გაკონტროლების მიზნით შეხვედრით.

### ავსტრიის პრაქტიკა

- გადამისამართება
- დაკონტაქტება/მოსაწვევის გადაგზავნა
- მოსამზადებელი შეხვედრა
- მედიაცია
- follow-up & დასასრული

### გადამისამართება

საქმე გადამისამართდება პროკურატურის ან იშვიათად, სასამართლოს მიერ, განრიდების ფარგლებში. ავსტრიაში მედიაციას ერთადერთი ორგანიზაცია უზრუნველყოფს – ახალი სტარტი.

- პირი გადამისამართდება აქტების გადამოწმების საფუძველზე. მსხვერპლის ინტერესები მუდამ უნდა იყოს დაცული. მოძალადის ბრალი მძიმე არ უნდა იყოს და მან უნდა აჩვენოს ცვლილებებისათვის და ქმედების მიზეზების ანალიზისათვის მზაობა.
- რადგან წყვილთა შორის ძალადობა სხვა ძალადობრივი დელიქტებისაგან განსხვავდება, გადამისამართებელი შემთხვევები განსაკუთრებული გულმოდგინებით უნდა იქნას შერჩეული. ნდა გადამოწმდეს ხანგრძლივი ძალადობრივი ურთიერთობის სიგნალი, ძალთა აშკარა დისბალანსი ანდა მოძალადის აშკარად მაკონტროლირებელი ქცევა. ამგვარი ქმედებები არ გამოდგება მედიაციისათვის.
- არსებობს ასევე შესაძლებლობა „საქმის გარკვევის“ - „Clearing,“ რაც ნიშნავს იმას, რომ პროკურატურა დაავალდებს „ახალ სტარტს“, მსხვერპლთან და

მოძალადესთან გასაუბრებით დაადგინოს, თუ რამდენადაა შესაძლებელი მიედიაცია ამ შემთხვევაში.

### კონტაქტის დამყარება და მიწვევა

- პროფესიული სტანდარტების დაცვა
- ექსპერტთა შერეული ჯგუფი, ერთი წამყვანი ექსპერტით. ყველა თანამშრომელს აქვს სპეციალური განათლება წყვილთა შორის ძალადობაზე, ტრავმატიზაციაზე, ყველა თანამშრომელი სრულ განაკვეთზეა.
- მედიატორები აკონტროლებენ საქმის გამოსადეგობას მედიაციისათვის. ახალ სტარტს აქვს წყვილთა შორის ძალადობისას არსებული რისკის შეფასების ფორმულარი, სადაც აიხსება ინფორმაცია ჩადენილ ქმედებაზე, პირის ფსიქოსოციალურ, ფინანსურ და ჯანმრთელობის პრობლემებზე, შეხვედრისას ესკალაციის რისკზე, რეციდივის შესაძლო საშიშროებასა და მსხვერპლის განმეორებით ტრავმატიზაციაზე
- თუ საქმის გარემოებებიდან დადგინდება, რომ არსებობს მომეტებული საფრთხე, უნდა გადაწყდეს საკითხი მედიაციის გამოსადეგობის შესახებ. მსხვერპლის უსაფრთხოების მოსაზრებებიდან გამომდინარე, სასამართლო მხოლოდ მსხვერპლს უნდა გაესაუბროს.
- რისკის შეფასება საქმის არსებული მასალების საფუძველზე განსაზღვრავს ასევე მოძალადის და მსხვერპლის ერთდროულად მოწვევის საკითხსაც.
- თუ საფრთხის ინდიცია არსებობს, მსხვერპლი და მოძალადე ერთდროულად განცალკევებული საუბრისთვისაც კი არ უნდა მიიწვიონ, რადგან შემთხვევითმა შეხვედრამ მსხვერპლის ზეწოლის სიტუაცია არ შექმნას და შემთხვევითმა შეხვედრამ ესკალაცია არ გამოიწვიოს. დეკომენდებულია ამგვარ შემტხვევებში ჯერ მსხვერპლთან გასაუბრება.
- გათვალსწინებულია ერთმანეთისაგან გაცალკევებული მოსაცდელეები, რათა მსხვერპლი და მოძალადე ერთმანეთს შემთხვევითაც კი არ შეხვდნენ. თუმცა, თუ პირებს ერთი საცხოვრებელი მისამართი აქვთ და რისკი მცირეა, მათი ერთად მოწვევაცაა შესაძლებელი.
- თუ მსხვერპლს და მოძალადეს ერთად მოიწვევენ, მსხვერპლის მოსაწვევში მაინც უნდა იყოს მითითებული, რომ შესაძლებელია განცალკევებული საუბარიც.

### მოსამზადებელი შეხვედრა

- საერთაშორისო კვლევამ დაადასტურა, რომ მოსამზადებელი შეხვედრა წყვილთა შორის ძალადობის შემთხვევებში აღდგენითი მართლმსაჯულების ხარისხის განმსაზღვრელია. ცალკე მსხვერპლთან და ცალკე მოძალადესთან მოსამზადებელი საუბრის გარეშე კონფლიქტის ადექვატური რეგულირება შეუძლებელია.
- წინასამედიაციო ფაზაში ახალი სტარტის წარმომადგენელი აყალიბებს დამატებით სტანდარტებს წყვილთა შორის ძალადობის შემთხვევისათვის და გაესაუბრებიან მოძალადეს პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებასთან დაკავშირებით, ასევე ცალკე გაესაუბრებიან მსხვერპლსაც.
- მაშინაც კი, როდესაც მოძალადე პასუხისმგებლობას არ იღებს თავის თავზე, მსხვერპლთან განცალკევებული საუბარი მაინც უნდა ჩატარდეს, რადგან მან მიიღოს ინფორმაცია მსხვერპლის დახმარების ორგანიზაციებზე და თავდაცვის სხვა საშუალებებზე.
- ცალ-ცალკე გასაუბრებისას მოძალადე და მსხვერპლი იღებს კანონით დადგენილ ინფორმაციას მედიაციის პროცესის და მისი წინაპირობების შესახებ, ასევე უნდა გაირკვეს მათი ზოგადი მზაობა მედიაციაში მონაწილეობის შესახებ. ამასთან, მათ უნდა მიეთითოთ, რომ დაწყებული მედიაციის პროცესის გაწყვეტა ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი.
- ერთი ერთზე საუბრისას უნდა გაირკვეს ასევე, (ურთიერთობის დასაბალანსებელი საუბარი მსხვერპლსა და მოძალადეს შორის) სასურველი და მიზანშეწონილია თუ არა პირდაპირი მედიაცია. მსხვერპლს უნდა მიუთითონ ასევე არაპირდაპირი მედიაციის შესაძლებლობის შესახებაც. არ უნდა განხორციელდეს ზეწოლა პირდაპირი მედიაციის ჩატარებისათვის. არაპირდაპირი მედიაცია მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც მსხვერპლი ზოგადად მედიაციას ეთანხმება, მარგამ მოძალადესთან პირადად შეხვედრის სურვილი მას აღარ აქვს.
- რისკი შეფასდება ერთი-ერთზე საუბრის საფუძველზე მედიატორთა ურთიერთგასაუბრებით.
- ერთი-ერთზე საუბარი უნდა გამოყენებულ იქნას მსხვერპლის გასაძლიერებლად. უნდა შეიქმნას ნდობის გარემო, სადაც მსხვერპლს



შესაძლებლობა ექნება გამოთქვას მედიაციის საწინააღმდეგო მოსაზრება ანდა შეწყვიტოს დაწყებული მედიაციის პროცესი.

- მოძალადესთან საუბარი ერთი ერთზე მიზნად ისახავს გაირკვეს, იღებს თუ არა პირი თავის თავზე პასუხისმგებლობას. მან უნდა აღიაროს საქმეში არსებული ძირითადი ფაქტები. მოძალადე, რომელიც ფაქტებს სრულიად უარყოფს, აღდგენითი მართლმსაჯულებისათვის არ გამოდგება. თუმცა, ბრალის აღიარება იურიდიული თვალსაზრისით, არაა მედიაციისათვის საჭირო.
- ერთი-ერთზე საუბრისას მოძალადეს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია სხვა ორგანიზაციებისაგან დახმარების მიღების შესაძლებლობის შესახებ, როგორცაა ანტიაგრესიული ტრენინგი, ნარკო- და სხვა დამოკიდებულების თერაპია, სამართლებრივი და ფსიქოლოგიური კონსულტაცია.

## მედიაცია

- პირდაპირი მედიაცია მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩატარდეს:
  1. როდესაც მსხვერპლის უსაფრთხოება მედიაციის მთელი პროცესის განმავლობაში უზრუნველყოფილია.
  2. როდესაც მსხვერპლი მედიაციის მთელი პროცესისას თანახმაა, აწარმოოს პირდაპირი საუბარი
  3. როდესაც მოსამზადებელი საუბრები ჩატარდა ერთი ერთზე
  4. როდესაც არ არსებობს მედიაციის გამომრიცხველი საფუძვლები, როგორცაა ძალთა დიდი დისბალანსი, გადაბრალება მსხვერპლზე ანდა მსხვერპლის ფსიქიკური სტაბილურობის არარსებობა.
- მედიაცია ტარდება ორი პროფესიონალი მედიატორის მიერ, რომლებსაც აქვთ სპეციალური ცოდნა წყვილთა შორის ძალადობის პრობლემებზე.
- თუ მედიაციას თარჯიმანი ესწრება, აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს მის სქესსა დაშესაძლო კულტურულ ასპექტებზე, ასევე იმაზე, რომ იგი განსაკუთრებულად ახლო უერთიერთობაში არაა ერთ-ერთ მონაწილესთან.
- მედიაციის საუბრის ბოლოს წერილობითი შეთანხმება დაიდება.

### **შეთანხმების შესრულებისათვის თვალყურის დევნება**

- თუ შეთანხმება ქცევის შეცვლას ეხება, უნდა დაითქვას **თვალყურის დევნების ვადა**. ასევე მსხვერპლის სურვილის და მედიატორთა შეფასების მიხედვით, შესაძლებელია პროკურატურას ან სასამართლოს გაეგზავნოს დასკვნითი ანგარიში.
- ახალი სტარტი აკონტროლებს, ანაზღაურდა თუ არა ზარალი.
- თუ მედიაციის პროცესში მოძალადის თერაპიის საჭიროება გახდა ცნობილი, უნდა დადგინდეს, რომ ახალი სტარტი ამ თერაპიის განხორციელებსაც ამოწმებს.
- განსაკუთრებით ძალადობის განმეორებითი შემთხვევებისას საჭიროა სხვა დამატებითი საუბრებიც. სატელეფონო კონტაქტი მსხვერპლთან თუ მოძალადესთან არაა აღსრულების საკმარისი კონტროლი.
- მსხვერპლს სთხოვს ახალი სტარტი, ახალი ინციდენტი მოძალადის მიერ სასწრაფოდ აცნობოს პოლიციას. მოძალადეს კი მიეწოდება ინფორმაცია, რომ სხვა ინციდენტი მედიაციის შეწყვეტასა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრას გამოიწვევს.
- მსხვერპლი მიიღებს ინფორმაციას მსხვერპლის დაცვის დაწესებულებების შესახებ.

### **წყვილთა შორის ძალადობისას აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენების ძირითადი პრინციპები**

- ძალადობა წყვილთა შორის ურთიერთობისას არაა კერძო საქმე.
- ყურადღების ცენტრშია მსხვერპლის უსაფრთხოება და მისი დაცვა ახალი ძალადობისაგან.
- მსხვერპლი ნებაყოფლობით უნდა დაეთანხმოს მედიაციას.
- მსხვერპლს უნდა შეეძლოს ახალი ვიქტიმიზაციის გარეშე მედიაციაში მონაწილეობა: არის თუ არა იგი საკმარისად ძლიერი? ხორციელდება თუ არა მის მიმართ წნეხი? დაცვენია თუ არა და თავს თანაბრალეულად თუ გრძნობს?
- ძალადობა წყვილთა შორის ურთიერთობისას მედიაცია მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც საქმე არ ეხება სისტემატურ, ქრონიკული ხასიათის და ინსტრუმენტულ ძალადობას. გასაუბრებისას მითითება ძალადობის ხვა შემთხვევებზე შესაძლოა ამისი ინდიცია იყოს.

- მედიაციის გამოყენების საწინააღმდეგო და სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებისას უნდა შემოწმდეს, თუ რა ალტერნატივა დარჩება მსხვერპლს სამოქმედოდ.
- წარმატებული მედიაცია შესაძლებელი მხოლოდ მაშინაა, როდესაც მოძალადე პასუხისმგებლობას დამაჯერებლად იღებს თავის თავზე.
- არ უნდა მოხდეს ზეწოლა მედიაციის განხორციელებისათვის.
- რადგან მედიაცია მოკლესნიან ინტერვენციას შეეხება, მნიშვნელოვანია დამატებითი ღონისძიებების განხორციელება მოძალადის ქცევის და მისი განწყობის შესაცვლელად და მის ქცევაზე დაკვირვება განსაზღვრული დროის განმავლობაში.

### **GREVIO** და მისი რეკომენდაციები და შენიშვნები ავსტრიასთან მიმართებაში

ევროსაბჭოს ექსპერტების ჯგუფმა, რომელიც ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას აკონტროლებს (**GREVIO** - eine Expertengruppe des Europarats, die die Bekämpfung von Gewalt gegen Frauen und häuslicher Gewalt überwacht- In Folge der durch Deutschland erfolgten 25. Ratifizierung der Istanbul-Konvention am 12. Oktober 2017 wurde GREVIO um fünf auf insgesamt fünfzehn Mitglieder erweitert.) ავსტრიას მისცა შენიშვნები და რეკომენდაციები, რომელთა ნაწილი ავსტრიამ არ მიიღო.

- **GREVIO** ავსტრიის მთავრობას ურჩევს, რომ ქალთა მიმართ ძალადობისას არ იქნას გამოყენებული ურთიერთობის არასასამართლო დაბალანსება (Außergfgerichtlicher Tatausgleich). ავსტრიამ უარყო ეს მითითება იმ არგუმენტით, რომ ურთიერთობის არასასამართლო დაბალანსება არაა პრობლემის სასამართლო გადაწყვეტის სუროგატი, როგორც ამას **GREVIO** წარმოაჩენს და იგი მსხვერპლის ინტერესებს საუკეთესოდ იცავს. ავსტრია ამ კანონს კონვენციის 48-ე მუხლთან შესაბამისად აღიარებს. გარდა ამისა, ავსტრია მიუთითებს, რომ მრავალი ინტერნაციონალური პუბლიკაცია დამნაშავესა და მსხვერპლს შორის ურთიერთობის დაბალანსების მნიშვნელობას უსვამს ხაზს.
- ავსტრიამ მიუთითა, რომ სასამართლო ხელისუფლების მიერ მიღებული დადგენილება არასასამართლო დაბალანსების შესახებ სავალდებულო არაა და მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როდესაც კონკრეტული კრიტერიუმებია მოცემული. ამასთან, ურთიერთობის არასასამართლო დაბალანსება მსხვერპლისათვის არაა

სავალდებულო და წინაპირობაა ის, რომ მსხვერპლის ინტერესები დაცული უნდა იყოს.

- **GREVIO ურჩევს ავსტრიას, მოძალადის მიმართ მსხვერპლის დაცვისაკენ მიმართული ღონისძიებები განახორციელოს.** ავსტრია მიუთითებს, რომ მუშაობა მოძალადესთან მსხვერპლის დაცვის და პრევენციის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. პროკურატურას და სასამართლოს სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში შეუძლია გამოიტანოს დადგენილება მოძალადის საკუთარ თავზე მუშაობის შესახებ, რაც მსხვერპლის დაცვაზე ორიენტირებული და მას შესთავაზოს დახმარება პრობაციისას - *ახალი სტარტი*. მუშაობა მოძალადესთან, როგორცაა ფსიქიატრიული მკურნალობა, ფსიქოლოგიური რჩევა ანდა ფსიქოთერაპია გარკვეულწილად პირის თანხმობას მოითხოვს. სავალდებულო მკურნალობა მხოლოდ ძალიან ვიწრო ჩარჩოებშია დასაშვები. მიუხედავად ამისა, ავსტრია ნებაყოფლობით მკურნალობის ინფრასტრუქტურას ფლობს და ამ ინფრასტრუქტურის დაფინანსება და ძალისხმევა ერთიანი სტანდარტების შემოღებისათვის გრძელდება.
- **GREVIO ურჩევს ავსტრიას, შემოიღოს დამოუკიდებელი შემადგენლობა ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებ.** GREVIO მიუთითებს, რომ ავსტრია არ ასრულებს სტამბულის კონვენციის 33-ე მუხლის მოთხოვნას ფსიქოლოგიური ძალადობის დამოუკიდებელი შემადგენლობის შექმნის შესახებ.
- **ავსტრიის პასუხი** – კონვენცია სახელმწიფოსაგან იმპერატიულად არ მოითხოვს ფსიქოლოგიური ძალადობის შემადგენლობის შექმნას, მაგრამ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ღონისძიებები, რათა მსხვერპლის ფსიქიკა არ იქნას ხელყოფილი განზრახ განხორციელებული იძულების და მუქარის საშუალებით. ჯანმრთელობის დაზიანება მოიცავს ასევე ფსიქიკური დაავადების გამოწვევას ან მის გაუარესებას. ეს დაავადება სამედიცინო თვალსაზრისით კლინიკურად მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რადგან კონვენცია პირის ფსიქიკის მძიმე დარღვევას მოითხოვს. როდისაა დარღვევა „მძიმე“, კონვენცია არ განსაზღვრავს. ამ ცნების შინაარსის გარკვევა ეს თავად სახელმწიფოზეა დამოკიდებული.
- **GREVIO დაბეჯითებით ურჩევს ავსტრიას, განახორციელოს ღონისძიებები სტამბულის კონვენციაში მითითებული ძალადობის ყველა ფორმის განმახორციელებელი მოძალადის მიმართ სისხლისსამართლებრივი ღონისძიებისათვის.**

- **ავსტრიის პასუხი** – ავსტრია გამოიყენებს ამგვარი ძალადობის აღმოსაფხვრელად ყველა ღონისძიებას, მაგრამ საბრალდებო დასკვნას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც გამამტყუნებელ განაჩენის გამოტანის ორმოცდაათ პროცენტზე მეტი ალბათობა არსებობს, მაგრამ თუკი არსებული მტკიცებულებები გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საშუალებარ არ იძლევა და მსხვერპლს ჩვენების მიცემის სურვილი არ აქვს და რაიმე სხვა მტკიცებულება არ არსებობს, პროკურორს ეჭვიმტანილის მიერ დანაშაულის ჩადენის დადასტურება არ შეუძლია და მიმართ საბრალდებო დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა არ არსებობს.
- **GREVIO დაბეჯითებით ურჩევს ავსტრიას, შეზღუდოს ოჯახური ძალადობის და აღევნების შემთხვევებში განრიდება.**
- **ავსტრიის პასუხი** – უარყოფს განრიდების შეზღუდვას ოჯახური ძალადობის და აღევნების შემთხვევაში, რადგან ამგვარი შეზღუდვა არ შეესაბამება კონსტიტუციას და არც მსხვერპლის ინტერესებს. გარდა ამისა, ავსტრია უარყოფს მწვავე კრიტიკას ოჯახური ძალადობის საქმეებში განრიდების გამოყენების შესახებ, რადგან სტატისტიკა, რომელიც **GREVIO-** ს შეხედულებას გაამაგრებდა, არ არსებობს.

#### დასკვნა:

- მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო კონვენციები წყვილთა შორის ძალადობისას მედიაციას გამორიცხავენ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ახალი ტენდენციის მიხედვით, კონფლიქტების მოგვარების ეს მეთოდი სამართლიანობის აღსადგენად მაინც წარმატებით გამოიყენება.
- შესასწავლია **Community Accountability** არსი და მისი გამოყენების შესაძლებლობები საქართველოს სინამდვილეში.
- დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ასევე მოძალადებთან მუშაობის გაუმჯობესებას და მათზე ვალდებულების დაკისრებას ისევე, როგორც ეს ხორციელდება პრაქტიკაში საზღვარგარეთის ქვეყნებში.
- ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომსახურების ანგარიშში საქართველოს მიმართ მითითებულ იქნა, რომ საქართველომ უნდა შეიტანოს ცვლილებები მედიაციასთან დაკავშირებულ დებულებაში, რათა თავიდან იქნას აცილებული მედიაცია ქალთა მიმართ ძალადობისას. დღევანდელი საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო

კოდექსის 187/3-ე მუხლი გამორიცხავს ოჯახური ძალადობის საქმეებზე მედიაციას. **law in action** გვერდს უვლის ამ მოთხოვნას და იმ შემთხვევებში, როდესაც მსხვერპლი უარსი ამბობს ჩვენების მიცემაზე მოძალადის წინააღმდეგ, მედიაციის კვალი ჩანს. მედიაცია, არა როგორც კონფლიქტის მოგვარების ინსტიტუციონალიზებული, სასამართლოზე მიბმული ალტერნატიული გზა, არამედ ტრადიციული ფორმატის მედიაცია, სადაც მონაწილეობას ახლობლები იღებენ. სახელმწიფოს მიერ ნორმირებული მედიაციის გამორიცხვა წყვილთა შორის ძალადობის შემთხვევებში გზას უხსნის კერძო პირების მიერ მედიაციის განხორციელებას, რაც შესაძლოა, მოჰყვეს მსხვერპლისათვის როგორც პოზიტიური, ასევე მძიმე და ნეგატიური შედეგებიც.

თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი,

სამართლის დოქტორი

ირინე ხერხეულიძე

**ფარული კავშირები და კორელაციები ოჯახურ ძალადობასა და ტრეფიკინგს შორის შორის**

დღესდღეობით, საქართველოში, როგორც ოჯახური ძალადობისაგან, ასევე, ქალთა ძალადობისაგან დასაცავად მოწოდებული უახლესი და ყველაზე ქმედითი საერთაშორისო ინსტრუმენტი გახლავთ “სტამბოლის კონვენცია“. 2017 წელს ამ დოკუმენტის რატიფიკაციის შედეგად არაერთი ახალი დანაშაულის შემადგენლობა დაემატა საქართველის სსკ-ს. თუმცა, თავად ოჯახური ძალადობა, როგორც კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობა კოდექსის კერძო ნაწილს (სსკ-ს 126(1) მუხლის სახით) ჯერ კიდევ 2012 წელს შეემატა, ხოლო ამავე წელს ზოგად ნაწილში გაჩნდა 11(1)მუხლი, რომელიც ადგენს და განმარტავს პასუხისმგებლობას ოჯახური დანაშაულისათვის კოდექსის შესაბამის მუხლებზე მითითებით. კონვენციის რატიფიკაციის შემდეგ, ოჯახში ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა დაცვის საკანონმდებლო ჩარჩო კიდევ უფრო ქმედითი გახდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონი “ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ” რომელიც მნიშვნელოვნად გაძლიერდა და დაიხვეწა სტამბოლის კონვენციის შესაბამისად, ჯერ კიდევ 2006 წელს იქნა მიღებული. ამავე წელს მიიღო პარლამენტმა საქართველოს კანონი „ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ორივე დოკუმენტი გენდერულად სენსიტიურ პრობლემატიკას ეხმაურება და იმ დროისათვის მსოფლიოში ამ მიმართულებით გადადგმული კანონშემოქმედებითი პროცესის შესაბამისია. საერთაშორისო ასპარეზზე ამ დროს იქმნება “ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ 2000 წლის კონვენცია და მისი დამატებითი ოქმი „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“, ხოლო ევროპის დონეზე კი - 2005 წლის ტრეფიკინგის ევროპული კონვენცია. აღნიშნულ ინსტრუმენტებთან შესაბამისობით იხვეწება ქართული კანონმდებლობაც და დასჯადი ხდება არამხოლოდ ტრეფიკინგი და ბავშვთა ტრეფიკინგი, არამედ (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობაც.

საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწის პარალელურად, როგორც “ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის, ისე ტრეფიკინგის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიქმნა არაერთი ორგანო, უწყება, სტრუქტურა თუ ორგანიზაცია, რომლებიც კოორდინირებული მუშაობის შედეგად ცდილობენ კანონმდებლობით დასახული მიზნების მიღწევას. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტთან. თუმცა, არ დასმულა საკითხი, რომელსაც ჩემი დღევანდელი პრეზენტაციის ქვაკუთხედს წარმოადგენს და რომელიც ოჯახურ ძალადობასა და ტრეფიკინგს შორის ფარულ კავშირებსა და კორელაციას შეეხება.

არავინ დაობს ოჯახური ძალადობის გენდერულ ხასიათზე, რომლის მსხვეპლთა 90 %, მსოფლიო მასშტაბით არსებულ ფაქტებსა და სტატისტიკაზე დაყრდნობით, ქალია. ამისგან განსხვავებით, ნაკლები მეცნიერი თუ იღებს მხედველობაში ტრეფიკინგის და განსაკუთრებით სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის გენდერულ ხასიათს, მაშინ როდესაც საერთაშორისო აქტები ამაზე განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს, და საერთაშორისო პრაქტიკაც იგივესვე მოწმობს. ამის დასტურია არამხოლოდ ის, რომ პალერმოს ოქმი ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ მოწყვლად ჯგუფად ქალებსა და ბავშვებს მოიხსენიებს, არამედ ისიც, რომ ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის იმ ნაწილთან მიმართებით, რომელიც ეხება გენდერული თანასწორობის საკითხებს, განმარტებულია, რომ: ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა გულისხმობს არა მარტო სქესის საფუძველზე დისკრიმინაციის გამორიცხვას, არამედ პოზიტიურ ზომებსაც ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის მისაღწევად. თანასწორობას ხელი უნდა შეეწყოს ქალებისთვის განკუთვნილი სპეციალური პოლიტიკით, ვინაიდან უფრო მეტად სავარაუდოა, რომ ქალები დაექვემდებარონ ისეთ ქმედებებს, რომლებიც შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს წამებად თუ არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობად (ფიზიკური ძალადობა, გაუპატიურება, გენიტალიების დამახინჯება, ტრეფიკინგი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით).

ასევე, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ წევრი სახელმწიფოებისთვის მინისტრთა კომიტეტის “რეკომენდაცია #Rec(2002)5 ძალადობისაგან ქალების დაცვის შესახებ” ადამიანებით ტრეფიკინგს ქალების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის ერთ-ერთ ფორმად განიხილავს.

მამასადამე, ოჯახური ძალადობისას, გენდერული ნიშნის გამოკვეთის მსგავსად, ამავე ნიშანზე აქცენტი, ქალთა მიმართ ტრეფიკინგს (განსაკუთრებით კი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით), შემთხვევებზეც უნდა გაკეთდეს, მითუმეტს, რომ სქესის ნიშნით მსხვერპლთა გამოსახვის სტატისტიკური მონაცემი აქაც ისეთივე შთამბეჭდავია, როგორც ოჯახური ძალადობისას. კერძოდ, ასეთ მსხვერპლთა 80 % -ს ქალები და ბავშვები შეადგენენ.

ორივე სახის დანაშაულის ერთიან გენდერულ სიბრტყეში ხედვა ეფუძნება მოსაზრებას, რომ სწორედ გენდერული ნიშანია ის ამოსავალი, რომლითაც განპირობებულია ამ დანაშაულთა მსხვერპლ ქალებზე განხორციელებული ქმედების იდენტური ხასიათი, ისევე როგორც - მსხვერპლთა ერთგვარი გადანაცვლება ჩაგვრის ერთი ფორმიდან მეორეში ანუ ერთი სახის დანაშაულისათვის ვიქტიმიზირებიდან მეორეში. სწორედ ამ პერსპექტივიდან და აღნიშნული ორი მიმართულებით იკვეთება ფარული კავშირები და კორელაციები მათ შორის.

ამ თვალსაზრისით, წარმოვაჩინოთ ამ ორ დანაშაულს შორის პირველი იდენტური მახასიათებელი - ძალაუფლება და კონტროლი, განხორციელებული დამნაშავის მხრიდან. მამასადამე, ძალაუფლება და კონტროლი არის ოჯახური ძალადობისა და ტრეფიკინგის საერთო ნიშანი.

ტრეფიკინგი მიჩნეულია ორგანიზებულ დანაშაულად, რომელიც არღვევს ადამიანთა თანასწორობის პრინციპს, ლახავს ღირსებას და შესაბამისად, თითქმის მთელს მსოფლიოშია დასჯადი. ამისგან განსხვავებით, ოჯახური ძალადობა, როგორც გენდერული დისკრიმინაციის



ერთ-ერთი გამოვლინება, კვლავ რჩება პრობლემად მიუხედავად მისი აღმოფხვრის მიმართებით გადადგმული სერიოზული ნაბიჯებისა.

ამასთან, ორივე დანაშაულის გავრცელების არეალი – როგორც ოჯახური ძალადობის, ისე ქალთა ტრეფიკინგისა, განსაკუთრებით თვალშისაცემია ადამიანის უფლებათა და სისხლის სამართლის პერსპექტივიდან.

თუმცა, სხვაობა ისაა რომ, ტრეფიკინგისგან განსხვავებით, ოჯახური ძალადობა, იურისტთა ნაწილს ნაკლები სერიოზულობის პრობლემად მიაჩნია და კიდევ უფრო მცირე ნაწილი თანხმდება იმაზე, რომ ეს დანაშაულები, ჩადენილი ქალის მიმართ, თანაბარ, სისხლისსამართლებრივ სივრცეში უნდა იქნას დანახული. მეტიც, კიდევ უფრო ცოტას აქვს მზაობა, რომ დაინახოს და წარმოაჩინოს კავშირი ამ ორ დანაშაულს შორის. ამ დროს კი, პრაქტიკაში, ძალიან ბევრი საქმეა, რომლებშიც ოჯახური ძალადობა გვევლინება ტრეფიკინგის წინმსწრებ ან შემდგომ ქმედებად, დანაშაულად.

უკანასკნელ წლებში, თანდათან გაიზარდა იმ პროფესიონალთა რიცხვი, რომლებიც მხარს უჭერენ ტრეფიკინგის გენდერულ ძალადობად მიჩნევის მოზარებას, - განსაკუთრებით კი იმ პროფესიონალთა შორის, რომლებსაც ოჯახური ძალადობის მსხვერპლთან და მათ საქმეებთან აქვთ შეხება. ასეთი კავშირის დანახვა მნიშვნელოვანია როგორც ამ საკითხებზე ცნობიერების ასამაღლებლად, ისე მოსამართლეთა და ამ მიმართებით პოლიტიკის წარმმართველთა პრობლემაში უკეთ გასარკვევად. ასეთი ხედვა ასევე კარგი საშუალებაა იმის გასაგებად, თუ რა სახის დახმარება და მომსახურება ესჭიროება ასეთ დანაშაულთა მსხვერპლებს. ამ კეთილშობილი მიზნების მიღწევა მხოლოდ მსხვერპლთა გამოცდილებისა და იმ პირობების შესწავლის შედეგადაა შესაძლებელი, რომელთა გამოც აღმოჩნდა მხვერპლი ქალი ამ გარემოებებში.

ამ ორი სახის დანაშაულის – ოჯახური ძალადობის და სექსუალური ექსლუატაციის მიზნით ტრეფიკინგის - იდენტური ნიშანია დამნაშავის მიერ წინასწარგაზრახული და თანმიმდევრულად ჩამოყალიბებული ტაქტიკის და ძალაუფლებისა და კონტროლის განხორციელება მსხვერპლის მიმართ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძალადობისა და კონტროლის აღმნიშვნელი ბორბალი, რომელიც დამნაშავის მიერ მსხვერპლის დაქვემდებარების მიზნით განხორციელებულ ქმედებებს გამოხატავს, აშშ-ში შეიქმნა. იგი მოიცავს ისეთი კომონენტებს, როგორიცაა იძულება და მუქარა, დაშინება, ემოციური ძალადობა, იზოლირება, ძალადობის უარყოფა და ქალის დადანაშაულება, ბავშვების გამოყენება, მამაკაცური პრივილეგიები, ეკონომიკური ძალადობა.

აქ ჩამოთვლილი ქმედებები და მახასიათებლები, მეტ-ნაკლებად სახემეცვლილი ფორმით, ასევე გამოიყენება ტრეფიკინგის შემსწავლელ ექსპერტთა მიერ, რომელთაც ეს მოდელი ტრეფიკინგის “ბორბალს” მთარგმნის, და რომელიც ასახავს ძალადობის და სასტიკი მოპყრობის იმ ფორმებს, რომლებსაც ტრეფიკერები ახორციელებენ მსხვერპლის წინააღმდეგ. პარალელურად, ეს ბორბალი აბსოლუტურად მოიცავს იმ ტაქტიკას, რომელიც ხორციელება პროსტიტუციაში ჩაბმული ქალების მიმართ. ამგვარ ბორბალში ზემოთჩამოთვლილი მახასიათებლების გარდა

მითითებულია ასევე ისეთებზე როგორცაა: სტიგმატიზაცია, დამცირება და დადანაშაულება, ნარკოტიკდამოკიდებულების და ალკოჰოლდამოკიდებულების ხელშეწყობა.

ასეთი „ტრეფიკინგის ბორბალის“ არსებობის პირობებში იმავნაირად მოქმედებს ძალაუფლების და კონტროლის კომპონენტი. იგი ეფუძნება მამაკაცის პრივილეგიებს და უფლებებს, რომელიც გამოხატება ქალის კონტროლში, ამცირებს მის ღირსებას და მისი პიროვნება დაჰყავს სექსუალურ ობიექტამდე. სწორედ მამაკაცის პრივილეგიებზეა დაფუძნებული მსოფლიო სექს-ინდუსტრია.

მეორე კომპონენტი, რაც ოჯახური ძალადობისა და სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგს შორის შესაძლო კავშირზე მეტყველებს, არის ე.წ. „გამოწვევისა და მიწოდის“ ძალები, რომლებიც ტრეფიკინგის დანაშაულის განხილვისას იმ ფაქტორებს წარმოადგენენ, რომელიც უბიძგებს მოწყვლად ადამიანთა ჯგუფს იძულებითი შრომისა და პროსტიტუციისკენ. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია ოჯახური ძალადობა.

მსოფლიო კვლევები, უფრო კონკრეტულად კი, აშშ-ის გამოცდილება გვიჩვენებს, ტრეფიკინგი სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ძალიან ხშირად არის ინტიმური პარტნიორის ძალადობის ექსტრემალური ფორმა, რომლის დროსაც ტრეფიკერში არის გაერთიანებული მოძალადე.

კიკას საქმე, რომელსაც შევხები, ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს ტრეფიკინგი და ინტიმური პარტნიორის ძალადობა. ემპირიული კვლევები უჩვენებს რომ, მოძალადეთა მსგავსად, ტრეფიკერებიც (სუტენიორიც) იყენებენ იძულებითი კონტროლის სტრატეგიებს, როგორცაა იზოლირება, მუქარა, სექსუალური ძალადობა, და ეკონომიური კონტროლი. ეს ტაქტიკა აბსოლუტურად თანმიმდევრულია, მიუხედავად იმისა, ოჯახურ ძალადობისას გამოიყენება თუ ტრეფიკინგისას.

ისმის შეკითხვა: როგორ შეიძლება ოჯახური ძალადობა გადაიზარდოს ტრეფიკინგში? ეს პროცესი სხვადასხვა გზით შეიძლება წარიმართოს, მათ შორის სასიყვარულო ისტორიის მეშვეობით, ან იძულების წესით. თუმცა, მთავარი, რაც ამ ტაქტიკებს წინ უძღვის წინმსწრები ოჯახური ძალადობის ფაქტია.

უფრო მეტიც, კვლევები მიუთითებენ, რომ ძალადობის ხარისხი და ტრეფიკინგის ალბათობაც მეტია იქ, სადაც ოჯახური ძალადობის მსხვერპლი გოგონა პატარაობაშივე ხდება. განსაკუთრებით ბრუტალური შემთხვევები ეხება სექსუალურ ძალადობას, ინცესტს. სამწუხაროდ, ქართულ რეალობაში არის ასეთი შემთხვევა.

**კატოს საქმე.** კატო, 18 წლის ახალგაზრდა გახლავთ როგორც ოჯახური ძალადობის, ისე ტრეფიკინგის მსხვერპლი და ასეთი გადაცვლება ერთი სახის დანაშაულისთვის ვიქტიმიზაციიდან მეორეში, განაპირობა იმან, რომ ეს ბავშვი 13 წლის ასაკში გააუპატიურა მოძალადე მამამ, დედამ კი ეს ამბავი არ დაიჯერა და ბავშვი ქუჩაში აღმოჩნდა, საიდანაც იგი უკვე ტრეფიკინგის მსხვერპლად იქცა.

**ოლგას საქმე.** შემდეგი მაგალითი წარმოგვიჩენს ეკონომიკურ სიდუხჭირეს, როგორც ოჯახური ძალადობიდან ტრეფიკინგში გადასვლის თვალშისაცემ ფაქტორს.

ხშირია შემთხვევები, როცა თაღლითობით ხდება ეკონომიურად გაჭირვებული ქალის ტრეფიკინგში ჩართვა, როგორც ეს ოლგას საქმეში იყო. ეს არის ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალის საქმე, რომელიც ჩააბეს იძულებით შრომაში. ოლგას იმდენად უნდოდა, გაქცეოდა ოჯახური ძალადობის აუტანელ პირობებს უკრაინაში, რომ ვერც კი შენიშნა, რომ ქალი, რომელიც თავშესაფარსა და დაცვას სთავაზობდა, - მისი მომავალი ტრეფიკერი იყო. ოლგას გამუდმებით სცემდა ქმარი უკრაინაში და მუდმივ საფრთეს უქმნიდა ცოლსა და მათ 2 არასრულწლოვან გოგონას. ქალს წასასვლელიც არსად ჰქონდა, რადგან მათ სოფელში თავშესაფარი არ არსებობდა ძალადობის მსხვერპლთათვის, პოლიცია კი, არსებული პრაქტიკით, მოძალადე ქმრებთან აბრუნებდა ქალებს.

ერთმა უკრაინელმა ქალმა, რომელიც წარმოშობით ოლგას სოფლიდან იყო, შესთავაზა მას ნიუ იორკში წასვლა და დაჰპირდა, რომ კარგ სამუშაოზე მოაწყობდა. იგივე ქალი დაეხმარა ოლგას უკრაინაში მესაზღვრეების მოქრთამვაში. თუმცა, როცა ოლგა ჩავიდა უკრაინაში და დაიწყო მუშაობა, იმ უკრაინელმა ქალმა მთელი მისი შრომით გამომუშავებული ფული მიისაკუთრა და ოლგას არანაერი თანხა აღარ დარჩა თავის შვილებთან გასაგზავნად უკრაინაში. ამის შემდეგ ოლგას სცემდნენ და ემუქრებოდნენ, რომ თუ ისე არ მოიქცეოდა როგორც უბრძანებდნენ, მოუკლავნენ შვილებს და გაყიდნენ მათ ორგანოებს. მხოლოდ მაშინ მიხვდა ოლგა რომ ერთი საშინელი სიტუაცია შეცვალა მეორეთი, უფრო უარესითაც კი, და აღმოჩნდა, რომ მხოლოდ იმიტომ გაეცალა მოძალადე ქმარს, რომელიც სცემდა, რათა მონობაში აღმოჩენილიყო.

**კიკას საქმე.** შემდეგი მაგალითი, ერთი დამთრგუნველი, დანაშაულებრივი გარემოდან მეორეში გადანაცვლების მიზეზად ცრუ სასიყვარულო ურთიერთობას წარმოგვიდგენს.

ხშირად, ტრეფიკერი შეიძლება იყოს მსხვერპლის მეგობარი მამაკაცი, ინტიმური პარტნიორი. ასეთ დროს სიტუაციისგან თავის დამკრეწა კიდევ უფრო ძნელია და ქალები ერთდროულად არიან ორივე დანაშაულის მსხვერპლი. ერთ-ერთი კვლევა მიუთითებს, რომ სექს-ტრეფიკინგის მსხვერპლთა 44% აღნიშნავს, რომ მათი ექსპლუატატორი იყო მათი მეგობარი მამაკაცი.” ამ ტიპის დამნაშავეები ხშირად თავიდან მოიპოვებდნენ მსხვერპლის ნდობას და მერე აიძულებდნენ მათ პროსტიტუციაში ჩაბმას, ან გადასცემდნენ ექსპლუატატორს.

არსებობს სპეციალური ტაქტიკა, რომ სიყვარულისა და “რომანტიკის” მეშვეობით ჩააბან ქალები ამ ქმედებებში. ისინი თავდაპირველად მზრუნველ და შეყვარებულ მამაკაცად მოაჩვენებენ თავს, შემდეგ კი აღმოჩნდება, რომ არიან ტრეფიკერები და ორგანიზებული ჯგუფის წევრები. ეს ტაქტიკა განსაკუთრებით კარგად “მუშაობს” სიღარიბეში გაზრდილი გოგონების მიმართ, რომელთაც არ ჰყავდათ გავლენიანი და ძლიერი მამები. ძირითადად, ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ემიგრანტი ქალები არიან ტრეფიკინგის და პროსტიტუციის რისკის ქვეშ. ეს ის შემთხვევებია, როცა ასეთი ქალები ამ დანაშაულთა მსხვერპლად თავისი პარტნიორის გამო იქცნენ. კიკას საქმე ამის მაგალითია.

კიკას, რომელიც ახალგაზრდა, მარტოხელა დედა იყო, მოტყუებით შეაყვარა თავი დანილემ. სიყვარულის დასამატკიცებლად იმასაც კი დაჰპირდა რომ, კიკას ქორწინების გარეშე შობილ

გოგონას თავის გვარს მიცემდა. ეს კი ვენესუელას კონსერვატიულ საზოგადოებაში კიკასთვის დიდი საჩუქარი იყო. ამგვარად, დანიელმა, ღრმად შეყვარებული კიკა დაითანხმა ვენესუელადან ამერიკაში მასთან ერთად წამოსვლაზე. ასე ჩამოიტყუა იგი ამერიკაში, სადაც ტრეფიკინგში ჩააბა - ჩამოსვლისთანავე წაართვა ფული, პასპორტი, უკონტროლება ნებსიმირ ნაბიჯს და აიძულემა ემუშავა ბორდელში, რომელსაც მისი ბიძაშვილი, შანდრა მართავდა. დანიელი ამდროულად იყო მისი ინტიმური პარტნიორი და ძალადობდა მასზე. ერთსადიმავე დროს დანიელი იყო მოძალადეც და ოჯახური სექს-ტრეფიკინგის ორგანიზებული ჯგუფის წარმომადგენელიც.

კიკასთვის, როგორც ტრეფიკინგში “შესვლის” ისე იქიდან “გამოსვლის” გზა ოჯახური ძალადობა აღმოჩნდა. ქალმა ტრეფიკერებისგან თავის დაღწევა მხოლოდ ერთ-ერთ სექსუალური სერვისის მომხმარებელ კლიენტზე ქორწინებით შეძლო და თავი ერთი სახის ძალადობიდან მეორეში ჩაიგდო. მისი ქმარი ანრი, არამხოლოდ კიკაზე, არამედ მათივე ქორწინებაში დაბადებულ 2 არასრულწლოვანზე ძალადობდა იარაღის გამოყენებით. ამ საქმიდან ნათელია, თუ როგორ შეიძლება ამოქმედდეს ჩემს მიერ ნახსენები ე.წ. “გამოწევისა და მიწოლის” ძალები, მაშინ როცა პარტნიორი მამაკაცები შეყვარებულ მამაკაცებად აჩვენებენ თავს ქალს, მაშინ როცა მათ რეალურ მიზანს ამ ქალების ტრეფიკინგში ჩაბმა წარმოადგენს.

ბოლოს, კიდევ ერთი კომპონენტი, რომელსაც დანაშაულის ამ ორ სახეს ერთ სიბრტყეში აქცევს, ეს არის ამ ტიპის დანაშაულით მიყენებული მსგავსი ხასიათის ზიანი, ისევე როგორც მსხვერპლთათვის შეთავაზებული სერვისების მსგავსება. ოჯახური ძალადობის მსხვერპლების მსგავსად, სექს-ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალებიც განიცდიან სერიოზულ ფიზიკურ და ემოციურ ზიანს. ასეთ ქალთა დასახმარებლად მეტ-ნაკლებად მსგავსია მათი თავშესაფარში მოთავსებისა და შესაბამისი სამედიცინო, იურიდიული თუ ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის რეგულირების საკითხები.

შეჯამების სახით, აუცილებელია პოლიტიკური ნება ქალთა ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად, იქნება ეს ბრძოლა ოჯახური ძალადობის თუ ქალთა გლობალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ.

თსუ იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი,  
სამართლის დოქტორი,  
მარინა მესხი

ქალის მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და აღკვეთის კონვენციამ (ე.წ. სტამბულის კონვენციამ) პრეამბულაშივე აღიარა რომ ქალები და გოგონები ხშირად ხდებიან ისეთი სერიოზული ფორმის ძალადობის მსხვერპლი, როგორცაა ღირსების აღდგენის სახელით ჩადენილი დანაშაული.

ყველაზე გავრცელებული მოსაზრებით, ღირსების დანაშაული ფემიციდის სახეობად მოიაზრება . (ფემიციდი (femicide) , ქალზე ძალადობის უკიდურეს ფორმად ითვლება და აღნიშნავს ქალებისა და გოგონების მკვლელობას (femi- ქალი, cide - კვლა) , რომელიც სექსიზმიტაა განპირობებული და ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულების სხვადასხვა ფორმით ხასიათდება.

ძირითადად, ქალის მკვლელობა საზოგადოებაში არსებული სოციალური კულტურული სტერეოტიპების გავლენით ხდება, სადაც მამაკაცის უპირატესობაა აღიარებული და ქალის სოციალურ ნაკლები მნიშვნელობის მქონეა შეფასებული. ქალის დაქვემდებარებულ როლს დამნაშავე იყენებს და მის მკვლელობას როგორც მისი მამაკაცური ღირსების საქმედ ისე განიხილავს.

ფემიციდად ითვლება მამაკაცის მიერ ქალის მკვლელობა იმ მიზეზით რომ ის ქალია . როგორც აღნიშნეთ, ღირსების დანაშაული ფემიციდის სახეებს განეკუთვნება, რომლის ჩამონათვალი შემდეგია:

- ა) ინტიმური პარტნიორის მიერ ჩადენილი
- ბ) ღირსების აღდგენის სახელით
- გ) არაინტიმური პარტნიორის მიერ (მკვლელი არ არის ნათესაურ კავშირში)
- დ) მზითევთან დაკავშირებული

**განვიხილოთ ღირსების სახელით ჩადენილი ფემიციდი .**

სტამბულის კონვენციის 42-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფომ შემამსუბუქებულ გარემოებად არ უნდა ჩათვალოს დანაშაული ჩადენილი ღირსების სახელით. აღნიშნული მუხლის მიხედვით, მხარეებმა უნდა მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო თუ სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად რომ სისხლის სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, “კულტურული, ჩვევებთან, რელიგიასთან, ტრადიციებთან ან ე.წ. “ღირსების” მცნებასთან დაკავშირებული მოსაზრებები არ იყოს მიჩნეული ასეთი აქტების გამართლებად”. ეს განსაკუთრებით ეხება იმ შემთხვევებს როცა დაზარალებულმა დაარღვია შესაბამისი კულტურული, რელიგიური, სოციალური ან ტრადიციული ქცევის ნორმები ან ჩვეულებები.

აქედან გამომდინარე, ღირსების აღდგენის სახელით ჩადენილ დანაშაულად (Honour Killing) ჩათვლება მკვლელობა, რომელსაც ჩადის ოჯახის წევრი მამაკაცი ოჯახის “ღირსების” შენარჩუნების მოტივით.

მკვლელობის მიზეზი შეიძლება იყოს ქალის მიერ ქორწინების გარეშე დამყარებული სქესობრივი ურთიერთობა ან ქალის ქცევის გაბატონებული სტერეოტიპის დარღვევა, ცოლ-ქმრული დალატი, ქორწინების გარეშე ორსულობა, ასევე ინცესტის მიჩქმალვის მიზნით ჩადენილი მკვლელობა .

ვფიქრობ, მოკლედ უნდა მიმოვიხილოთ ადამიანური ღირსების გაგება და საფუძველი, შინაგანი მე - ადამიანური ღირსების საფუძველია. უნდა აღვნიშნოთ, რომ ღირსების ბუნება ცვალებადია და დროთა განმავლობაში ტრანსფორმაციას განიცდის.

უძველეს კულტურებში ღირსება შეზღუდული ჯგუფის პრივილეგია იყო;

მოგვიანებით, ყველა ადამიანის ატრუბუტი გახდა და ღირსება ადამიანის როგორც თავისუფალი ნების მქონე ინდივიდის თანდაყოლილ თვისებად იქნა მიჩნეული;

ევროპის ქვეყნებში ღირსების დემოკრატიზაცია პოლიტიკური სისტემების ევოლუციას უკავშირდება, რომელიც მოქალაქეთა ფართო ჯგუფებს ანიჭებდა უფლებებს.

ღირსების უნივერსალიზაციას ვხვდებით ასევე სხვადასხვა ტრადიციებში, რომლის მიხედვითაც ყველა ადამიანს გააჩნია მორალური არჩევანის გაკეთების უნარი.

კანტმა მორალური წესების ფორმა მიანიჭა: ადამიანის შინაგან არსს მორალური არჩევანის გაკეთებაზე მეტი შეუძლია და სავსეა სხვადასხვა გრძნობითა და გამოცდილებით, რომელსაც საზოგადოება უთრგუნავს.

ღირსება დაეფუძნა ავთენტური შინაგანი არსის აღდგენას და საზოგადოების მიერ იმ შესაძლებლობის აღიარებას, რომელიც მის თითოეულ წევრს გააჩნია.

ღირსება დაეფუძნა მორალურობის უნარს, შინაგანი ცოდვილი მისწრაფებების ხარჯზე, დაემორჩილოს მისი ოჯახური და სექსუალური ცხოვრების, საზოგადოებასთან ურთიერთობის განმსაზღვრელ მორალურ წესთა ნაკრებს.

ამრიგად, როცა ქალის მიერ მორალურ წესთა ნაკრების შეუსაბამო საქციელია ჩადენილი, ითვლება მამაკაცის ღირსების შელახვად, ვინაიდან ითვლება რომ ქალზე კონტროლის შენარჩუნება მისი ვალდებულებაა და

მამაკაცის მიერ ქალის მკვლელობა მის მიერ ჩადენილი მორალური წესის დარღვევის გამო, ითვლება ღირსების აღდგენის სახელით ჩადენილ დანაშაულად.

ღირსების დანაშაული ძლიერ პატრიარქალურ საწყისს ეფუძნება, მისთვის დამახასიათებელია სირცხვილის არასწორი გაგება და მართვა. ოჯახის სიწმინდის დასაცავად საჭირო მოქმედება და გაბატონებული ნორმის დამრღვევი ქალის მოკვლა ამ მიზნით.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, სახელმწიფომ ყველა ზომა უნდა გამოიყენოს რომ ღირსების აღდგენის მოტივით ჩადენილი დანაშაული არ ჩაითვალოს შემამსუბუქებელ გარემოებად.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ

საქართველოს კონსტიტუციითა და მოქმედი კანონმდებლობით დასჯადია ნებისმიერი დანაშაული, ჩადენილი სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევისათვის. ასევე, საქართველოს კანონმდებლობისათვის არ არის შემამსუბუქებელი გარემოებად ცნობილი ე.წ. “ღირსების” სახელით ჩადენილი დანაშაულები.

თუმცა პრობლემამ სხვა კუთხით შესაძლებელია იჩინოს თავი და ამის გათვალისწინება აუცილებელია სამართალწარმოების ყველა ეტაპზე.

UN სპეც. მონიტორის 2012 წლის ანგარიშში აღნიშნულია რომ ქალის მიმართ ჩადენილი დანაშაულის რიცხვის ზრდას ხელს უწყობს (მათ შორის უნდა მოვიზიაროთ ღირსების დანაშაულები) ა) დიდი რაოდენობით უარყოფილი განცხადებები და ბ) მცირე რაოდენობის სასამართლო განაჩენები. ამ გარემოებების მიზეზებია : საჩივრების უარყოფა და რისკების არასწორი შეფასება; გამოძიებისას გენდერული ნიშნის გაუთვალისწინებლობა; მოწმეთა ჩვენებების გარდა სხვა მტკიცებულების არარსებობა ან სიმწირე; დანაშაულის არასწორი კვალიფიკაცია; დამნაშავის მიმართ შემამსუბუქებელი სანქციის გამოყენება; დაზარალებულის/ მოწმის დაცვის არასაკმარისი ეფექტურობა.

მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს გენდერული ნიშნით ჩადენილი მკვლელობების გამოძიებისა და სასამართლო განხილვების 3 მიდგომა:

- სსკ შეტანილია “ფემიციდის“ დანაშაულები, როგორც დამოუკიდებელი შემადგენლობა
- გენდერული მოტივი როგორც დამამძიმებელი გარემოება (სუბიექტური და ობიექტური გარემოებების ერთობლიობა, სუბიექტური - სიძულვილი, ღირსების შელახვა; ობიექტური - დამოკიდებულება მსხვერპლსა და მოძალადეს შორის)
- სს წესით მკვლელობის ასახვა, გენდერულად ნეიტრალურია და ქალის და მამაკაცის კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობას გულისხმობს (აქ სტატისტიკის წარმოება იქნება რთული).

აქ აუცილებლად უნდა დაისვას კითხვა სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებათა საჭიროების მიზანშეწონილობის შესახებ, საჭიროა თუ არა ფემიციდის შესახებ ცალკე ჩანაწერის არსებობა სისხლის სამართლის კოდექსში თუ 53.3 -ე მუხლის ფორმულირება, რომელიც დანაშაულის ჩადენას დისკრიმინაციის, მათ შორის სქესის შემცველი ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად განიხილავს.

ამრიგად, აუცილებელია გატარებული იქნას ყველა ზომა ღირსების აღდგენის სახელით ჩადენილი დანაშაულის შემწყნარებლობის ან შემამსუბუქებელ გარემოებად მიჩნევის წინააღმდეგ და სამართალწარმოების ყველა ეტაპზე ღირსების აღდგენის სახელით ჩადენილი მკვლელობა დაცული იქნას საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების გავლენისაგან.

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი,  
ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი,  
გიორგი ღლონტი

„ოჯახში ძალადობის მიზეზები, ფაქტორები და პრევენცია“.

„ოჯახში ძალადობის ცნება“

„ოჯახში ძალადობა“ გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით“.

მნიშვნელოვანია განვასხვავოთ ოჯახში ძალადობის სხვადასხვა სახეობები: ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური.

- ფიზიკური ძალადობა - პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება მსხვერპლზე ფიზიკური ზიანის მიყენების მიზნით, როგორცაა სხვადასხვა სიმძიმის სხეულის დაზიანება, ცემა და სხვა. ფიზიკური სასჯელი ოჯახში ძალადობის ერთერთი ფორმაა. მას მიეკუთვნება, ასევე, პირველ სამედიცინო დახმარების გაწევაზე უარი, ალკოჰოლური სასმელებისა და ნარკოტიკების იძულებით გამოყენება და ა.შ.
- სექსუალური ძალადობა, მათ შორის, ბავშვებზე;
- ფსიქოლოგიური ძალადობა - დამცირება. შეურაცხყოფა, მსხვერპლის ქცევის კონტროლი, იზოლაცია, ურთიერთობების შეზღუდვა, დაკითხვა, შანტაჟი, ძალის გამოყენების მუქარა;
- ეკონომიკური ძალადობა - ოჯახის ფინანსური და სხვა რესურსების კონტროლი, გამომალვა და გამომალვის იძულება, განათლების მიღების ან დასაქმების აკრძალვა/შეზღუდვა, ოჯახის ფინანსური რესურსების მიზანმიმართული გაფლანგვა.

### ოჯახში ძალადობის თეორიები

ოჯახში ძალადობის აღკვეთის სტრატეგია რომ ეფექტიანი იყოს, ის უნდა ეფუძნებოდეს ოჯახში ძალადობის მიზეზების შესახებ მკაფიოდ ჩამოყალიბებულ თეორიებს.

სასარგებლოა ვიცნობდეთ ძალადობის შესახებ თეორიების ევოლუციას აშშ-ში, რასაც სხვა ქვეყნებშიც იყენებენ. ზოგიერთი თეორია საყოფაცხოვრებო ძალადობის მექანიზმს ხსნის, ზოგიერთი მათგანი კი არაეფექტური და სახიფათო აღმოჩნდა მსხვერპლისათვის.

აღნიშნული თეორიების არსისა და ნაკლის ცოდნა დაგვეხმარება დავგვემოთ სწორი საპასუხო ქმედებები ძალადობის საწინააღმდეგოდ, რაც გააუმჯობესებს მოძალადის დასჯის და მსხვერპლის დაცვის სისტემას.

განვიხილოთ ზოგიერთი თეორია ოჯახში ძალადობის შესახებ:

1. „ფსიქიკური პათოლოგიის“ თეორია ამტკიცებს, რომ ოჯახში მოძალადეები



ფსიქიკურად არიან დაავადებულები. კვლევებმა აჩვენა, რომ მოცემული თეორია არ მყარდება პრაქტიკით. ფსიქიატრიული ექსპერტიზა, როგორც წესი, არ ადასტურებს, რომ ოჯახში ძალადობის საფუძველი ფსიქიკური დაავადებაა. ოჯახში მოძალადეები, როგორც წესი, მოქმედებენ ამორჩევით და ფსიქიკურად დაავადებულებისგან განსხვავებით, თავს ესხმიან მხოლოდ ინტიმურ პარტნიორებს;

2. ალკოჰოლური ან ნარკოტიკული ინტოქსიკაციის შედეგად „კონტროლის დაკარგვის“ თეორია, რომელიც ძალადობას მიიჩნევს მოძალადის მიერ საკუთარი ქცევის კონტროლის უუნარობას ალკოჰოლური ან ნარკოტიკული თრობის გამო. ეს თეორია ეწინააღმდეგება მსგავსი ტიპის მოძალადის ქცევას. მათი სისასტიკე მიმართულია გარკვეული ადამიანების მიმართ განსაზღვრულ ადგილას და დროს. უფრო ხშირად ისინი სასტიკ ქმედებებს მიმართავენ მაშინ, როცა მარტო, ანუ მოწმეების გარეშე იმყოფებიან თავიანთ პარტნიორთან ერთად.
3. „შემძინილი უმწეობის“ თეორიას, ანუ ნაცემი ქალის სინდრომს საფუძველად უდევს დასკვნა, რომ ქალები, რომელთა მიმართაც ოჯახში ხშირად ძალადობენ, ფსიქოლოგიურად „ტყდებიან“, ვერ უწევენ წინააღმდეგობას სისასტიკეს და ვერ იღებენ გადაწყვეტილებას ტირანთან ურთიერთობის შეწყვეტის თაობაზე. ამ თეორიას აქვს გარკვეული მნიშვნელობა, მაგრამ ის იგნორირებს ფაქტს, რომ არსებობს მრავალრიცხოვანი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მიზეზი, რომელთა გამო ქალები არ ანგრევენ ოჯახებს, სადაც ისინი ძალადობის მსხვერპლი ხდებიან. მაგალითად, ქალებს ეშინიათ ხოლმე შურისძიების თავის ან შვილების მიმართ, არ აქვს საკმარისი მატერიალური სახსარი შვილების აღსაზრდელად, გარდა ამისა, შეიძლება მოერიდონ კრიტიკას სოციალურ გარემოში.
4. „ოჯახში კონფლიქტის მოდელის“ თეორიის თანახმად, ორივე პარტნიორს თავისი წვლილი შეაქვს ძალადობის აღმოცენებაში და მსხვერპლი საკუთარი ქმედებებით მის მიმართ სასტიკი მოპყრობის პროვოცირებას ახდენს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ძალის გამოყენებას ქალები, მამაკაცებისგან განსხვავებით, როგორც წესი, თავდაცვისთვის იყენებენ ხოლმე.
5. „ოჯახში ძალადობის ციკლების“ თეორია, რომელიც ოჯახში კონფლიქტის მოდელის მსგავსია, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში შემუშავდა ამერიკელი მკვლევარის ლენორ უოლკერის მიერ. მისი კონცეფციის თანახმად, ოჯახში ძალადობა განმეორებადი, მზარდი სიხშირის მოქმედებათა ციკლია, რომელიც 4 სტადიას მოიცავს:
  - ოჯახში დამაბულობის ზრდას, როდესაც მატულობს უკმაყოფილება და ირღვევა ნორმალური ურთიერთობები ოჯახის წევრებს შორის. ამ სტადიაზე მსხვერპლი აგრესორის დაშოშმინებას ცდილობს ხოლმე;
  - ძალადობრივ ინციდენტს ვერბალური, ემოციური ან ფიზიკური სისასტიკის გამოვლინებით;
  - შერიგებას, როდესაც მოძალადე იხდის ბოდიშს, ხსნის ძალადობის მიზეზს, ბრალს მსხვერპლს სდებს, ზოგჯერ უარყოფს მომხდარს ან არწმუნებს

მსხვერპლს, რომ არ ღირს მომხდარის გაზვიადება;

- მშვიდ პერიოდს ურთიერთობებში, როდესაც ძალადობრივი ინციდენტი დავიწყებულია და მოძალადე - ნაპატიები. ამ პერიოდს „თაფლობის თვესაც“ უწოდებენ, ვინაიდან პარტნიორებს შორის ურთიერთობები ამ დროს პოზიტიურია.

„თაფლობის თვის“ შემდეგ კი ყველაფერი თავიდან იწყება.

6. „დიფერენცირებული კავშირის“ ან ძალადობის შესწავლის თეორიის თანახმად (ავტორები ამერიკელი სოციოლოგები ედვინ სატერლენდი და დონალდ ტრესი), ზოგადად ძალადობის და, მათ შორის, ოჯახში ძალადობის კონცეფცია ეფუძნება მოსაზრებას, რომ დამნაშავე სწავლობს სასტიკ ქცევას იმისათვის, რომ ის სხვა ადამიანზე კონტროლის განსახორციელებლად გამოიყენოს. სისასტიკეს ადამიანები, ჩვეულებრივ სწავლობენ სხვა ადამიანის ქცევის კოპირებით. მაგალითად, ცოლს უფრო ხშირად ის მამაკაცები სცემენ, რომლებიც ბავშვობაში იყვნენ ოჯახში ძალადობის მოწმეები.

სასტიკი ქცევა შეიძლება შედეგი იყოს, ასევე, იმ სოციალური გარემოს ზემოქმედებისა, სადაც ნარჩუნდება გენდერული დისკრიმინაცია.

ძალადობა არსებობს და ვრცელდება გარემოში, სადაც ხელისუფლებას არ აქვს უნარი, დაიცვას ოჯახში ძალადობის მსხვერპლი.

მოცემული თეორია მიმართულია ინდივიდუალური სისტემური დანაშაულებრივი ქცევის ასახსნელად. რაც მეტად ურთიერთობს ადამიანი კრიმინალურ გარემოსთან, მით მეტია მისი ანტისოციალური დასწავლების ალბათობა.

## **ოჯახში ძალადობის სტატისტიკა**

ოჯახში ძალადობის სტატისტიკური აღრიცხვა საქართველოში წარმოებს ადმინისტრაციული (შემაკავებელი ორდერები) და სისხლისსამართლებრივი (საქ. სსკ 126.1 მუხ.) მიმართულებით. 2015- 2018წწ. ადმინისტრაციული მიმართულებით სამართალდარღვევათა რაოდენობა 2556-დან 4176-მდე გაიზარდა, ხოლო დანაშაულის რაოდენობა 126.1 მუხლის შესაბამისად - 1356-დან 4671-მდე

თსუ იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,

სამართლის დოქტორი,

ლელა ჯანაშვილი

### სკოლა, საზოგადოება და სამართალი

*Ubi ius, ibi societas;*

*სადაც არის სამართალი, არის საზოგადოება*

სამართალი ადამიანების მიერ დადგენილი სოციალური წესრიგის ერთ-ერთი ფორმაა და ამდენად, სამართლის რეგულირების სფეროს ძალზედ ფართოა. იგი დამოკიდებულია საზოგადოებრივი ურთიერთობების უკვე არსებულ სტრუქტურაზე, რაც გარკვეულ სოციალურ კანონზომიერებებს ექვემდებარება.

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლის თანახმად, განათლების კონსტიტუციური უფლება თითოეულს აძლევს განვითარების თანაბარ შანსს. განათლების უფლება ადამიანის უფლებათა თანამედროვე სამართლის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. განათლებაში თანასწორობის პრინციპი მრავალ ასპექტს მოიცავს (დაწყებული ერთიანი საგანმანათლებლო სტანდარტით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის ჩათვლით) და იგი სხვა ძირითადი უფლებების განხორციელების წინაპირობაა.

სამართლის პერსონალური ფუნქცია მოიცავს მართლწესრიგით დადგენილ პიროვნების სტატუსს. სამართალი უზრუნველყოფს ინდივიდის თავისუფალ თვითგანმორკვევას, იცავს მის პირად ავტონომიასა და ცხოვრების ინტიმურ სფეროებს, როგორც სხვა პირებისა, სევე სახელწმიფო მხრიდან უკანონო ჩრევებისაგან. სამართლის პერსონალური ფუნქცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძებს თანამედროვე ტექნიკური პროგრესის პირობებში, როდესაც შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა ადამიანის სულიერებას.

მაგრამ არის საკითხი, რომლებიც შეიძლება სცდებოდეს სამართლებრივი რეგულირების სფეროს, ურთიერთობები, რომლებიც სამართლის მიღმა რჩება და რომელიც სამართლით ვერ მოწესრიგდება.

მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული ისტორიული, პოლიტიკური, კულტურული, რელიგიური თუ ეროვნული კონტექსტიდან გამომდინარე განათლების მიზნები და ამოცანები შესაძლოა ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს (ისე როგორც განსხვავებულია სამართლის როლი სხვადასხვა კულტურებში და ცალკეული ერების ღირებულებით სისტემაში სამართალი, ტრადიციულად მნიშვნელოვან როლს ასრულებს), ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების აღიარება და

დაცვა თანამედროვე საზოგადოების ძირითადი მახასიათებელი და მიზანი უნდა იყოს.

განათლება ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი საშუალებაა. განათლების მიზანს სწორედ ადამიანის უფლებათა პატივისცემა და შესაბამისი კულტურის ჩამოყალიბება წარმოადგენს, რომელიც ინდივიდს პატარაობიდან - სკოლის პერიოდიდან უვითარდება. სამართლი და სამართლებრივი განათლება არის კულტურის ფენომენი, რომელიც ყალიბდება და ვითარდება კულტურასთან ერთად.

სახელმწიფოს, საზოგადოების თუ სხვა ადამიანთა მხრიდან პირის უფლებათა და თავისუფლებათა გაუმართლებელი ხელყოფისგან დაცვისათვის საჭირო პრაქტიკული ცოდნის გავრცელება - რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებათა თეორიასა და პრაქტიკას შორის არსებული დიდი დაშორების გადალახვას. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს დღეს სახელმწიფოთა, საგანმანათლებლო დაწესებულებათა, არასამთავრობო ორგანიზაციათა და სამთავრობოთაშორისი ორგანიზაციების ერთერთ მნიშვნელოვან ამოცანას.

აღნიშნული პროექტის მიზანიც სწორედ ეს გახლდათ, რომ ფართო მასებისათვის ცნობადობის ამაღლება ისეთ საკითხზე, როგორც არის ოჯახში ძალადობა და მისი პრევენციის ეფექტური გზების ძიება

ძალადობა ნეგატიურ გავლენას ახდენს ინდივიდის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებაზე. ადამიანის პოტენციალის სრულფასოვანი რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ ძალადობისგან თავისუფალ, უსაფრთხო გარემოში. შესაბამისად, ძალადობა მნიშვნელოვნად აფერხებს პიროვნების უნარს, ხელი შეუწყოს საკუთარი ოჯახისა და საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ წინსვლას. ძალადობა თანამედროვე საზოგადოების გამოწვევად იქცა. სტატისტიკური მონაცემების ნაკლებობა, რომელიც გამოვლინდა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ხელს უშლის გენდერული ძალადობის პრობლემის უკეთ გაგებას. მიუხედავად იმისა, რომ კვლევათ სიხშირე მაღალია.

მნიშვნელოვანია საზოგადოების მორალური წარმოდგენები ძალადობის თემასთან დაკავშირებით. მორალური შეხედულებების ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს აღზრდა, კულტურული ტრადიციები, ეკონომიკური ურთიერთობები და სხვა. როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოება ვერ იარსებებს საყოველთაოდ აღიარებული მორალური პრინციპების გარეშე

ძალადობის შესახებ არაერთი კვლევა ჩატარებულია სამათვრობო, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ და შესაბამისად არაერთი წინადადება იქნა შეთავაზებული სახელმწიფოს ვალდებულებების შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა გავრცელებული და კომპლექსური პრობლემაა, შესაძლებელია მისი თავიდან აცილება, შემცირება და მასზე ადეკვატური რეაგირება. ამასთან, არსებობს ძალადობასთან ბრძოლის სხვადასხვა გზა. ძალადობრივი ქმედებები არსებითად წარმოადგენს

სამართლებრივი და მორალური ვალდებულებების დარღვევას. მაგრამ პრობლემურია საკითხი სახელმწიფოს მხრიდან კი ძალადობაზე ძალადობრივი რეაგირება შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული არ ნერგავს საზოგადოებაში ნდობას და მშვიდობიანი თანაცხოვრების განცდას არ იწვევს. აღნიშნული ვერ იძლევა გრძელვადიან შედეგს და გათვლილია პრობლემის მყისიერ, მოგვარებაზე. გარდა ამისა, სახელმწიფომ უნდა გააცნობიეროს, რომ საკუთარ მოქალაქეებს დასჯაზე მეტად ხშირად დახმარება სჭირდებათ და საზოგადოებრივი მორალის მოტხოვნებს სახელმწიფო ანგარიში უნდა გაუწიოს.

ძალადობის გამომწვევი მიზეზები ურთიერთგადაჯაჭვულია. სოციალური და კულტურული ფაქტორები, უთანასწორო გენდერული როლები, უმუშევრობა, – ძალადობის გამომწვევ ფაქტორებს წარმოადგენს. ძალადობის რისკებს ზრდის, ასევე, ცივი იარაღი, ალკოჰოლი და ნარკოტიკული ნივთიერებები.

რთულ სოციალურ გარემოში პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზაა - პრევენცია, რომელიც სკოლიდან იწყება. ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის მნიშვნელოვანია საზოგადოების ინფორმირებულობა ძალადობის სხვადასხვა ფორმების შესახებ.

ამ მხრივ განათლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს. რაც უფრო მაღალია პიროვნების განათლების დონე, მით უფრო ნაკლებადაა მოსალოდნელი, რომ მან ძალადობა დასაშვებად მიიჩნიოს. შეიძლება გადაისინჯოს სკოლის სასწავლო გეგმები, რომ ახალგაზრდებმა კარგად გააცნობიერონ ძალადობის არსი და შედეგები. ამასთან, პრევენციისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და აუცილებელი ზომია ძალადობის წინააღმდეგ მასშტაბური კამპანიებისა და განხილვების ორგანიზება.

პრევენციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახედ შეიძლება განვიცხილოთ: საგანმანათლებლო-საკონსულტაციო პრევენცია

პრევენციის მიზანია დამოკიდებულების პრობლემიდან მომდინარე საფრთხეების შესახებ საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირება. საკონსულტაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყოს, რომ მოქალაქის შეგნების შესაბამისი ჩამოყალიბების გზით ოპტიმალურად შემცირდეს დამოკიდებულების პრობლემის გაჩენის რისკები. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პრევენციის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს საგანმანათლებლო მუშაობის წარმართვა ბავშვებთან და მოზრდილებთან. მნიშვნელოვანია სამოქალაქო განათლების წარმართვა, როგორც აქტიური მოქალაქის იდეის სწავლების, ისე დამოკიდებულების პრობლემის მიმე შედეგებზე ინფორმირების კუთხით.

სამოქალაქო განათლების ფარგლებში დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, კონფლიქტების თავიდან აცილების გზების სწავლებამ უნდა უზრუნველყოს მომავალ მოქალაქეებში მშვიდობიანი თანაცხოვრების წინაპირობების ჩამოყალიბება. ეს უკანასკნელი ოპტიმალურად შეამცირებს დამოკიდებულების განვითარების რისკს.

სამოქალაქო განათლებაში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სწავლებასთან ერთად, ცალკე თემატიკა უნდა დაეთმოს მომავალ მოქალაქეში სწორი მომხმარებლური და ეკოლოგიური შეგნების ფორმირებას. სამართლის ეკოლოგიური ფუნქცია სწორედ ადამიანის ანთროპოლოგიურ-პერსონალური ფუნქციის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს

პრევენციის საგანმანათლებლო პროგრამა არ უნდა კონცენტრირდეს მხოლოდ საზოგადოების ახალგაზრდა სეგმენტზე. უნდა წარმოჩინდეს საზოგადოებრივ ორგანიზაციებში არსებული დიდი პოტენციალი ინდივიდის ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისთვის და მოხდეს მათი ჩართვა პრევენციის მიზნების შესასრულებლად. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ზიანი მიადგა პირის ჯანმრთელობას. ამასთან, აუცილებელია სამედიცინო-სარეაბილიტაციო პროგრამების შესახებ საზოგადოების ინფორმირება.

მნიშვნელოვანია პასუხისმგებელი უწყებების მიერ სხვადასხვა პროგრამების/სერვისების შემუშავება და ოპტიმალური შეთავაზება სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის უზრუნველსაყოფად.

ძალადობის დასრულების საუკეთესო გზად მაინც რჩება ეფექტური პრევენცია საზოგადოების მხრიუდან. გლობალიზაციის ეპოქამ გამოიწვია ცვლილებები საზოგადოებრივ ურთიერთობაში, შეიცვალა წარმოდგენები ინდივიდის სოციალური როლის შესახებ, შეიცვალა სტერეოტიპები და ა.შ. საზოგადოების კონსოლიდაციას, თაობათა განათლებაა, სამართლებრივი კულტურის ამაღლება - ეს არის საუკეთესო გამოსავალი არსებული პრობლემის წინააღმდეგ.

თსუ იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი,

იუსტიციის სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის საჯარო და სისხლის სამართლის სამმართველოს მრჩეველი,

*თამარ მახაროზლიძე*

## არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის ფორმები და მისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები

*„ერთ ბავშვს, ერთ მასწავლებელს, ერთ კალამს  
და ერთ წიგნს, შეუძლიათ შეცვალონ სამყარო“.<sup>1</sup>*

### **შესავალი**

არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ ფორმას წარმოადგენს. დღევანდელ მსოფლიო თუ საქართველოს რეალობაში ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და გავრცელებული პრობლემაა. სენსიტიურობას ამ თემას ისიც სძენს, რომ ძალადობის მსხვერპლი ხშირად არასრულწლოვანია, რომელიც სრულწლოვანთან შედარებით დაუცველია, ძალადობის კვალი კი მასზე და მის მომავალზე ყველაზე მძაფრად აისახება. საქართველოში ბოლო პერიოდში გარკვეული რეფორმები გატარდა ძალადობასთან დაკავშირებით, თუმცა კანონმდებლის მხრიდან სათანადო ყურადღება არ დათმობია **არასრულწლოვანზე ძალადობას**, როგორც ამ საკითხის ერთ-ერთ სახეს. ბავშვს აქვს უფლება დაცული იყოს ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტმოქმედებისაგან, იმისაგან, რომ მოკლებული იყო ზრუნვას ან დაუდევრად ექცეოდნენ, უხეშად ეპყრობოდნენ ან ექსპლუატაციას უწევდნენ, აგრეთვე სექსუალურ ძალადობას იჩენდნენ.<sup>2</sup> ბავშვთა ძალადობა ხშირ შემთხვევაში ლატენტური ხასიათისაა. აღნიშნული ქმედების ფარულმა ბუნებამ შესაძლოა განაპირობა სწორედ ის, რომ დღეს ქვეყანაში სრულწლოვან ადამიანებზე ძალადობას უფრო მეტი ყურადღება ეთმობა.

ბავშვის მიმართ სასტიკი მოპყრობის საკითხი ასწლეულების მანძილზე საზოგადოების შემფოთებას და წუხილს იწვევდა, მაგრამ ამ პრობლემას ფართო გამოხმაურება არ ჰქონია. მნიშვნელოვანი პოზიტიური გარდატეხა ბავშვთა მიმართ ძალადობისადმი საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლაში მოახდინა პედიატრმა ჰენრი კემპემ (Henry Kempe). მან, 1961 წელს, ამერიკის პედიატრიის აკადემიის ყოველწლიურ სხდომაზე წარმოადგინა ფუნდამენტური კვლევის შედეგები, რომელშიც პირველად იყო ნახსენები ტერმინი „The Battered-Child Syndrome“ (ნაცემი ბავშვის

<sup>1</sup> მალალა იუსაფზაი, უფლებადამცველი, მსოფლიოს ბავშვთა პრემიის მფლობელი.

<sup>2</sup> ბავშვის უფლებათა კონვენცია, 1989წ., მუხლი 19(1).

სინდრომი). ამ ტერმინით კემპე აღწერდა და განსაზღვრავდა ბავშვებში ე.წ. აუხსნელი დაზიანებების ბუნებას.

შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ დროიდან, მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში, ბავშვებთან მომუშავე მეცნიერებმა და პრაქტიკოსებმა აღიარეს ბავშვთა მიმართ ძალადობის ფენომენი (Child Abuse and Neglect), როგორც სპეციალური პრობლემა, რომლის გადასაჭრელად საჭიროა სხვადასხვა სფეროს პროფესიონალების, მშობლებისა და მთელი საზოგადოების ძალისხმევის გაერთიანება.<sup>3</sup> თუმცა, დასამალი არაა, რომ ბევრ ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს სრულფასოვანი ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ბავშვთა ეფექტურ დაცვას ძალადობის ყველა ფორმისგან. სამწუხაროდ, ამ ქვეყნებს შორის არის საქართველოც.

არაერთმა კვლევამ ცხადყო, რომ არასრულწლოვნებზე ძალადობას ადგილი აქვს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, ყველა კულტურისა და ეთნიკურ ჯგუფში, მიუხედავად საზოგადოების განათლებისა თუ მატერიალური მდგომარეობისა. კვლევებმა ასევე ცხადყო, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტები ძირითადად ხდება სახლში, სკოლაში ან სხვა სასწავლო დაწესებულებებში, ისეთ დაწესებულებებში, როგორცაა ობოლთა თავშესაფარი და ბავშვთა სახლები, ციხეები და სხვა დაკავების ცენტრებში, სამუშაო ადგილზე და საზოგადოებაში.<sup>4</sup> ბავშვთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლა სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს მთელი მსოფლიოსა და, მათ შორის, საქართველოსთვისაც. 2016 წელს მილიარდამდე ბავშვმა განიცადა ფიზიკური, სექსუალური თუ ფსიქოლოგიური ძალადობა. 2006 წლის მონაცემებით 120 მილიონი გოგონა და 73 მილიონი ბიჭი სექსუალური ძალადობის მსხვერპლია. 2013-2017 წლების განმავლობაში საქართველოში ჩატარებული კვლევებიც ადასტურდებს, რომ მდგომარეობა საგანგაშოა. მოსახლეობის 45% ბავშვთა მიმართ ძალადობას დასაშვებად მიიჩნევს, მოსახლეობის 60% თვლის, რომ ოჯახში აღზრდის მკაცრი მეთოდების გამოყენება უფრო შედეგიანია. საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხშირია ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის შემთხვევები, როგორც მოსწავლეებს შორის, ისე უფროსების მხრიდან.<sup>5</sup> მოხსენება შეეხება არასრულწლოვნთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობას, მისი ფორმებს, საკანონმდებლო პრობლემები და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

## **1. არასრულწლოვანზე ძალადობის ფორმები**

ძალადობა ბავშვისთვის მატრავმირებელი ქცევაა. იგი შეიძლება გამოვლინდეს მუქარით, დამცირებით, დაშინებით, პირადი საკუთრების ხელყოფით, საჯარო შეურაცხყოფით ან სექსუალური ექსპლუატაციით. ძალადობა არის ნებისმიერი ქმედება, რომელიც აკნინებს ან დაზიანებით ემუქრება ბავშვის ფსიქიკურ და ფიზიკურ

<sup>3</sup> თავართქილაძე ე., „პროფესიონალებისთვის“, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, <http://phf.org.ge/ka/resources/dzaladoba-bavshvze-istoriuli-retrospektiva/>

<sup>4</sup> გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში (UNICEF GEORGIA), ჩვენ გვაქვს უფლება ვიყოთ დაცული ძალადობისგან, თბილისი, 2007წ., გვ. 15.

<sup>5</sup> გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში (UNICEF GEORGIA), <http://unicef.ge/44/sakartvelo-dzaladobis-dadzlevis-globalur-ksels-uertdeba/518>



კეთილდღეობას, საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას და განვითარებას. არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის რამდენიმე ფორმა არსებობს. იგი მოიცავს როგორც ფიზიკურ ძალადობას, ასევე სიტყვიერ, მატერიალურ, სექსუალურს და ა.შ. ფიზიკური ძალადობა არის ყველაზე გავრცელებული სახე, თუმცა ძალადობის სხვა სახეებიც, ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია. მოკლედ მიმოვიხილავ თითოეულ მათგანს.

### **1.1. არასრულწლოვნის მიმართ ფიზიკური ძალადობა**

ფიზიკური ძალადობა, როგორც უკვე აღვნიშნე, ძალადობის ფორმებს შორის ყველაზე გავრცელებული, ასევე საშიში და ზიანის მომტანია. ასეთი ფორმის ძალადობაა ნებისმიერი ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც ტკივილს აყენებს ბავშვს და/ან იწვევს სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებას: დარტყმა, ხელის კვრა, სილის გაწვნა ან სხვ., თუნდაც „აღმზრდელიობით“ მიზნით. ფიზიკური ძალადობის გამოვლენა შედარებით იოლია, ვინაიდან იგი თვალსაჩინო კვალს ტოვებს მსხვერპლზე. შეშუპებები, კოპები, ნაკაწრები, ჭრილობები, ჩალურჯებები და კანის სხვა დაზიანებები, მოტეხილობები, ნაჭრილობები სხვადასხვა ხარისხის შეხორცებებით - ეს ის გამოვლინებებია, რომელიც ფიზიკურ ძალადობას ახასიათებს. ბავშვზე ძალადობის ყველაზე ხშირი და ადვილად ამოსაცნობი გამოვლინებაა კანის დაზიანება. ძალადობაგანცდილი ბავშვების 90%-ს მხოლოდ ზედაპირული დაზიანებები აღვნიშნებთ: სისხლჩაქცევები, ნაკბენები, დამწვრობა, მოხრჩობის ნიშნები.<sup>6</sup> ასეთი რისკის ქვეშ განსაკუთრებით იმყოფებიან მდედრობითი სქესის წარმომადგენლები, ვინაიდან, როგორც წესი, ეს უკანასკნელი ფიზიკური მონაცემებით ჩამოუვარდებიან საპირისპირო სქესის წარმომადგენლებს. ოჯახში ძალადობის ძირითადი სამიზნეები, ყველაზე მეტად, არასრულწლოვანი გოგონები არიან. ოჯახში მისაღებია რომ მამაკაცი იყოს დომინანტი. ქალს კი ყველაფერი უნდა დააძალონ. გაეროს ანგარიშის მიხედვით საქართველოში 2-14 წლამდე ბავშვების 20%-ს ოჯახში სცემენ. ოჯახში ამას უმეტესად მამაკაცები აკეთებენ.<sup>7</sup>

ერთ-ერთი ადგილი, სადაც ბავშვზე ფიზიკური ძალადობა ყველაზე ხშირად ხდება არის სახლი. ბავშვზე ძალადობენ ძირითადად მშობლები, რომლებზეც ასევე ძალადობდნენ ბავშვობაში ან ქალები, რომლებზეც ქმრები ძალადობენ. სუსტი და დაჩაგრული ქვეცნობიერად ეძებს კიდევ უფრო სუსტს და სწორედ მას უსწორდება. მოძალადე მშობლის თვალში ბავშვის დაუმორჩილებლობა უცებ განუზომლად უფრო დიდად იქცევა, ვიდრე სინამდვილეში არის. ის, რომ ბავშვი პატარაა, ეტკინება, იტირებს და მალე დაავიწყდება და გაუვლის, მითია. ბავშვი საკმაოდ პატარა ასაკიდანვე იაზრებს, რომ მშობლის მიერ ძალადობას თავს ვერ დააღწევს, რომ შორს და დიდი ხნით ვერ გაიქცევა, რადგან მაინც იპოვიან და უარესად დაისჯება ან კიდევ იმიტომ, რომ მატერიალურად სწორედ მშობელზეა დამოკიდებული.

<sup>6</sup> თავართქილაძე ე., „პროფესიონალებისთვის“, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, <http://phf.org.ge/ka/resources/fizikuri-dzaladoba/>

<sup>7</sup> გაეროს ანგარიში ოჯახში ძალადობის შესახებ, 2006წ., <https://www.unicef.org/violencestudy/3.%20World%20Report%20on%20Violence%20against%20Children.pdf>

სახლის შემდეგ არის სკოლა ერთ-ერთი ადგილი, სადაც არასრულწლოვანი ყველაზე ხშირად ხდება ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. არის შემთხვევები, როდესაც არასათანადო ყოფაქცევის ან საშინაო დავალების არქონის გამო მასწავლებლები მოსწავლეებზე ფიზიკურად ძალადობენ. გარდა ამისა, სკოლაში გავრცელებულია დაყვირება ან დამამცირებელი სახელების წოდება. მსგავსი ძალადობა შეიძლება იყოს მოსწავლეებს შორისაც.<sup>8</sup> ბოლო წლებში საქართველოში მასწავლებლის მიერ მოსწავლის ცემის ფაქტი მრავლად დაფიქსირდა. გავიხსენებ ბათუმის ერთ-ერთი სკოლაში მომხდარ შემთხვევას, როდესაც მასწავლებელმა დაწყებითი კლასის მოსწავლე სცემა. დისციპლინური კომიტეტი ხუთი დღის განმავლობაში სწავლობდა მომხდარ ფაქტს და მისი ხუთი წევრიდან ყველამ მხარი დაუჭირა მასწავლებლის გათავისუფლებას. ამ ფაქტის გამო ბავშვს მოუხდა კლასის დატოვება და პარალელურ კლასში სწავლის გაგრძელება.<sup>9</sup> ვეთანხმები კომიტეტის გადაწყვეტილებას, თუმცა, აუცილებელია სკოლაში პრევენციული ღონისძიებები გატარდეს და აღნიშნული ფაქტების დასჯისთვის შეიქმნას მეტი სამართლებრივი მექანიზმი. ხშირია შემთხვევები, როდესაც ასეთ დროს არათუ კლასს, სკოლასაც კი ტოვებენ, რაც მომავალში უარყოფითად აისახება მათ ცხოვრებაზე. გაეროს ბავშვთა ფონდის რეკომენდაციით „სკოლაში ბავშვის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს მისი მოსმენა, რადგანაც განათლებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვნად ეხება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. გადაწყვეტილებები უნდა ექვემდებარებოდეს ადმინისტრაციულ ან სასამართლო წესით განხილვას...“<sup>10</sup>

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი მიუთითებს, რომ ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო უზრუნველყოფს სკოლებში ძალადობის აღმოფხვრას. ამ კანონით, დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება კანონით დადგენილი წესით. „ადრეული და სკოლამდელი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი კრძალავს ბავშვის მიმართ ნებისმიერ ძალადობას და ავალდებულებს დაწესებულებას უზრუნველყოს აღმზრდელ-პედაგოგთა მომზადება არამძალადობრივი მოპყრობის და აღზრდის მეთოდების შესახებ, ასევე სხვა შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. რამდენად ქმედითია ეს კანონები? ეს ნორმები ზოგადად კი შეესაბამება ძალადობისგან ბავშვთა დაცვის პრინციპს, თუმცა, კანონები უნდა გადაიხედოს, რათა გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, პირდაპირი ჩანაწერი გაკეთდეს დისციპლინის ზომად ფიზიკური დასჯის ან სხვა სასტიკი ან დამამცირებელი სასჯელის ან მოპყრობის აკრძალვაზე. ამავე დროს, უნდა განიმარტოს ძალადობის სხვადასხვა ფორმები, მათ შორის, ბულინგი, რომელიც გულისხმობს ბავშვის მიერ სხვა ბავშვის აგრესიულ დევნას,

<sup>8</sup> გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში (UNICEF GEORGIA), ჩვენ გვაქვს უფლება ვიყოთ დაცული ძალადობისგან, თბილისი, 2007წ., გვ. 19.

<sup>9</sup> პედაგოგი, რომელმაც მე-4 კლასის მოსწავლეს სცემა სკოლიდან გაათავისუფლეს, <https://edu.aris.ge/news/pedagogi-romelmac-me-4-klasis-moswavles-scema-skolidan-gaatavisufles-detalebi-momxdarze.html>

<sup>10</sup> გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში (UNICEF GEORGIA), უფლება განათლებაზე, თბილისი, 2015წ., გვ. 9.

რომელიც დაკავშირებულია რეალურ ან წარმოსახვით ძალების უთანასწორობასთან, სრულწლოვანის მიერ ბავშვის წაქეზებასთან და მისთვის ხელის შეწყობა აგრესიულ დევნასთან. ნორმები უნდა გადაიხედოს, რათა, ასევე, აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების ვალდებულება ძალადობის პრევენციის და სათანადო რეაგირების მექანიზმების დანერგვაზე, მათ შორის, როგორცაა ბავშვის ხელმისაწვდომობა მასზე ძალადობის დროს შეტყობინების კონფიდენციალურ და ეფექტურ საშუალებაზე. დამატებით მნიშვნელოვანია, რომ აღმზრდელთა და პედაგოგთა პროფესიული ეთიკის კოდექსები და შესაბამისი სახელმძღვანელო რეგულაციები უნდა ასახავდეს ფიზიკური დასჯის ან სხვა სახის სასტიკი და დამამცირებელი მოპყრობის დაუშვებლობას.<sup>11</sup>

ძალადობა ბავშვთა და მოზარდთა მიმართ მაღალი პროცენტული სიხშირით გხვდება მთელი მსოფლიოს სკოლებში. 37 ქვეყანაში ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად, მოსწავლეთა საშუალოდ 28%-მა განაცხადა, რომ ძალადობის მსხვერპლია სკოლაში, ხოლო მოსწავლეთა საშუალოდ 48%-მა განაცხადა რომ მათი მეგობარია სკოლაში ძალადობის მსხვერპლი. აღნიშნული კვლევის თანახმად, სკოლებში ძალადობის პროცენტული მაჩვენებლები ყველაზე მაღალია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში - რუმინეთში და უნგრეთში.<sup>12</sup>

ფიზიკური სასჯელები არ არის ეფექტური ბავშვის აღზრდის პროცესში. როცა ბავშვი ფიზიკურად ისჯება, მას არ რჩება ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობა. ამ გრძნობის ნაცვლად მას აქვს ცემით მიყენებული ტკივილი და მორალური ტრავმა, მოძალადეზე ბრაზი. შესაბამისად, მას არ რჩება სურვილი, აღარასდროს ჩაიდინოს ის საქციელი ან გამოსაწიროს რის გამოც დაისაჯა. მან შეიძლება, ის გამოსაწიროს უარესი სასჯელის შიშით, მაგრამ არა შინაგანად თავისი საქციელის მცდარობის გააზრების გამო.<sup>13</sup> ძველი ბაბილონის კანონმდებლობა ითვალისწინებდა ძალიან მკაცრ სასჯელს „ურჩი შვილებისთვის“, „უკეთუ შვილმა მამას გაარტყა, ხელის მტევანი უნდა მოაჭრან“. ასევე, თუ შვილობილი ეტყოდა თავის მამას ან დედას, რომლებმაც ის გაზარდეს - „შენ არ ხარ ჩემი მამა“, „შენ არ ხარ ჩემი დედა“, - მას ენას მოაჭრიდნენ.<sup>14</sup> მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ბავშვის აღზრდის ძალადობრივი მეთოდები გამოუსწორებელ უარყოფით კვალს ტოვებს და მოქმედებს არასრულწლოვანის შემდგომ განვითარებაზე. წარმატებული, ხალისიანი, ჯანმრთელი ბავშვების ნაცვლად ძალადობის შედეგად ყალიბდებიან განდგომილი, გულჩათხრობილი და ჯანმრთელობაშერყეული ახალგაზრდები, რომლებსაც უჭირთ ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკლავება და წარმატებასაც ძნელად აღწევენ.

## **1.2. არასრულწლოვანის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა**

<sup>11</sup> გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №8, §35.

<sup>12</sup> ეროვნული კვლევა საქართველოს სკოლებში ძალადობის შესახებ, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი, გვ. 5.

<sup>13</sup> გუმბერიძე ე., ბავშვთა მიმართ ოჯახურ ძალადობაზე, <http://www.cso.ge/publication.php?id=51#.WbE8lidhVDo>

<sup>14</sup> თავართქილაძე ე., „პროფესიონალებისთვის“, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, <http://phf.org.ge/ka/resources/dzaladoba-bavshvze-istoriuli-retrospektiva/>

სახლში, სკოლაში თუ სხვა ადგილას არასრულწლოვნის დასასჯელად ფიზიკურ ძალადობასთან ერთად ხშირია ფსიქოლოგიური ძალადობა. ძალადობის ეს ფორმა ფიზიკური ძალადობის მსგავსად, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია. ვინაიდან ფსიქოლოგიური ძალადობა, როგორც წესი, ხილულ, ხელშესახებ კვალს არ ტოვებს, მისი გამოვლენა რთულია, თუმცა, მას ნაკლები ზიანი არ მოაქვს მსხვერპლისთვის. ბავშვის შეურაცყოფა, დამამცირებელი სახელების წოდება, მუქარა, იზოლირება ან უყურადღებობა წარმოადგენს სწორედ ამგვარი ძალადობის ნიშნებს, რომლებსაც შესაბამისი რეაბილიტაცია სჭირდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში და ხშირად არასრულწლოვანს მთელი ცხოვრება გასდევს.

ფსიქოლოგიურ ძალადობას ხშირად ემოციური ძალადობის სახელითაც მოიხსენიებენ. ვინაიდან ძალადობის ეს ფორმა გულისხმობს აკონტროლოს არასრულწლოვნის მოქმედებების მისი დამორჩილების მიზნით, ვითარდება დაბალი თვითშეფასება, ძლიერდება თვითიზოლაცია, არასრულწლოვანი კარგავს დამოუკიდებლობის შეგრძნებას. ასეთ შემთხვევებში ხშირად ბავშვის მდგომარეობა გამოხატულია მეტყველების შეფერხებაში, თავის ტკივილებში, დეპრესიაში, დესტრუქციულ ან ნევროზულ ქცევაში, თვითდაზიანებაში. ასევე, არცთუ იშვიათად არასრულწლოვნებში თავს იჩენს ალკოჰოლიზმი, ნარკომანია.<sup>15</sup> ემოციური ძალადობა სხეულზე ფიზიკურ კვალს არ ტოვებს, თუმცა მისი შედეგები ბავშვის ქცევასა და ემოციურ რეაქციებში ვლინდება.

ფსიქოლოგიური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმები ბავშვისათვის არის დაყვირება, დამამცირებელი სახელების დამახება, ბავშვის ლანძღვა-გინება და მიტოვების მუქარა. ეს ის ქმედებებია, რომელთა ჩადენასაც მსოფლიოში მრავალი მშობელი აღიარებს. არასრულწლოვნისთვის მიყენებული ზიანი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სიხშირით და რა კომბინაციებში აქვს ადგილი ამ ქმედებებს, ასევე თუ რამდენად დაბალანსირებულია ისინი მშობელთან პოზიტიური ურთიერთობით. დამამცირებელი სახელების დამახებამ და ლანძღვა-გინებამ, თუ ამას ხშირად აქვს ადგილი, შეიძლება ზიანი მიაყენოს ბავშვის წარმოდგენას საკუთარ თავზე და თავდაჯერებულობას. ეს შეიძლება ნეგატიური მოდელიც გახდეს, რომელსაც ბავშვი მიბაძავს სახლში და სკოლაში ქცევისას. მიტოვების მუქარა შეიძლება განსაკუთრებით სტრესის მომგვრელი იყოს მცირე ასაკის ბავშვისთვის, რომელმაც შეიძლება დაიჯეროს, რომ ეს მართლა მოხდება.<sup>16</sup>

აქვე შეგვიძლია განვიხილოთ იძულება, რომელიც გულისხმობს ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება,

---

<sup>15</sup> *The National Child Traumatic Stress Network*, იხ. <http://www.nctsn.org/content/children-and-violence> იხ. მესხი მ., „არასრულწლოვანი მსხვერპლის დაცვა და საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული უფლებები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სამართალწარმოებისას (გაერთიანებული ერების სამოდელო კანონმდებლობის ანალიზის მიხედვით)“, ჟ. „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები“, №1, თბილისი, 2017წ., გვ. 55.

<sup>16</sup> საქართველოში ბავშვების მიმართ ეროვნული კვლევა, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი, თბილისი, 2007-2008წწ., გვ. 96.

რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ან/და საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნებასურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.<sup>17</sup>

### **1.3. არასრულწლოვნის მიმართ სექსუალური ძალადობა**

არასრულწლოვანთა ძალადობის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე ფორმაა სექსუალური ძალადობა, რომელიც გულისხმობს ბავშვის გამოყენებას სექსუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, კერძოდ, სექსუალური მეტყველებით თუ შენიშვნებით დევნას, სექსუალურ გარყვნას, ეროტიკულ ალერსს, ბავშვისთვის პორნოგრაფიული სურათების გადაღებას, სექსუალური შინაარსის ფილმების ყურების ან პორნოგრაფიული ჟურნალების დათვალიერების ნებართვას ან ხელშეწყობას, გაუპატიურებას ან გაუპატიურების მცდელობას, სასქესო ორგანოების დემონსტრირებას, ღია საუბრებს სექსზე ბავშვის შოკირების ან მისი ცნობისმოყვარეობის გაღვიძების მიზნით, სისხლის აღრევას, სხეულით ვაჭრობის იძულებას და სხვ.

ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა ქმედებათა ფართო სპექტრს მოიცავს. სექსუალური ძალადობის შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, ბავშვის თანხმობით მოხდა ეს თუ არა. მოზრდილს იოლად შეუძლია არასრულწლოვანზე ზეგავლენის მოხდენა, ბავშვს კი არ შეუძლია ამ ქმედებათა მნიშვნელობის გაგება, მათი შეფასება. გარდა ამისა, მოძალადე თავისი მიზნის მისაღწევად ხშირად მიმართავს მუქარას ან შანტაჟს. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, ერთ-ერთი სისხლის სამართლის საქმე. ბრალდებულს სოციალურ ქსელ -Facebook-ის მეშვეობით, მიმოწერა ჰქონდა 14 წლის მოზარდთან, რომელიც დაითანხმა შიშვლად ფოტოების გადაღებასა და მისთვის გადაგზავნაზე. 25 წლის მამაკაცმა, ფოტოების გასაჯაროების მუქარით, აიძულა არასრულწლოვანი შეხვედროდა მას და ერთ-ერთი მშენებარე კორპუსის ტერიტორიაზე, დაამყარა მასთან სქესობრივი კავშირი. ბრალდების მეორე ეპიზოდში, იგი კვლავ დაემუქრა დაზარალებულს ფოტოების გასაჯაროებით და მის მშობლებს სოციალური ქსელის მეშვეობით, გაუგზავნა მეგობრობის თხოვნა ყალბი ანგარიშით, სადაც მოზარდის მამხილებელი ფოტოები ჰქონდა ატვირთული. სასამართლომ, მოწმეთა ჩვენებების, ამოცნობის ოქმისა და საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებების გამოკვლევისა და შეფასების შედეგად, დადგენილად მიიჩნია ბრალდებულის მხრიდან, ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენის ფაქტი. სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით, დანაშაულთა ერთობლიობით ბრალდებულს სასჯელის სახედ და ზომად 5 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.<sup>18</sup>

სექსუალური ძალადობა შეიძლება მოხდეს ოჯახს გარეთ ან ოჯახში. ხშირ შემთხვევაში (შემთხვევათა 75-90%) ბავშვთა მიმართ სექსუალურ ძალადობას ახორციელებენ ადამიანები, რომლებსაც ბავშვები კარგად იცნობენ და ენდობიან. ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ასაკის ბავშვი, როგორც გოგონა, ასევე ბიჭი. ხშირ შემთხვევებში ოჯახს გარეთ სექსუალური ძალადობა გაუპატიურების

<sup>17</sup> კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი, ქალთა უფლებების დაცვის საერთაშორისო და ეროვნული მექანიზმები, თბილისი, 2005წ., გვ. 20.

<sup>18</sup> თბილისის საქალაქო სასამართლო, <http://tcc.gov.ge/index.php?m=443&newsid=1045>

სახით ხდება, ფიზიკური თავდასხმითა და მუქარით. ოჯახში სექსუალურ ძალადობას კი ძირითადად სისტემატიური ხასიათი აქვს, რომელიც ზოგჯერ წლების მანძილზე გრძელდება. ბავშვის ჩათრევა ამ ქმედებებში თანდათანობით ხდება. მსხვერპლი ამ შემთხვევაში უფრო მცირე ასაკისაა, ვიდრე ოჯახს გარეთ ძალადობის შემთხვევაში. ხშირად ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა ხანგრძლივად მიმდინარე პროცესია, რომლის დროსაც მოძალადე სარგებლობს ბავშვთან დამყარებული ახლო ურთიერთობით, მისი ნდობით. ხშირად უშუალოდ სექსუალურ ქმედებებში ბავშვის ჩართვას წინ უსწრებს სექსუალური ელფერის ხანგრძლივი „მოსამზადებელი“ პერიოდი. ბავშვისთვის მატრავმირებელია სექსუალური ძალადობის ნებისმიერი ფორმა. სექსუალური ძალადობით მიყენებული ზიანი ემოციური ბუნებისაა და მომდინარეობს იმედგაცრუების, დალატის, იზოლაციის, სირცხვილის, შფოთვის და ბავშვობის დაკარგვის განცდებიდან, რომლებსაც ბავშვი გრძნობს და შეიძლება მთელი ცხოვრება გაჰყვეს.

ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევის შედეგების მიხედვით, ქალთა მხოლოდ 3,9% აღიარებს, რომ ისინი ოჯახში სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი ყოფილან, ხოლო ბავშვთა მხრიდან ამის აღიარება კიდევ უფრო ნაკლებია. არასრულწლოვნებს ეშინიათ მოძალადისა და აგრეთვე შიშობენ, რომ მათ ვერ გაუგებენ ან დაადანაშაულებენ. გაეროს ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოში დაახლოებით ყოველი მეათე არასრულწლოვანი გოგო სექსუალური ძალადობის მსხვერპლია. გარდა ამისა, მთელს მსოფლიოში 82 მილიონი გოგონა ქორწინდება 18 წლის ასაკამდე. ბევრ მათგანს კი აძალებენ ქორწინებას უფროს მამაკაცებზე. ამ შემთხვევაში გოგონას ემუქრება ძალადობის, მათ შორის ყველაზე მეტად სექსუალური ძალადობის საფრთხე.<sup>19</sup>

არსებობს კვლევა, რომლის მიხედვითაც ყველა შემთხვევაში, მანდატურებმა ძალადობის სხვადასხვა სახის ნიშნების იდენტიფიცირების უკეთესი უნარი გამოავლინეს, ვიდრე მასწავლებლებმა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლების წარმომადგენელთა უმეტესობისათვის აშკარად ცნობილია, თუ რა ქმედება უნდა ჩაითვალოს ძალადობად, რეფერირების პროცედურებით გათვალისწინებული პოტენციური შემთხვევების დროს უმეტესობას ან არ სურს ჩარევა, ან არ იცის, რა მოიმოქმედოს. საზოგადოების თვალში სკოლის რეპუტაციისათვის ზიანის მიყენების შიში, თანამშრომელთა პირადი პროფესიული დაუცველობის გრძნობა, სამუშაო ადგილებზე ტრენინგების ნაკლებობა და ბავშვთა დაცვის რეფერირების ინსტრუქციების არარსებობა ხელს უშლის სასკოლო სისტემას ქმედითი როლი ითამაშოს რეფერირების პროცესში.<sup>20</sup> ამის მიუხედავად, იმერეთის ერთ-ერთ მუნიციპალიტეტში მანდატურმა 15 წლის გოგონა გააუპატიურა. ამ ფაქტამდე მანდატური ამ სკოლაში რამდენიმე წელი მუშაობა, გოგონა კი ერთი წლის

<sup>19</sup> გაეროს ანგარიში ოჯახში ძალადობის შესახებ, 2006წ.,

<https://www.unicef.org/violencestudy/3.%20World%20Report%20on%20Violence%20against%20Children.pdf>

<sup>20</sup> ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ანალიზი და მთავრობისთვის შემუშავებული რეკომენდაციები, თბილისი, 2013წ., გვ. 86.

გადასული იყო. აღნიშნულმა ფაქტმა მოსწავლის ორსულობა გამოიწვია. მანდატური სამსახურიდან გათავისუფლებულ იქნა.<sup>21</sup> მართალია ამ შემთხვევაში დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა მამაკაცის მიმართ, თუმცა ამ სავალალო შედეგებს ეს არ უშველის. პრევენციული ღონისძიებების გატარების საჭიროება ამ შემთხვევაში ძალიან კარგად ჩანს.

ბავშვის მიმართ სექსუალური დანაშაულის ჩამდენი პირები შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: „შემთხვევითი“ ანუ სიტუაციური (situational) და „პრეფერენციული“ ანუ უპირატესობის მიმცემი (preferential). „შემთხვევით“ პირებს ბავშვების მიმართ ჩამოყალიბებული სექსუალური ინტერესი არ გააჩნიათ. ისინი ბავშვებთან სექსუალურ ურთიერთობებში იმიტომ შედიან, რომ ამის შესაძლებლობა ეძლევათ. ასეთი ადამიანები ბავშვებზე იმიტომ ძალადობენ, რომ ხვდებიან სიტუაციაში, როდესაც ბავშვი მათთვის ადვილად ხელმისაწვდომია. „პრეფერენციულ“ პირებს კი უკვე ჩამოყალიბებული დამოკიდებულება აქვთ სექსუალურ ურთიერთობებში ბავშვებისთვის უპირატესობის მინიჭების თვალსაზრისით. ისინი არც ისე მრავალრიცხოვანნი არიან, როგორც „შემთხვევითები“, მაგრამ პოტენციურად ბავშვების უფრო მეტი რაოდენობისთვის შეუძლიათ ზიანის მოტანა, რადგან ეს მათ სურვილს და განზრახვას წარმოადგენს. ასევე, „პრეფერენციულ“ პირთა შორის შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი ქცევითი ჯგუფი: „მაცდუნებლები“ (Seducers), რომლებიც ბავშვის მისაზიდად იყენებენ მიჯაჭვულობის გამოხატვას, ყურადღებას ან საჩუქრებს. ძალადობისთვის სამზადისში, ხშირად ისინი ბევრ დროს ახარჯავენ თავიანთ მსხვერპლზე „ზრუნვას“. მათ შეიძლება გამოიყენონ მუქარა, შანტაჟი და ფიზიკური ძალადობა, რათა თავიდან აიცილონ გამჟღავნება, მხილება. მეორე ჯგუფში არიან „ჩაკეტილი“ (Introverted) პირები, რომლებიც ასევე ბავშვებს ანიჭებენ უპირატესობას, მაგრამ ისინი მოკლებულნი არიან „მაცდუნებელთა“ უნარს, გარკვეული ურთიერთდამოკიდებულება ჩამოაყალიბონ ბავშვებთან. მათ მინიმუმამდე დაჰყავთ მსხვერპლებთან ვერბალური კონტაქტი და სექსუალური ურთიერთობების დამყარებას უცნობ ან ძალიან პატარა ბავშვებთან ცდილობენ. მესამე, ყველაზე ნაკლებად გავრცელებული არის „მომალადე-სადისტები“ (Sadistic offenders), რომლებსაც სექსუალურად აინტერესებთ ბავშვები, მაგრამ, ამავე დროს, სექსუალურ სიამოვნებას იღებენ მსხვერპლისთვის ტკივილის მიყენებით. მომალადეთა სწორედ ამ ტიპისთვის არის დამახასიათებელი ძალის გამოყენება ბავშვის დაუფლების მიზნით, აგრეთვე მსხვერპლის გატაცება და მკვლელობაც კი.

მომალადე ხშირად სხვებისგან არაფრით გამოირჩევა. ხშირად იგი ისეთი ადამიანია, რომელიც გარემომცველთა წრეში კარგი რეპუტაციით სარგებლობს და არავითარ ეჭვს არ იწვევს. მომალადე შეიძლება იყოს ქალიც და მამაკაციც, ბავშვიც და მოზრდილიც. ზოგჯერ ბავშვი არ ეწინააღმდეგება მომალადეს. ეს მომდინარეობს ე.წ. „კარგი აღზრდისგან“. ბავშვებს ასწავლიან, რომ უფროსებს, განსაკუთრებით პატივსაცემ, ავტორიტეტის მქონე ადამიანებს (მასწავლებელს, ნათესავს თუ სხვ.) „ყველაფერი

<sup>21</sup> იმერეთის რეგიონში მანდატურმა 15 წლის მოსწავლესთან სექსუალური კავშირი დაამყარა, <http://www.ambebi.ge/samartali/189526-imerethis-regionshi-mandaturma-15-tslis-mostsavlesthan-sqesobrivi-kavshiri-daamyara.html>

დაუჯერონ“. ბავშვი თავს იდანაშაულებს მომხდარის გამო და მკაცრი სასჯელის შიშით, იძულებულია დადუმდეს. არასრულწლოვანში დანაშაულის გრძნობის გამოწვევას ხშირად მოძალადე თავად ცდილობს. ის ჩააგონებს ბავშვს, რომ მომხდარის თანამონაწილეა. გოგონას, მაგალითად, შეიძლება უთხრან, რომ მან თვითონ „გამოიწვია“ მთელი ეს სიტუაცია, ხოლო მომხდარი „ჩვენი პატარა საიდუმლოა“ და ა. შ. სიტუაცია განსაკუთრებით დრამატულია, როცა მოძალადე არის მამა, რომელიც ბავშვს იმის წარმოდგენით აშინებს, თუ რა შეიძლება მოხდეს, „ეს რომ დედამ გაიგოს“.

დანაშაულის ძლიერი გრძნობა შეიძლება გამოიწვიოს კონტაქტის დროს განცდილმა სიამოვნებამაც. ბავშვი, რომელსაც არ აქვს ცოდნა ფიზიოლოგიის ძირითადი პრინციპების შესახებ, ვერ აცნობიერებს, რომ მგრძნობიარე ზონების გაღიზიანებაზე სხეულის რეაქცია ძირითადად ავტომატურია და ის თავს მომხდარის გამო მთავარ დამნაშავედ მიიჩნევს.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნები სინამდვილეში ვერ ხვდებიან, რა ხდება რეალურად, რცხვენიათ ამის შესახებ მოყოლა. თანდათან, როცა ბავშვი იზრდება, ის ნათლად აცნობიერებს, რომ რაც მის მიმართ ხორციელდებოდა დანაშაულია. ამასთან, ის ხვდება, რომ მოძალადის „მხილებამ“ შეიძლება მთელ ოჯახს შეუქმნას საფრთხე და სრულიად გაუთვალისწინებელი შედეგები გამოიწვიოს. არის სხვა მიზეზებიც, რაც ბავშვს მორჩილებას და სიმართლის დამალვას აიძულებს, მაგალითად, შიში, რომ არ დაუჯერებენ და თვითონ მას დასჯიან. ზოგჯერ ბავშვი ფიქრობს, რომ გარემომცველებმა ისედაც ყველაფერი იციან. ხშირად ბავშვი იცავს მოძალადეს, ეშინია, რომ მას დააპატიმრებენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოძალადე ბავშვის ახლობელი ადამიანია.<sup>22</sup>

რაც შეეხება ბავშვთა პორნოგრაფიას, მისი მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ბავშვი, თუმცა, არასრულწლოვნები, რომლებიც ცხოვრობენ ან დიდ დროს ატარებენ ქუჩაში, ისევე როგორც ბავშვები, რომლებიც იძულებით ეწევიან პროსტიტუციას, ან ადამიანებით ვაჭრობის მსხვერპლი ბავშვები, პორნოგრაფიის წარმოებაში გამოყენების მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან. ამ ჯგუფში ასევე შედიან ბავშვები დისფუნქციური და ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახებიდან. თანამედროვე ტექნოლოგიები და ინტერნეტის განვითარება ბავშვების ექსპლუატატორთათვის და პორნოგრაფიის მოყვარულთათვის მეტ კომერციულ შესაძლებლობებს იძლევა, და აგრეთვე, ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელების ქსელების განვითარებას უწყობს ხელს. დღეისათვის, ბავშვთა პორნოგრაფიის წარმოება და გავრცელება ხშირად ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინტერნეტის მეშვეობით ხდება. ბავშვთა პორნოგრაფიის გასაზიარებლად და გასავრცელებლად, ბავშვთა პორნოგრაფიის მოყვარულები იყენებენ ფაილების გაზიარების ქსელებს, სიახლეების გაზიარების ჯგუფებს, თანასწორთა სისტემებს (peer-2-peer systems) და სხვა ტექნოლოგიებს. ინფორმაციული ტექნოლოგიები ასევე უწყობენ ხელს კომერციულ მყიდველთა ჯგუფების, სექს-ტურისტების, პედოფილების და ბავშვებით მოვაჭრეთა მიერ ბავშვების

<sup>22</sup> თავართქილაძე ე., „პროფესიონალებისთვის“, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი, <http://phf.org.ge/ka/resources/dzaladoba-bavshvze-istoriuli-retrospektiva/>



ორგანიზებულ სექსუალურ ექსპლუატაციას და ბავშვებზე ძალადობას. ბავშვების სექს-ექსპლუატატორები იყენებენ მობილურ ტელეფონებს და ერთვებიან ჩათებსა თუ ინტერნეტ-ურთიერთობის სხვა ადგილებში, იმისთვის, რომ შეიტყუონ და გადაიბირონ და ბავშვები, შემდეგ კი მათი ექსპლუატაცია მოახდინონ. ამდენად, ბავშვები, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობენ, ასევე იმყოფებიან სექსუალური ექსპლუატაციის რისკის ქვეშ. პორნოგრაფიაში ჩათრეული ბავშვები შემდგომში ხშირად ცვლიან ამ საქმიანობას ნარკოტიკებით, პროსტიტუციით. მოწიფულ ასაკში მათ ხშირად აქვთ სექსუალური პრობლემები და რაც ყველაზე უარესია, ბავშვები, რომლებმაც სექსუალური ექსპლუატაცია განიცადეს, მოზრდილობაში ხშირად იგივეს აკეთებენ სხვა ბავშვებთან, ამიტომ ამ საკითხს სახელმწიფომ ძალიან დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს. საქართველოში ბავშვთა პორნოგრაფიასთან მიმართებაში ეფექტური კანონმდებლობა არ არსებობს. ამგვარი იურიდიული ვაკუუმი სახიფათო ცარიელ ადგილს ქმნის, რაც დაუსჯელობის ფაქტორით ძლიერდება და ბავშვებს ძალადობის რისკის წინაშე აყენებს.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ არასრულწლოვანთან დაკავშირებით კიდევ ერთ სინდრომზე - სექსუალური ძალადობისადმი ბავშვის შეგუების სინდრომზე (CSAAS), რომელიც 1983 წელს, ამერიკელმა ფსიქიატრმა როლანდ სამიტმა დაადგინა და შეისწავლა. ამ სინდრომის მოდელის გათვალისწინება ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებს ეხმარება უკეთ გაიგონ, თუ რა სირთულებს აწყდებიან ბავშვები ოჯახური სექსუალური ძალადობის გამხელისას. მოდელი შედგება ხუთი ელემენტისაგან: გასაიდუმლოება, უსუსურობა, შეგუება, არათანმიმდევრული გამხელა და უკან დახვევა. ბავშვებს ხშირად ემინიათ გადატანილი სექსუალური ძალადობის შესახებ მოყოლის და ამ შიშის გამო მომხდარს საიდუმლოდ ინახავენ. სამიტის დასკვნით, ამგვარ პირობებში მცხოვრები ბავშვები თავს საშინლად გრძნობენ. გარკვეული დროის შემდეგ შესაძლოა, მოიკრიბონ სათანადო გამბედაობა და გაამხილონ მომხდარი, თუმცა მათი მონაცემი ხშირად არადამაჯერებელი და არათანმიმდევრულია. უფროსების რეაქციის შემდეგ კი (რომელიც უმეტესწილად ბავშვისათვის არასასურველია) ბავშვი უკან იხევს. ამ ეტაპზე ბევრი სპეციალისტი უკვე ხელს იქნევს. ეს დასკვნები კიდევ გამყარდა 1991 წელს, სორენსონ სნოუს ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ, განსაკუთრებით არათანმიმდევრული გამხელის შესახებ. ბოლო წლების განმავლობაში, ეს ორი ნაშრომი განხილვის საგანი გახდა. სექსუალური ძალადობისადმი ბავშვის შეგუების სინდრომი არ შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც დიაგნოზი. ის მნიშვნელოვანი დამატებითი ფაქტორია, რომელიც ზოგჯერ (არა ყოველთვის) ასახავს ქრონიკული სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ქცევის დინამიკას.

მოგვიანებით, 2005 წელს, ჩატარებული კვლევებით ზოგიერთი სამიტისეული დასკვნა ეჭვქვეშ დადგა. 1992 წელს თავად სამიტიც წერდა, რომ ბავშვის სექსუალური ძალადობისადმი შეგუების სინდრომი არის სტატისტიკაზე დაფუძნებული მოსაზრება და არა მეცნიერული ხელსაწყო. ერთ-ერთი, რაც მრავალი წლის განმავლობაში ეჭვის ქვეშ არ დაყენებულა, არის ის, რომ ბავშვები ხშირად ამჯობინებენ სექსუალური ძალადობის საიდუმლოდ შენახვას. არაერთი კვლევა ჩატარებულა ზრდასრულებზე, რომლებზეც ბავშვობაში სექსუალურად ძალადობდნენ, საერთო სტატისტიკა ამგვარია: 60-70%

ამჯობინებს საიდუმლოდ დატოვოს გადატანილი სექსუალური ძალადობა, ხოლო საშუალო ვადა ძალადობიდან გამხელამდე 15 წელია. ამას გარდა, მომხდარის მხოლოდ 10-18% იყო შეტყობინებული სამართალდამცავებისათვის.<sup>23</sup>

#### **1.4. არასრულწლოვნის მიმართ ეკონომიკური ძალადობა.**

რაც შეეხება ეკონომიკურ ძალადობას, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განიმარტა როგორც ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლებების შეზღუდვას. არასაკმარისი ეკონომიკური დამოუკიდებლობა ქალთა მიმართა ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებლის მიერ მითითებულია იმ ფაქტორებს შორის, რომლებიც საქართველოში, სავარაუდოდ, ზრდის პარტნიორთა მხრიდან ძალადობის რისკს ქალთა მიმართ.<sup>24</sup> ეკონომიკური ძალადობა, ბუნებრივია, ქალებზე მეტად არასრულწლოვნების შემთხვევაში გვხვდება, რადგან მათ არ აქვთ შემოსავალი და დამოკიდებულნი არიან მშობლებზე.

#### **1.5. არასრულწლოვნის უგულვებელყოფა**

„ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილების მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნტით უგულვებელყოფა არის მშობლის/მშობლების, სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ ბავშვის ფიზიკური (მათ შორის, კვება, ჰიგიენა, საცხოვრისი), ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის ან/და ბავშვისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოწესრიგებისათვის, აგრეთვე სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს (მშობლებს), სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვს (აქვთ) სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება (მიუწვდებათ) შესაბამის მომსახურებაზე. ძალადობის ეს ფორმა უფრო სპეციფიკური ფორმაა და ძირითადად გავრცელებულია ოჯახში ძალადობის შემთხვევების დროს.

### **2. არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობისგან დაცვა**

#### **2.1. არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობისგან დაცვის სამართლებრივი მექანიზმები**

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა საბჭო, ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ, თბილისი, 2016წ., გვ. 10.

არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით აუცილებელია კანონმდებლობის სრულყოფა, რაც როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელების, ასევე ქვეყანაში ბავშვის ნორმალური აღზრდისა და ცხოვრების აუცილებელი პირობაა. საქართველოს კანონმდებლობაში მართალია, არასაკმარისად, თუმცა, მაინც ცალკე არის გამოყოფილი არასრულწლოვანთა ძალადობა, უფრო კონკრეტულად ოჯახში ძალადობის დროს. სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლში, რომელიც ეხება ოჯახში ძალადობას, მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ ძალადობა დამამძიმებელი გარემოებაა. არასრულწლოვნების მხრიდან დუმილი არის მართლმსაჯულების დიდი პრობლემა. არასრულწლოვანი შეშინებულია, შერცხვნილია და არ სურს რაიმის თქმა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში გვაქვს მუხლები, რომელიც ოჯახში ძალადობის დროს არასრულწლოვანთა სპეციალურ მდგომარეობას ეხება, კერძოდ, 50-ე მუხლის მე-2 ნაწილით „დაუშვებელია ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლის სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენლად იმ პირის ჩართვა, რომელიც სავარაუდოდ მოძალადეა ან რომლის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი ამ პირსა და მოძალადე ოჯახის წევრს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე ან ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევაში, აგრეთვე მისთვის/მათთვის არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების (გამოკითხვის ოქმის, ახსნა-განმარტების) გაცნობა და გადაცემა“. კოდექსის 52-ე მუხლის მე-11 ნაწილით „ოჯახურ დანაშაულთან, ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით დაუშვებელია არასრულწლოვანი მოწმისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის დაკითხვა, აგრეთვე დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემისას და არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში სოციალური მუშაკის მიერ არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვა (მისგან ახსნა-განმარტების მიღება) მოძალადე მშობლის (მშობლების) ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით“.

გარდა ამისა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172<sup>6</sup> მუხლის თანახმად, „საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენის და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს შესაბამისი ფიზიკური პირის გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 50 ლარიდან 100 ლარამდე ოდენობით, შესაბამისი დაწესებულების (იურიდიული პირის) დაჯარიმებას 100 ლარიდან 200 ლარამდე ოდენობით“. აღნიშნული სახდელი არ არის შესაბამისი ქმედების საშიშროებასთან. აუცილებელია ამ კუთხით გამკაცრდეს კანონმდებლობა. ლიბერალური ტენდენციები ამ საკითხთან მიმართებით არ იქნება შედეგის მომტანი. ასევე, ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბერი №437 დადგენილებით საქართველოს პროკურატურის, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის, საქართველოს

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროთა სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული/მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების, პოლიციის, სააგენტოს, საბავშვო ბაღების, მანდატურის სამსახურის, საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების, ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულებების, თავშესაფრების, სამედიცინო სერვისის მიმწოდებლები (მათ შორის, სოფლის ექიმები) და მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიის (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში - მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის)/მათი უფლებამოსილი დაწესებულების, სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრის წარმომადგენლები ვალდებული არიან, ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ადგილზე გადაამოწმონ ბავშვზე ძალადობასთან დაკავშირებული გადაუდებელი შემთხვევა, ბავშვზე განხორციელებული ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის იდენტიფიკაცია და აწარმოონ შემთხვევის მართვა, რეფერირების პროცედურებით განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებსა და შესაბამისი შიდა ინსტრუქციების მიხედვით. ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე, პოლიცია ვალდებულია, დაუყოვნებლივ გამოცხადდეს შემთხვევის/გამომახების ადგილზე.

მიმდინარე წლის 19 ივნისს ვენეციის კომისიამ საქართველოს კონსტიტუციის ცვლილების შესახებ დასკვნა გამოაქვეყნა. დასკვნის 73-ე პარაგრაფში „ბავშვთა უფლებები“-ს ქვეშ აღნიშნულია, რომ ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, მნიშვნელოვანია ბავშვთა უფლებების დაცვა საქართველოს კონსტიტუციაში დამოუკიდებელ მუხლად ჩამოყალიბდეს.

კონსტიტუციამ ყველასთვის თანაბრად უნდა შექმნას ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მყარი გარანტიები. სწორედ მომავალი თაობების, ე.ი. ბავშვების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების გათვალისწინება უნდა გახდეს კანონმდებლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა ჯერ კიდევ 2015 წელს გამოხატავდა შეშფოთებას ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მიერ ბავშვთა დაცვისა და განვითარების გარანტიების გაუთვალისწინებლობის გამო წევრი ქვეყნების კონსტიტუციებში, სამართლებრივ თუ ადმინისტრაციულ აქტებში. ასამბლეის მოსაზრებით, ბავშვთა უფლებების ეროვნულ კონსტიტუციებში ასახვა უნდა მივიჩნიოთ ბავშვთა კეთილდღეობის პოლიტიკის აუცილებელ ღონისძიებად. საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შეფასებისას, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორმა და 2000-2010 წლებში ვენეციის კომისიის წევრმა, სერ ჯეფრი ჯოუელმაც აღნიშნა, რომ პროექტი საკმარისად არ ითვალისწინებს ბავშვთა უფლებებს, მათ შორის იმ საკითხებს, რომელიც გათვალისწინებულია სხვა ქვეყნების კონსტიტუციებში.<sup>25</sup> საქართველოს კონსტიტუციის პროექტი ისე იქნა მიღებული, რომ არსებული ტექსტი არ ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებულ ბავშვთა უფლებების ისეთ ფუნდამენტურ ასპექტებს, როგორცაა ბავშვთა დაცვა ძალადობისგან, შრომითი

---

<sup>25</sup> სერ ჯეფრი ჯოუელი, კონსტიტუციის გადასინჯვის კანონპროექტის ადამიანის უფლებებთან და სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული საკითხების შეფასება, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი, 2017წ.

ექსპლუატაციისგან, ბავშვებზე სახელმწიფოს ზრუნვის ვალდებულებებს, ბავშვთა განვითარების, ბავშვთა ჭეშმარიტი ინტერესისა და მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფას და სხვ. კონსტიტუციის ჩანაწერში ხაზი უნდა გაესვას ბავშვს, როგორც უფლებათა სუბიექტს და, არა მხოლოდ, მზრუნველობის ობიექტს. აღნიშნული მიდგომა განმტკიცებულია გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის მიერ და ხაზს უსვამს ბავშვების უფლებას, შესაბამისად, სახელმწიფოს შემხვედრ ვალდებულებებს ამ უფლებების რეალიზაციისათვის. აგრეთვე, ბავშვის უფლებას ჰქონდეს აქტიური როლი საკუთარი საჭიროებების განსაზღვრასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დაცული იყოს ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი.<sup>26</sup> რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია - კონსტიტუციაში უნდა იყოს ჩანაწერი ბავშვის უფლებაზე იყოს დაცული ძალადობისგან. ეს უკანასკნელი აკონკრეტებს არასრულწლოვნის უფლებას მოითხოვოს სახელმწიფო უწყებებისგან მისი დაცვა ძალადობის, სისასტიკის და ექსპლუატაციისგან.

გარდა ამისა, საქართველოში მიზანშეწონილია შეიქმნას ე.წ. „**Children's Ombudsman**“-ის ინსტიტუტი, რომელიც ბევრ განვითარებულ ქვეყანაში არსებობს, რომლებსაც აქვთ პრეტენზია ბავშვთა უფლებათა დაცვაზე. აღნიშნული ინსტიტუტის მოვალეობაა ქვეყანაში ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესრულება, ბავშვთა მხარდაჭერის განმახორციელებელი სუბიექტების საქმიანობის კანონიერებაზე კონტროლის განხორციელება, კონსულტაციების გაწევა ბავშვთა უფლებებზე და ა.შ. ბავშვთა დამცველი არის დამოუკიდებელი. იგი ასევე ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას, სემინარებისა და შეხვედრების, სასწავლო ვიზიტების, ექსპერტების მოწვევის, საჯარო და კერძო სტრუქტურებთან თანამშრომლობით განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით. აღნიშნული ინსტიტუტი ასევე ჩართულია საკანონმდებლო პროცესში და სახელმწიფოში არის იმის გარანტი, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები დაცული იყოს, მათ შორის ისიც, რომ აღკვეთილ იქნას ბავშვთა ძალადობა. ეს მეტად საჭირო და აუცილებელი ინსტიტუტია ყველა სახელმწიფოსთვის და იმედს ვიტოვებ, ახლო მომავალში იქნება პოლიტიკური ნება და საჭირო სახსრები, რათა „Children's Ombudsman“-ის ინსტიტუტი საქართველოშიც შეიქმნას.

## ***2.2. არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის პრევენციული მექანიზმები***

რა განაპირობებს ძალადობას, მოძალადეს პიროვნული თვისებები, თუ გარემო პირობები, არ არსებობს ერთიანი აზრი. ძალადობის მიზეზად უფრო ხშირად სახელდება გარემო პირობებით გამოწვეული მოძალადის მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყანაში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება მთლიანად აღმოფხვრის ბავშვთა მიმართ ძალადობას, ვინაიდან ეს პრობლემა ყველაზე განვითარებულ ქვეყნებსაც კი აწუხებთ. ბავშვების ძალადობისაგან დაცვის საკითხებზე ბევრ ქვეყანაში მუშაობენ, მაგრამ ამ მოვლენას მაინც აქვს ადგილი და ბევრჯერ არც არსებობს ინფორმაცია ამაზე. არსებობს მრავალი მიზეზი იმისა, თუ რატომ რჩება დამალული ძალადობის ფაქტები. ერთ-ერთი მიზეზად

<sup>26</sup> კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის, 2017წ., <http://ccy.ge/koalicia-bavshvebisa-da-akhalgazrdebistvis-mimartva-konstituciashi-bavshvta-uflebebis-asakhvis-taobaze/>

შეგვიძლია განვიხილოთ შიში - ბევრ ბავშვს ეშინია განაცხადოს ძალადობის ფაქტის შესახებ, განსაკუთრებით მაშინ, თუ მოძალადე მასზე გაცილებით ძლიერია. სირცხვილი - ბავშვს შეიძლება ეშინოდეს, რომ სხვები გაიგებენ რომ მასზე ძალადობის შესახებ მასვე დაადანაშაულებენ და გარიყავენ. წარმოდგენა ძალადობაზე - ზოგჯერ ურთიერთობაში ძალადობა „ნორმალურ“ მოვლენად აღიქმება. არ ხდება განაცხადის გაკეთება - ბავშვები და სრულწლოვნებიც არ ენდობიან პასუხისმგებელ ორგანოებს.

დიდი ხნის განმავლობაში, ბავშვზე ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები ძირითადად ძალადობის უკვე მომხდარ შემთხვევებზე რეაგირებით შემოიფარგლებოდა. დღეს, მეცნიერული კვლევებზე დაყრდნობით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბავშვზე ძალადობის ნებისმიერი ფორმის აღკვეთა შესაძლებელია მანამ, სანამ ის მოხდება. ვინაიდან ბავშვზე ძალადობის გამომწვევი მიზეზი მრავალგვარია, შესაბამისად, ძალადობის პრევენციული სტრატეგიებიც განსხვავდება. არსებობს ბავშვზე ძალადობის პრევენციის და ძალადობის მსხვერპლ ბავშვზე ზრუნვის უნივერსალური სტრატეგიები, რომელთა ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო სხვადასხვა ქვეყანაში წლების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება და მრავალი მეცნიერული შრომა. ეს სტრატეგიები მოიცავს როგორც პირდაპირი ზეგავლენის მქონე ღონისძიებებს, როგორცაა, მაგალითად, ბავშვის მოვლისა და აღზრდის საკითხებზე მშობელთა განათლება, საზოგადოების ინფორმირება ბავშვზე ძალადობის საკითხებზე, ასევე არაპირდაპირი ზემოქმედების მომხდენ სტრატეგიებსაც, მაგალითად, ნაკლებად ხელმისაწვდომი ალკოჰოლი, და სხვ. პრევენციის მრავალი არსებული სტრატეგია ბავშვზე ძალადობის შემთხვევების ადრეულ იდენტიფიცირებას და ინტერვენციას გულისხმობს, რაც მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა ცალკეული ბავშვისა და ოჯახისათვის. თუმცა, მხოლოდ ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვნად ვერ შეამცირებს ბავშვზე ძალადობის შემთხვევათა რიცხვს. ბავშვზე ძალადობის წინააღმდეგ დასახულ ღონისძიებათა მაქსიმალური ეფექტურობისთვის აუცილებელია, რომ ნებისმიერი სტრატეგია, განსაკუთრებით - პრევენციული სტრატეგიები, აუცილებლად ითვალისწინებდეს ბავშვზე ძალადობის გამომწვევ რისკ-ფაქტორებს და ძალადობის ხელისშემშლელ, დამცავ ფაქტორებს. პრევენციული სტრატეგიები მიმართული უნდა იყოს ძალადობის გამომწვევი რისკ-ფაქტორების შემცირებისა და დამცავი ფაქტორების გაძლიერებისკენ.

არასრულწლოვანზე ძალადობა განსაკუთრებით ცუდად აისახება. მან შეიძლება აღიქვას ძალადობა, როგორც ბუნებრივი მოვლენა და მომავალში თვითონაც გაიმეოროს იგივე ქცევა. ის, რომ არასრულწლოვანების კომპლექსით შეპყრობილი ადამიანი ძალადობს ბავშვზე და არა სხვაზე ეს აიხსნება ძალაუფლებრივი პირამიდით, როდესაც დისკრიმინირებული ძალადობს თავისზე სუსტზე და ეს კიბე გრძელდება იერარქიულად დაბალი საფეხურის მიმართულებით - კაცი ძალადობს ქალზე, ქალი ბავშვზე და ა.შ. ასევე, სხვადასხვა მიზეზებით გამოწვეული ფსიქოლოგიური პრობლემები, მნიშვნელოვანი ტენდენციაა ძალადობის დასახელებულ მიზეზებში. გარკვეული გარემოებები განაპირობებს ძალადობას. ერთ-ერთი ასეთი გარემო პირობა არის ძალადობრივ ოჯახში აღზრდა. ეს არის სოციალური დასწავლის და სოციალურ კოგნიტური თეორია, რაც გულისხმობს იმას, რომ ძალადობრივ ოჯახში გაზრდილი მეტად მოსალოდნელია, რომ თავად გახდეს მოძალადე მოზრდილ ასაკში, მოძალადის

ოჯახში იზრდება მოძალადე. ძალადობა შობს ძალადობას.<sup>27</sup> ზოგიერთი ბავშვი საკუთარ სახლში ხდება ოჯახური ძალადობის მოწმე, ძირითადად მშობლებს შორის ამგვარმა ძალადობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ბავშვის ფსიქიკაზე, მის განვითარებაზე და აისახოს მის მომავალ ქცევაზე სხვების მიმართ. იმ ოჯახში, სადაც აქვს ძალადობას ქალის მიმართ, ხშირია ბავშვის მიმართ ძალადობაც.<sup>28</sup>

## დასკვნა

ყველანაირი ფორმის ძალადობისაგან დაცვა არასრულწლოვნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებაა. საზოგადოების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ბავშვის აღზრდა ძალადობრივი მეთოდებით უფრო შედეგიანია, ვიდრე არაძალადობრივი მეთოდებით. გავრცელებული მოსაზრებით არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული ოჯახური ძალადობა, ოჯახის შიდა საქმეა და ამ საქმეში არავინ უნდა ჩაერიოს. იმ შემთხვევებში კი თუ ვინმე ჩარევას გადაწყვეტს ხშირად არც კი იცის ვის ან როგორ უნდა მიმართოს.<sup>29</sup> არასრულწლოვანი დაცული უნდა იყოს ძალადობის ყველა ფორმისგან როგორც მშობლების, ასევე სხვა ნებისმიერი პირებისგან. CRC-ის მიხედვით, სახელმწიფოებმა არასრულწლოვნის დასაცავად უნდა შექმნან ეფექტური პროცედურები სოციალური პროგრამების შემუშავების მიზნით, რათა უზრუნველყონ აუცილებელი დახმარება ბავშვების მიმართ. ბავშვის უფლებების უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფომ ასევე ყველა ზომა უნდა გაატაროს ბავშვის მიმართ სასტიკი დამოკიდებულების თავიდან აცილების მიზნით, ნებისმიერი ფორმით ძალადობის გამოძღვანების, შეტყობინების, გამოძიების, დაცვისა დახმარების პროცედურების ჩათვლით.<sup>30</sup> საკანონმდებლო აქტებში მეტად უნდა იყოს მოხსენიებული და გამკაცრებული არასრულწლოვანზე ძალადობა.

მასწავლებლების, აღზრდელების, ფსიქოლოგების, პოლიციელებისა თუ სოციალური მუშაკების მოვალეობაა დროულად ამოიციონ ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევები და იმოქმედონ კანონით გათვალისწინებული წესების შესაბამისად, რათა დაიცვან ბავშვის ინტერესები. მხოლოდ სწორი მეთოდებით აღზრდა მისცემს ბავშვს საშუალებას, სრულად გამოავლინოს თავისი პოტენციალი და გახდეს საქართველოს აქტიური მოქალაქე და მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის განვითარებაში. კვლევამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ძალადობისგან ბავშვების დაცვის სისტემა გამართვასა და სრულყოფას საჭიროებს.

ძალადობამ არასრულწლოვნებზე შეიძლება გამოიწვიოს როგორც ჯანმრთელობის ხანგრძლივი პრობლემები, ისე სიკვდილიც კი. ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვებზე ძალადობის შემთხვევაში ეკისრება სახელმწიფოს. სრულწლოვნები ვალდებულნი არიან

---

<sup>27</sup> McGILLIVRAY A., „Governing Childhood“, Dartmouth, USA, 1997, P. 18-19.

<sup>28</sup> გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში (UNICEF GEORGIA), ჩვენ გვაქვს უფლება ვიყოთ დაცული ძალადობისგან, თბილისი, 2007წ., გვ. 19.

<sup>29</sup> გრაუმანი შ., ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში, 2013წ., გვ. 3.

<sup>30</sup> მესხი მ., „არასრულწლოვანი მსხვერპლის დაცვა და საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული უფლებები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია სამართალწარმოებისას (გაერთიანებული ერების სამოდელო კანონმდებლობის ანალიზის მიხედვით)“, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, №1, თბილისი, 2017წ., გვ. 58.

მხარი დაუჭირონ არასრულწლოვანთა უფლებების დაცვას. ქვეყანაში უნდა არსებობდეს პოლიტიკური ნება, რათა მომზადებულ და მიღებულ იქნეს ბავშვთა მიმართ ძალადობის აღკვეთასთან დაკავშირებული კანონმდებლობა. საქართველოს კანონმდებლობა ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად ეხლა იკრებს ძალებს და ამ მიზნის მიღწევისთვის, აუცილებელია, ეროვნული და საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობათა ანალიზის საფუძველზე ნორმატიულს აქტებში შევიდეს ცვლილებები და დამატებები. ბავშვთა უფლებები აუცილებელია აისახოს როგორც საქართველოს კონსტიტუციაში, ასევე სხვა ნორმატიულ აქტებში. უნდა შეიქმნას კონსტიტუციური გარანტიები ბავშვთა უფლებების დაცვისა და უზრუნველყოფის კუთხით, რომელიც დაეფუძნება ბავშვების აღიარებას დამოუკიდებელ სამართალსუბიექტებად. გარდა ამისა, მიზანშეწონილია, შეიქმნას ე.წ. „Children's Ombudsman“-ის ინსტიტუტი, რომელიც იქნება ბავშვთა უფლებათა დაცვის ერთ-ერთი მთავარი გარანტი საქართველოში.

თანამშრომლობა პასუხისმგებლობის გაზიარებაა. უწყებათაშორისი თანამშრომლობის ეფექტურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინფორმაციის გაცვლასა და ურთიერთგაგებაზე, როგორც ცალკეული სპეციალისტების, ისე უწყებების დონეზე. სპეციალისტებმა და სხვადასხვა სამსახურებმა ერთობლივად უნდა დაგეგმონ და მოახდინონ ბავშვისთვის სასარგებლო ღონისძიებების კოორდინირება. სასიხარულო სიახლეა, რომ საქართველო გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით უერთდება ბავშვთა მიმართ ძალადობის დაძლევის გლობალური პარტნიორობის პლატფორმას, რომელიც მიზნად ისახავს საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას და ქვეყნების დახმარებას კონკრეტული მექანიზმების შემუშავებისათვის. პარტნიორობა აერთიანებს სახელმწიფოების, გაეროს სააგენტოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების, რელიგიურ ორგანიზაციების, კერძო სექტორის, აკადემიური, კვლევითი ორგანიზაციებისა და ბავშვების ძალისხმევას იმისათვის რომ შეიქმნას და შენარჩუნდეს პოლიტიკური ნება ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისათვის, გაძლიერდეს ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისაკენ მიმართული ღონისძიებები და თანამშრომლობა ქვეყნის შიგნით, ისევე როგორც ქვეყნებს შორის გამოცდილების გაზიარება.

და ბოლოს, უთხარით ბავშვს, რომ ის მარტო არ არის და თქვენ ყველაფერს გააკეთებთ იმისათვის, რომ ძალადობა აღარ განმეორდეს. 18 ნოემბერს, მსოფლიო მასშტაბით, აღინიშნება სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბავშვთა დაცვის ევროპული დღე, 19 ნოემბერს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის საერთაშორისო დღე, ხოლო 20 ნოემბერს გაერთიანებული ერები ბავშვთა მსოფლიო დღეს აღნიშნავს.



## თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე

### გია კახეთელიძე

#### ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა:

რა არის ქალთა მიმართ ძალადობა, ასპექტები, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის მოტივი, მიზანი და არსი.

ქალთა მიმართ ძალადობა კომპლექსური მოვლენაა, რომელსაც ფესვები ღრმად აქვს გადგმული საზოგადოების ორგანიზაციის სტრუქტურაში - კულტურულ რწმენებსა და სქესთაშორის ძალაუფლების უთანასწორო გადანაწილებაში. გენდერული ნიშნით ძალადობა ყველა საზოგადოებაში ხორციელდება და მიზნად ისახავს ერთი სქესის (უმეტეს შემთხვევაში ქალების) სოციალურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ და ეკონომიკურ დაქვემდებარებას მეორე სქესისადმი. ქალთა მიმართ ძალადობა გლობალური ფენომენია, იგი და მახასიათებელია სხვადასხვა რასის, ეთნოსის, სოციალური, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ რელიგიური კუთვნილების ადამიანებისთვის.

ხშირად მოძალადეები არიან ის პიროვნებები, რომელთაც ქალები ენდობიან, პატივს სცემენ, უყვართ, რაც განსაკუთრებით ართულებს მათი დაცვის ამოცანას. მილიონობით ქალისათვის ყველაზე საშიში ადგილი შესაძლოა საკუთარი სახლი იყოს. უახლოესი პარტნიორის მიერ ჩადენილ ძალადობას მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში ვხვდებით, განსაკუთრებით კი ისეთ საზოგადოებებში, სადაც შეინიშნება სქესთაშორის მკვეთრი უთანასწორობა, ფესვადგმულია ისეთი კულტურული ნორმები, რომლებიც ქალთან მიმართებაში მამაკაცის უპირატესობას ქადაგებს.

#### ზოგადად ძალადობის განმარტება:

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ძალადობას განსაზღვრავს, როგორც: ფიზიკური ძალის ან ძალაუფლების წინასწარგამიზნულ გამოყენებას მიმართულს საკუთარი თავის, სხვა ადამიანის ან საზოგადოების წინააღმდეგ, რომლის შედეგადაც ადგილი აქვს (ან არსებობს ამის დიდი ალბათობა) ტკივილს, სიკვდილს, სხეულის დაზიანებას, ფსიქოლოგიურ ტრავმას, ნორმალური განვითარებიდან გადახრას ან სხვადასხვა სახის ზიანს.

#### ქალთა მიმართ ძალადობის განმარტება:

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, **ქალთა მიმართ ძალადობა გულისხმობს** საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში ქალების მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისათვის დამახასიათებელ ყველა ქმედებას, რომელთაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ტანჯვის ან ეკონომიკური ზიანის მიყენება, მათ შორის, ასეთი ქმედებების ჩადენის მუქარა, ქალების იძულება ან მათთვის თავისუფლების თვითნებური აღკვეთა.

**რაც შეეხება ოჯახში ძალადობას**, ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და გავრცელებული ძალადობის ფორმაა. იგი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. ძალიან ხშირად ოჯახში ძალადობას

ახასიათებს ფარული და განგრძობადი ხასიათი. ოჯახში ძალადობა ხშირ შემთხვევაში იწვევს ჯანმრთელობის სერიოზულ გაუარესებას, ფიზიკურ და ემოციურ აშლილობას, რომელიც შეიძლება ფატალური შედეგით დასრულდეს.

ჩვეულებრივ, ყველა ოჯახში მეუღლეების ურთიერთობაში ჩნდება აზრთა სხვადასხვაობა, რამაც შეიძლება კამათი და ჩხუბი გამოიწვიოს. ბუნებრივი და მისაღებია, რომ ორ სხვადასხვა ადამიანს ჰქონდეს განსხვავებული აზრი და შეხედულებები. თუმცა ძალადობას არანაირი კავშირი არა აქვს კამათთან. ძალადობის პირობებში ორ ადამიანს შორის არ ხდება აზრთა გაცვლა. ძალადობა - ეს არის არა ურთიერთობების თანასწორი გარკვევა ადამიანებს შორის, არამედ ცემა, დამუქრება, შანტაჟი და დამცირება. ამ დროს ერთი მხარე, შიშის და მუქარის გამოყენებით, კარნახობს მეორეს ცხოვრების წესს, ურთიერთობის მანერას და ქცევის სტილს. ხშირად ძალადობას წინ არ უსწრებს კამათი. მაგრამ მოძალადემ შეიძლება სპეციალურად მოახდინოს მისი პროვოცირება, რათა შემდგომ გაამართლოს თავისი ძალადობრივი მოქმედება და აიძულოს მსხვერპლი, იგრძნოს თავი დამნაშავედ. „მიზეზები“ შეიძლება იყოს: ცოლმა ქმარს პროდუქტებისთვის ფული სთხოვა, სადილი არ იყო მზად ქმრის სამსახურიდან მოსვლისთვის, ქმარს სადილი არ მოეწონა. ხშირად „უწყინარი შეკითხვა“, რომელიც დაისვა „შეუფერებელ დროს“, იწვევს ძალადობას მამაკაცის მხრიდან. ქალები ცდილობენ, შეცვალონ თავიანთი ქცევა მეუღლის მოთხოვნების შესაბამისად, რათა თავიდან აიცილონ ძალადობა. თუმცა ბოლოს და ბოლოს ისინი ხვდებიან, რომ ეს მცდელობები არაფრის მომცემია. ძალადობა არ არის დამოკიდებული მსხვერპლის ქცევაზე.

ოჯახის წევრების ჩამონათვალს იძლევა სისხლის სამართლის კოდექსი. საქართველოს სსკ-ის მე-11<sup>1</sup> მუხლის შენიშვნის მიხედვით, ოჯახის წევრებად ითვლებიან - დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი, აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას; როგორც ამ ჩამონათვალიდან ჩანს, ოჯახის ზოგიერთი წევრის იურიდიულ ასპექტში განმარტებისათვის ჩვენ ყურადღება უნდა მივაპყროთ სამოქალაქო სამართლის კოდექსს, მაგალითად, მეურვეობა, მზრუნველობა, მხარდამჭერი არის სამოქალაქო სამართლის კატეგორიები.

## **ოჯახში ძალადობის მიზეზები და მიზნები**

მეცნიერული კვლევების მიხედვით, ოჯახში ძალადობა ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალაუფლებისა და კონტროლის დამყარების მიზნით ხდება. თუმცა საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგად, უმრავლესობა ოჯახში ძალადობის ძირითად მიზეზად უმუშევრობას, ალკოჰოლიზმს, ნარკომანიასა და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს ასახელებს. სინამდვილეში კი ოჯახში ძალადობა ერთნაირად არსებობს როგორც ჩამორჩენილ, ასევე ეკონომიურად განვითარებულ ქვეყნებში. ჩამოთვლილი ფაქტორები მხოლოდ და მხოლოდ ძალადობის ხარისხზე მოქმედებენ და, გარკვეულწილად, პროვოცირების ელემენტებად შეიძლება განიხილებოდეს. ძალაუფლებისა და კონტროლის დამყარების სურვილის შემთხვევაში მოძალადე განზრახ მიმართავს ძალადობას მსხვერპლზე გავლენის მოპოვების მიზნით. უმეტეს შემთხვევაში

ფიზიკურ ძალადობას წინ უძღვის მსხვერპლის დამცირება და დაშინება. ძალადობის შედეგად მოპოვებული კონტროლი კი გამოიხატება მსხვერპლის თავისუფალი ნების გამოვლინების შეზღუდვაში, იზოლაციასა და მანიპულირებაში.

ოჯახში ძალადობის, ისევე, როგორც ზოგადად ძალადობის შემთხვევაში, არსებობს სამი კომპონენტი: 1. მსხვერპლი; 2. მოძალადე; 3. ქმედება (ძალადობა).

**მსხვერპლი არის** ოჯახის ნებისმიერი წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება.

**მოძალადე არის** ოჯახის წევრი, რომელიც ოჯახის სხვა წევრის მიმართ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ახორციელებს. ადამიანი მოძალადე სხვადასხვა მიზეზით ხდება. ძირითადად, როდესაც ბავშვობიდან უყურებს, როგორ ძალადობს მამა დედაზე ან პირიქით. ან, როცა მშობლები ძალადობენ მასზე. ასეთ შემთხვევაში ბავშვში ილექება მოძალადის ფსიქიკა, რასაც ზრდასრულობისას ავლენს. ხშირ შემთხვევაში მოძალადე ოჯახში აღზრდილი ბავშვიც მოძალადე ხდება.

ოჯახში ძალადობას გააჩნია საკუთარი მახასიათებლები და თავისებურებები - ანუ ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვით ხდება ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირება.

ოჯახში ძალადობა არ არის ერთჯერადი ქმედება – ეს არის პროცესი, რომელიც შედგება ძალადობის განმეორებადი ციკლებისაგან და დამყარებულია მოძალადის და მსხვერპლის ურთიერთობაზე; ოჯახში ძალადობა დროში გახანგრძლივებულია და აქვს ზრდის ტენდენცია; ძალადობის სუბიექტები, როგორც წესი, ერთმანეთზე არიან დამოკიდებულები, ამიტომ უმეტეს შემთხვევაში ოჯახი მალავს ამ ფაქტს;

**ოჯახში ძალადობის სახეებად შეიძლება მივიჩნიოთ:**

**ფიზიკური ძალადობა** - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

**ფსიქოლოგიური/ემოციური ძალადობა** - შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;

ზოგადად, ფსიქოლოგიური ძალადობის მიზანია, მსხვერპლს დაუკარგოს საკუთარი თავის რწმენა, დააეჭვოს საკუთარ ინტელექტუალურ შესაძლებლობებში და რეალობის ადეკვატურ აღქმაში.

**ეკონომიკური ძალადობა** - ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;

იზოლაციის და მუშაობის აკრძალვის „მიზანია“, რომ ქალმა არ მოიპოვოს დამოუკიდებლობა და ვერ გაინთავისუფლოს თავი ასეთი „დამოკიდებულებითი“ ურთიერთობისაგან.

**სექსუალური ძალადობა** - გაუპატიურება (ძალის, მუქარის გამოყენება ან ძალდატანება), აღსანიშნავია, რომ გაუპატიურება ქორწინებაში ზოგიერთ ქვეყანაში უკვე აღიარებულია სისხლის

სამართლის დანაშაულად, სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

### **საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა:**

#### **საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი:**

ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ.

3. სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

4. სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის.

#### **საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი:**

ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება.

2. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.

3. დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

კონსტიტუციის ამ ორ მუხლში ჩამოთვლილია ადამიანის ის თავისუფლებები, რომლებიც ერთ-ერთი უმთავრესია ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა შორის.

### **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11<sup>1</sup> მუხლი**

ამ მუხლის შენიშვნა - რატომ არ უნდა იყოს ოჯახის წევრი რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის ოჯახის წევრი - მაგ. მეუღლის და ან ძმა მაშინ, როდესაც ოჯახის წევრად ითვლება არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის ოჯახის წევრი, ანუ და ან ძმა? ვფიქრობთ, ეს არის ხარვეზი.

#### **სიძეში ან რძალში იგულისხმებიან თუ არა დის ქმარი ან ძმის ცოლი?**

მივაქციოთ ყურადღება, რომ, ვინაიდან შენიშვნაში არ არიან მითითებული და შესაბამისად, არ ითვლებიან ოჯახის წევრებად - მული, ქვისლი, მაზლი, ამიტომ სიძეში და რძალში უნდა ვიგულისხმოთ შვილის ცოლი და ქმარი.

აქვე შენიშვნაში, ოჯახის წევრების ჩამონათვალში მითითებულია გერი. მაშინ რატომ არ უნდა მივიჩნიოთ ოჯახის წევრებად დედინაცვალი ან მამინაცვალი? ვფიქრობთ ეს პირებიც უნდა იყვნენ მიჩნეული ოჯახის წევრებად.

აქვე შენიშვნაში, ოჯახის წევრების ჩამონათვალში მითითებულია **მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი** (ვინ არიან ეს პირები, ამას განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1275 – 1280 მუხლები). თუ ეს პირები არიან მითითებული და ითვლებიან ოჯახის წევრებად, მაშინ ოჯახის წევრებად ასევე უნდა ითვლებოდნენ მეურვეობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი და მხარდამჭერის მიმღები პირი. ვფიქრობთ, ამ ნაწილშიც საჭიროა კოდექსში, მე-11<sup>1</sup> მუხლში ცვლილების შეტანა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც გვსურს ყურადღების გამახვილება - ეს არის შენიშვნაში მითითებული ცნება - **ნებისმიერი სხვა პირები, რომლებიც მუდმივად ეწევიან ან ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას**.

ასეთი პირების ქვეშ უნდა მოიაზრებოდნენ არა მარტო მეუღლეები, არამედ ნებისმიერი პირები - სტუდენტები საერთო საცხოვრებელში, მეგობრები, რომლებიც ერთად ქირაობენ ბინას ან პარტნიორები.

თუმცა გვაქვს **მუდმივობის განმარტების პრობლემა**. როგორ განვმარტოთ ცნება „მუდმივად“? ამის განმარტება, ბუნებრივია, არ არსებობს სისხლის სამართლის კოდექსში. როდესაც ძალიან დიდი ხანია გასული, მაგალითად, 20 წელია გასული, რაც პირები ერთად ცხოვრობდნენ, ვთქვათ, სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში და ეწეოდნენ მაშინ ერთიან საოჯახო მეურნეობას, უნდა მივიჩნიოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11<sup>1</sup> მუხლის შენიშვნის სუბიექტებად? ვფიქრობთ, რომ არ უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ მაშინ რამდენი ხანი უნდა იყოს გასული? როგორც ჩანს, მიზანშეწონილია თვითონ სისხლის სამართლის კოდექსმა დააწესოს გარკვეული ვადა, რა პერიოდშიც უნდა მივიჩნიოთ, რომ პირები ეწეოდნენ ერთიან საოჯახო მეურნეობას.

### **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლი**

ვკითხულობთ დისპოზიციას. ხარვეზი - **სისტემატურობის პრობლემა**. შედარება 126-ე მუხლთან.

პირველი ინსტანციის სასამართლო ერთ-ერთ განაჩენში არ დაეთანხმა ბრალდების კვალიფიკაციას ბრალდებულის მიერ მეუღლის მიმართ, არასრულწლოვნის თანდასწრებით, განხორციელებული სისტემატური ძალადობრივი ქმედებების საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11<sup>1</sup>,126-ე მუხლის მე-2 ნაწილის „კ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირების შესახებ და ბრალდების ამ ნაწილში ბრალდებულის ქმედება გადააკვალიფიცირა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე (2018 წლის 22 ივნისამდე მოქმედი რედაქციით). აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველად პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენში მიუთითა შემდეგი: საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული ძალადობა მოიცავს როგორც ერთჯერადად განხორციელებულ ძალადობას, ისე სისტემატურად განხორციელებულ ძალადობასაც, მაგალითად, თუ ქმარმა ერთჯერადად იძალადა მეუღლეზე (დაარტყა ხელი), მისი ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლით, ასევე თუ ქმარი სისტემატურად ძალადობს მეუღლეზე (სცემს ყოველდღიურად), მისი ქმედებაც დაკვალიფიცირდება ამ მუხლით, ოღონდ არა ცალ-ცალკე ეპიზოდებად, არამედ ერთიან დანაშაულად, რადგან სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლით გათვალისწინებული ძალადობა მოიცავს მათ შორის სისტემატურად განხორციელებულ ძალადობრივ აქტებსაც, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოვა, რომ ერთჯერადად განხორციელებული ძალადობა ამ მუხლით ისჯება, ხოლო მრავალჯერ განხორციელებული ძალადობა კი არა, რაც არასწორი იქნება. სისტემატურად განხორციელებული ძალადობა ოჯახის წევრის მიმართ უნდა დაკვალიფიცირდეს სპეციალური მუხლით - საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლით და არა 11<sup>1</sup>,126-ე მუხლის 1<sup>2</sup>-ლი ნაწილით, ვინაიდან მხოლოდ სისტემატურობის გამო ოჯახის წევრის მიმართ განხორციელებული ძალადობის დაკვალიფიცირება არასპეციალური მუხლით - საქართველოს სსკ-ის 11<sup>1</sup>,126-ე მუხლის 1<sup>2</sup>-ლი ნაწილით არასწორი იქნება.

სააპელაციო პალატა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის აღნიშნულ მსჯელობას ვერ დაეთანხმა. პალატა მიუთითებს, რომ კანონმდებელმა საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულად და შესაბამისად, დასჯად ქმედებებად გამოაცხადა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი და დამცირება, რამაც უნდა გამოიწვიოს ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა, მაგრამ არ უნდა მოჰყვეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 118-ე და 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. აღნიშნული მუხლის დისპოზიციის საკანონმდებლო კონსტრუქციის მიხედვით, ნათლად ჩანს, რომ ქმედების სისტემატურობასთან დაკავშირებით კანონმდებელმა აქცენტი გააკეთა მხოლოდ შეურაცხყოფაზე, შანტაჟსა და დამცირებაზე და არა ძალადობაზე. ამდენად, დაუშვებელია ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ სისტემატურად განხორციელებული ძალადობა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულად.

**რაც შეეხება თვითონ სისტემატურობის განმარტებას**, ასეთ განმარტებას სისხლის სამართლის კოდექსი არ იძლევა, ამიტომ პრაქტიკაში შევთანხმდით, რომ სისტემატურობა უკავშირდება ძალადობის განხორციელებას გარკვეული სისტემატურობით, ანუ ქმედება მეორდება გამუდმებით, განუწყვეტლივ, რაც ქმნის გარკვეულ სისტემას. ამ თვალსაზრისით, გამეორება, ე.ი. მომდევნო ქმედება, მინიმუმ ორჯერ მაინც უნდა მოხდეს, ანუ მინიმუმ ჯამში სამჯერ მაინც, რათა გამოიკვეთოს სისტემატურობის ელემენტი და ცხადი გახდეს, რომ ძალადობას გააჩნია არაერთგზისი რეციდივი, ანუ მისი გამეორების ალბათობა გარკვეულ „სისტემას“ (განპირობებულია რაიმე ნიშნით, გარემოებით ან ზოგადად, უმიზეზოდ ხდება) უკავშირდება და მუდმივად მოსალოდნელია. ამიტომ წარმოუდგენელია ძალადობა მივიჩნიოთ სისტემატურად, როდესაც ქმედებები დროის ინტერვალით იმდენად დაშორებულია ერთმანეთისგან, რომ მათ შორის აღნიშნული სისტემური ჯაჭვი ქრება, რაც შეფასებითი ცნებაა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მას სასამართლო ადგენს. შესაბამისად, სასამართლოს განმარტებით, სისტემატურობა სახეზეა მაშინ, როდესაც ძალადობრივ ქმედებებს შორის გასული დროის პერიოდი იმდენად მოკლეა, რომ პირველი ქმედებით მიყენებული ფიზიკური ტკივილი ანდა ფსიქიკური ტანჯვა ჯერაც არ გამქრალა და მას კვლავ განიცდის დაზარალებული, სწორედ ესაა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმარტებული ინდიკატორი სისტემატურობის შესაფასებლად.

სისტემატურობასთან დაკავშირებით **სოზიაშილის** განაჩენის მიმოხილვა.

**რაც შეეხება სისტემატურ შეურაცხყოფას და დამცირებას**, რამაც გამოიწვია ტანჯვა, განვმარტეთ, რომ სისტემატური შეურაცხყოფა არის სხვისი პატივისა და ღირსების განზრახ დამცირება. აღნიშნული ქმედება რომ დასჯადად იქნეს მიჩნეული, სავალდებულოა ორი კომპონენტი. ერთი - ის ჩადენილი უნდა იქნეს ოჯახში და მეორე - უნდა გააჩნდეს სისტემატური ხასიათი. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს, რომ შეურაცხყოფის ფაქტს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ადგილი უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამჯერ დროის მცირე ინტერვალის დაშორებით და ყოველი მომდევნო შეურაცხყოფის დროს მსხვერპლს არ უნდა უნდა ჰქონდეს განელებული წინა შეურაცხყოფის ნიადაგზე განცდილი ტანჯვა.

დისპოზიცია - **რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი**. ამასთან დაკავშირებით სუბიექტური და ობიექტური კრიტერიუმები უნდა არსებობდეს. ობიექტური კრიტერიუმებით ტკივილის განცდის შეფასება დაგვჭირდება მაშინ, როდესაც სახეზე არ გვექნება დაზარალებულის მიერ სასამართლოში მიცემული ჩვენება (როდესაც პირი - დაზარალებული იყენებს მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებას და არ აძლევს ჩვენებას თავისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ).

ქმედების ძალადობად კვალიფიკაციისათვის სავალდებულოა, ქმედებას შედეგად მოჰყვეს მსხვერპლში ტკივილის განცდა. ტკივილის განცდა სუბიექტური შეფასების საგანია, იგი

ობიექტურად შეიძლება შეფასდეს მაშინ, თუკი დაზიანების მასშტაბი არის მოცულობითი და მრავლობითი ანდა დაზიანების მიყენებისას გამოყენებულია რაიმე ნივთი ან საგანი. თუკი დაზიანების მასშტაბი თავისი ზომებით არის მცირედი, თანაც პირი - დაზარალებული არ გვაწვდის ინფორმაციას განიცადა თუა არა ძალადობის შედეგად ტკივილი, ანუ არ გვაქვს ტკივილის შეფასების სუბიექტური კრიტერიუმი, მაშინ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-126<sup>1</sup> მუხლის შემადგენლობა სახეზე არ გვექნება.

**ტკივილის ან ტანჯვის შეფასებისას როდესაც სახეზე არ გვაქვს სამედიცინო ან ფსიქოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა:**

**ხრიკული ხვიჩას განაჩენი:**

რაც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლის მაკვალიფიცირებელ, ანუ დამამძიმებელ გარემოებებს, რომელთა ჩამონათვალი მოცემულია ამ მუხლის მე-2 ნაწილში (გვითხულობთ).

ამ ჩამონათვალიდან გარკვეულ პრობლემებს ვხედავთ ბ) ქვეპუნქტთან მიმართებით - ანუ ოჯახში ძალადობა არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ. განვიხილოთ ისეთი შემთხვევა, როდესაც ოჯახში ძალადობა განხორციელდა მაგ. ქმარმა ხელი დაარტყა ცოლს 6 თვის ჩვილის თანდასწრებით, რომელიც იმ დროს ოთახში იმყოფებოდა, ეძინა თავის საწოლში, გაიღვიძა ხმაურზე და დაიწყო ტირილი. ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში ქმედება არ უნდა დავაკვალიფიციროთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის ბ) ქვეპუნქტით, ვინაიდან აღნიშნული კვალიფიკაციის შემთხვევაში არასრულწლოვანს უნდა გაცნობიერებული ჰქონდეს, რომ ძალადობა ხორციელდება მისი ოჯახის წევრის მიერ მისი ოჯახის სხვა წევრის მიმართ, ანუ აქ მთავარია აღქმადობა და ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. აქვე აღვნიშნავთ, რომ რა გავლენას ახდენს ძალადობა ბავშვზე - ასე უნდა იქნას განმარტებული და შეფასებული, ხოლო ასეთ განმარტებას და შეფასებას მოგვცემს ბავშვთა ფსიქოლოგი, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ჩავრთოთ საქმეში.

**108-ე და 109-ე მუხლები - 109-ე მუხლში ჩაემატა დ<sup>1</sup>) და ვ) ქვეპუნქტები**

**სასჯელის შეფარდების პრაქტიკული ასპექტები:**

**მუხლი 53<sup>1</sup> - სასჯელის დამამძიმებელი გარემოებები**

დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისთვის. (პირველი ნაწილი).

დანაშაულის ჩადენა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ, უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ, არასრულწლოვნის მიმართ ან მისი თანდასწრებით, განსაკუთრებული სისასტიკით, იარაღის გამოყენებით ან იარაღის გამოყენების მუქარით,

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, არის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისთვის. (მეორე ნაწილი).

ასევე ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები

**მუხლი 53 - სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები**

ამ მუხლის მე-3 ნაწილი.

კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების (ქეისების) მიმოხილვა. პრობლემები საქმეთა განხილვის დროს, როდესაც დაზარალებულები არ იძლევიან ჩვენებას თავიანთი ახლო ნათესავების მიმართ.



თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე  
ელენე გოგუაძე

აღკვეთი ღონისძიების შეფარდების თავისებურებანი  
ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე

ოჯახში ჩადენილი ძალადობა ერთ-ერთი გავრცელებული და სპეციფიკური დანაშაულის ფორმაა. ამგვარი დანაშაული მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ფიქსირდება და მოიცავს საზოგადოების ყველა ფენას. ოჯახურ დანაშაულთან ბრძოლის სისტემის სრულყოფისათვის აუცილებელია, რომ ოჯახში არსებული ძალადობა განიხილებოდეს ერთ-ერთ რთულ და საშიშ მოვლენად რადგან ამ სახის დანაშაული ხელყოფს როგორც ადამიანის ღირსებას, ჯანმრთელობას და შესაძლოა თავად სიცოცხლესაც კი.

ოჯახში არსებულმა ნეგატიურმა გარემომ შესაძლოა იმოქმედოს საზოგადოებაზე და მომავალ თაობებზე. ბავშვი რომელიც იზრდება დაძაბული ოჯახური ურთიერთობების ფონზე მკვეთრად განსხვავდება იმ მოზარდებისაგან რომლებიც იზრდებიან მშვიდ ოჯახურ გარემოში. ოჯახში არსებული უთანხმოება მოზარდის ფსიქიკურ განვითარებაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს. შესაძლოა ამგვარმა ფსიქოლოგიურმა გავლენებმა ბავშვი სამომავლოდ მოძალადეთაც კი ჩამოაყალიბოს. არაერთი კვლევის თანახმად, მოძალადე შესაძლოა თავადაც ყოფილიყო მსხვერპლი მცირეწლოვნობის ან გარდატეხის ასაკში. სწორედ ამგვარი დანაშაულებრივი ქმედების აქტუალურ პრობლემად უნდა იქნეს განხილული ის ძირითადი ფაქტორი, რომ ოჯახში არსებული ძალადობა იწვევს მნიშვნელოვან სოციალურად საშიშ შედეგებს, ოჯახში იცვლება მორალური კლიმატი, რომელიც განსაკუთრებით მცირეწლოვან და მოზარდ ბავშვებზე აისახება. ეს ყოველივე მათში იწვევს გამოუსწორებელ ზიანს, შესაძლოა მოზარდები მივიდნენ ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიის ზღვრამდე, ოჯახში არსებულმა ძალადობამ შესაძლოა მათში თვითმკვლელობის სურვილიც აღძრას.

საქართველოს კონსტიტუცია სხვა ძირითად უფლებათა შორის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას განიხილავს. სწორედ ოჯახური ძალადობა შესაძლოა მიჩნულ იქნეს საქართველოს კონსტიტუციით დაცული ადამიანის უფლებათა დარღვევად. „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია, განურჩევლად კანისა, ფერისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“. შესაბამისად ოჯახური ძალადობა უნდა განვიხილოთ, როგორც ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ კონსტიტუციური უფლებების ხელყოფასა და დარღვევაში.

„თავისუფალი პიროვნება და მისი ღირსება არის საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობის ღირებულება და უმნიშვნელოვანესი პრინციპი, კონსტიტუციით ადამიანი მიჩნეულია ინდივიდად, რომელსაც აქვს თავისი ცხოვრების დამოუკიდებელი და საკუთარი პასუხისმგებლობით ჩამოყალიბების შესაძლებლობა და უნარი“<sup>1</sup>. ასევე საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს: „ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია“.

რამ შეიძლება გამოიწვიოს ოჯახში ერთი წევრის მიერ მეორის უფლებების დარღვევა, რატომ შეიძლება ოჯახის ერთი წევრი აღმოჩნდეს მოძალადე და ოჯახის მეორე წევრი მსხვერპლი?

<sup>1</sup> კუბლაშვილი ვ. ადამიანის ძირითადი უფლებები. თბ. 2010. გვ.86

ძირითადად მოძალადეს ქმნის გარემო, ანუ ძალადობრივ გარემოში ბავშვობიდან ყოფნა. ასევე უნდა მივუთითოთ ოჯახში არსებული კონფლიქტის მიზეზად - ოჯახში არსებული არასტაბილური სოციალური გარემო, ოჯახის წევრთა უნდობლობა, ურთიერთპატივისცემის დაკარგვა და სხვა. დღესდღეობით ოჯახური ძალადობის გამომწვევ მიზეზად შესაძლოა დასახელდეს უამრავი არაერთგვაროვანი გარემოებები. ოჯახში ძალადობის ძირითად მიზეზად შესაძლოა დასახელდეს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თუმცა მხოლოდ „უმუშევრობა და ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა არ შეიძლება მივიჩნიოთ ძალადობის გამომწვევ მიზეზად, რადგან ოჯახში ძალადობა თანაბრად არსებობს, როგორც ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, ასევე ეკონომიკურად ძლიერ და განვითარებულ ქვეყნებშიც. ბევრი მოძალადე თავის ქმედებას ალკოჰოლის მიღებით ან ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულებით ხსნის, რაც არასწორია, არავინ ახორციელებს ძალადობას მხოლოდ იმის გამო, რომ იგი ალკოჰოლის ან ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ არის. ასეთ დროს მოძალადეს უმძაფრდება პირადი თავისუფლების და სხვებზე ბატონობის შეგრძნება, რაც უკვე ძალადობის ხარისხზე მოქმედებს“.<sup>2</sup>

დღესდღეობით ოჯახური ძალადობის გამომწვევ მიზეზად შესაძლოა დასახელდეს ოჯახში არსებული არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობა და ქონებრივი სიდუხჭირე, რაც ადამიანში იწვევს ფსიქოლოგიურ სტრესს, აღნიშნული კი, ყოველდღიურად ამძაფრებს უთანხმოებას ოჯახის წევრებს შორის. ასევე ასეთ გარემოში ყოფნა ოჯახის ერთ წევრს აქცევს დამოკიდებულს მეორე წევრის მიმართ, რომელიც ოჯახში ითვლება ე.წ. „შემომტანად“, უმუშევრობა და ეკონომიკური დამოკიდებულება კი აიძულებს მსხვერპლს აიტანოს ძალადობა, რადგან მისთვის ერთადერთი ფინანსური დასაყრდენი მოძალადეა. არსებობს ასევე ოჯახური ძალადობის შემთხვევები, მაშინ როდესაც ქალის ეკონომიკურ აქტივობას და დამოუკიდებლობას მამაკაცი საფრთხედ აღიქვამს, განსაკუთრებით, თუკი მამაკაცი უმუშევარია რადგან მას ეუფლება ოჯახში საკუთარი ძალაუფლების დაკარგვის შიში, რაც შემდგომ იწვევს ქალის მიმართ ძალადობის გამოვლინებას.

„ძალადობა სხვადასხვაგვარად აისახა ადამიანთა ბედზე. კონფლიქტებმა და სოციალურმა სიდუხჭირემ ხელი შეუწყო ძალადობის მატებას. ზოგადმა პროცესებმა საზოგადოებაში მორალური და საერთო ღირებულებების კუთხით იჩინა თავი. მაგ: უცხო აღარ იყო ისეთი მოვლენა როგორც გახლავთ ძალით გათხოვება, მძიმე პირობებში წარმართული ორსულობა, ისეთ პიროვნებასთან ოჯახის შექმნა, რომელიც ოდესღაც თავად იყო ძალადობის მსხვერპლი და რაც მთავარია ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე დაზარალებული ბავშვები. ასე წარმოიქმნა ჩვენს თვალწინ სიძულვილის დანაშაული, რომელმაც სახელწოდება - ოჯახური ძალადობა მიიღო. მაინც რატომ ოჯახური დანაშაული? იმიტომ რომ ოჯახი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, სადაც ყველაზე დაცულად უნდა იგრძნოს ადამიანი თავი“<sup>3</sup>.

ოჯახში არსებული უთანხმოებანი, ხშირ შემთხვევაში იზრდება ძალადობაში და შესაძლოა ამან უფრო მძიმე ლატალურ შედეგებამდეც მიგვიყვანოს, თუმცა არ შეიძლება ყოველი ამგვარი ქმედების მიმართ ვიყოთ მეტად მკაცრები და პირველივე შემთხვევაში მივმართოთ რადიკალურ ზომებს, რადგან დანაშაული ჩადენილია ოჯახში, მოძალადე და მსხვერპლი ერთი ოჯახის წევრები არიან და სამომავლოდ ამგვარმა რადიკალურმა ზომებმა შესაძლოა უფრო მეტად გააღიზიანოს როგორც

<sup>2</sup> ბოჭორიშვილი ვ. ლორია ა. პრაქტიკული სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თბილისი 2009.

გვ 9

<sup>3</sup> გურამ ნაჭყებია -75 საიუბილეო კრებული. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2016 წ. ივანიძე მ. ოჯახში ჩადენილი დანაშაული გვ.52-53.

დაპირისპირებული მხარეები, ასევე ოჯახის სხვა წევრები, შესაბამისად, ამგვარი ქმედებანი სახელმწიფოს მხრიდან მეტად ფრთხილ მიდგომებს, ფაქტობრივი გარემოებების სიღრმისეულ შესწავლას და კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების მიგნებას საჭიროებს.

საყურადღებოა ოჯახში არსებული ძალადობის შედეგად დაზარალებული პირი - მსხვერპლი, რომელმაც შესაძლოა განიცადოს როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ძალადობა, იძულება, სექსუალური ძალადობა და ეკონომიური ძალადობაც კი. ეს არის ის დაზარალებული რომელიც განსხვავდება სხვა დაზარალებულებისაგან კერძოდ, ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის, თაღლითობისა და სხვა დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად დაზარალებული პირებისაგან, რადგან მათ გვერდით უდგათ ოჯახები, მეგობრები, ახლობლები, ხოლო ოჯახური ძალადობის შედეგად დაზარალებული პირი რჩება სულ მარტო მოძალადის პირისპირს. იგი ცხოვრობს მოძალადესთან და მუდმივ სტრესში იმყოფება, რის გამოც უფრო მძიმე დანაშაულის ჩადენის რისკი მეტია.

საქართველოში ოჯახურ ძალადობაზე მუშაობა 1990-იანი წლების ბოლოდან დაიწყო. 2006 წელს მიღებული იქნა კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ“, სადაც განისაზღვრა ოჯახური ძალადობის ცნება და სახელმწიფო დაცვის მექანიზმები, რომელიც ტარდება მოძალადის მიმართ, კერძოდ შემოღებულია შემაკავებელი და დამცავი ორდერი, რაც საშუალებას აძლევს პოლიციას და სასამართლოს სწრაფი რეაგირება მოახდინოს ოჯახში ძალადობის ფაქტზე, უზრუნველყოს მსხვერპლის დაცვა და შეზღუდოს მოძალადის გარკვეული ქმედებები.

რას გულისხმობს ოჯახში ძალადობა - ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

ვინ მოიაზრება ოჯახის წევრებში - ოჯახის წევრები არიან - დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მიძღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი, აგრეთვე ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები, მეურვე;

ოჯახში რა სახის ძალადობას შეიძლება ჰქონდეს ადგილი - ფიზიკური ძალადობა - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

ფსიქოლოგიური ძალადობა - შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;

იძულება - ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;

სექსუალური ძალადობა - სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

ეკონომიკური ძალადობა - ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;

როგორც ჩანს ამგვარი დანაშაულისათვის ძალადობა არ განიხილება მხოლოდ ფიზიკურ ძალადობად, ეს დანაშაული ასევე მოიცავს პირის შეურაცხყოფას, იძულებას, სექსუალურ ძალადობას, მსხვერპლის მიმართ ასევე ფსიქოლოგიურ და ეკონომიურ ძალადობასაც კი, ამიტომაც საჭიროა ყურადღება გამახვილდეს თითოეული ძალადობის ფორმაზე.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს 2012 წელს დაემატა 126<sup>1</sup> მუხლი, რაც გულისხმობს „ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობას, სისტემატურ შეურაცხყოფას, შანტაჟს, დამცირებას, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა. დანაშაული ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ოთხმოციდან ასორმოდამათ საათამდე, ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, ხოლო თუ იგივე ქმედება ჩადენილია წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ; არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ; ორი ან მეტი პირის მიმართ; ჯგუფურად; არაერთგზის, – ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ორასიდან ოთხას საათამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე“.

ოჯახური ძალადობის სისხლისსამართლებრივ რეგულაციით მოხდა ოჯახური ძალადობის ერთ მუხლში სისტემატიზაცია.

„ოჯახური ძალადობის სისხლისსამართლებრივ რეგულაციას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი ნიშნები. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

დადებითი ასპექტებია: 1. ოჯახური ძალადობის ერთ მუხლში მოქცევა და სისტემატიზაცია; 2. ოჯახში მოძალადე იგრძნობს, რომ იგი მოძალადეა. 3. ქმედებისათვის ადეკვატური სახელის დარქმევა; 4. მოხდება დანაშაულის პრევენცია. 5. დააშინებს იმ პირებს, ვინც პოტენციური მოძალადეა.

უარყოფითი ასპექტი: ხელს უშლის ოჯახის შენარჩუნებას. ოჯახური ძალადობის სისხლისსამართლებრივი რეგულირება მოძალადეს უკარგავს ოჯახურ ურთიერთობაში დაბრუნების შესაძლებლობას, ვინაიდან იგი შეუძლებლად ჩათვლის მის პოლიციაში დამსმენთან ერთად მომავალში ცხოვრებას“.<sup>4</sup>

როგორც უკვე აღინიშნა ოჯახურ ძალადობას არ შეიძლება მივუდგეთ ერთგვაროვნად, ყოველი ასეთი სისხლის სამართლის საქმე მოითხოვს დიდ ყურადღებას მისი ინდივიდუალიზაციის მხრივ, ზედმიწევნით უნდა შეფასდეს ფაქტობრივი გარემოებები, შესწავლილი უნდა იქნეს მოძალადისა და მსხვერპლის პიროვნული მონაცემები, ყურადღება უნდა გამახვილდეს კონფლიქტის რა ზღვარზეა წყვილი, რა ვითარებაში და რა გარემოში უწევთ მათ არასრულწლოვან შვილებს ყოფნა, რას განიცდიან მათი ოჯახის სხვა წევრები, ხომ არ შეიძლება სახეზე იყო სამომავლოდ ძალადობის გაგრძელება როგორც მსხვერპლის ასევე ოჯახის სხვა წევრების მიმართაც, ასევე ყურადღება გასამახვილებელია იმ გარემოებაზეც, რომ შესაძლოა წავაწყდეთ ისეთ ფაქტობრივ გარემოებებს სადაც შესაძლოა საქმე

<sup>4</sup> შალიკაშვილი მ. ძალადობის კრიმინოლოგია. თბილისი 2012წ. გამომცემლობა „მერიდიანი“ გვ. 86-87

გვეყვინდეს შერეულ ბრალთანაც კი, მაშინ როდესაც ცოლი შესაძლოა გვევლინებოდეს როგორც ფსიქოლოგიური მოძალადე, ხოლო ქმარი ფიზიკური მოძალადე, ასეთ შემთხვევაში ორივე პირი მიეცემა პასუხისგებაში.

ხშირ შემთხვევებში სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების, ბრალდებულის დაკავებისა და ბრალის წარდგენის შემდგომ, სახელმწიფო ბრალმდებელი სავარაუდო მოძალადის მიმართ სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით აღკვეთი ღონისძიების სახით ყველაზე მკაცრი ღონისძიების - პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით. ბრალდება შუამდგომლობას ძირითადად ასაბუთებს მოძალადის მიერ დანაშაულის გაგრძელებასა და მტკიცებულებათა განადგურების საფრთხეებზე დაყრდნობით.

სასამართლო სტატისტიკის თანახმად 2016 წლის მონაცემებს თუ გადავხედავთ „თბილისის საქალაქო სასამართლოში შესული იყო სულ ოჯახური ძალადობის შემთხვევებზე (საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლით) თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიაში ბრალდების მხარის 191 შუამდგომლობა, აქედან პატიმრობის მოთხოვნით შუამდგომლობა იყო 155 შემთხვევაში, ხოლო სასამართლოს მიერ მხოლოდ 80 შემთხვევაში იქნა გადაწყვეტილება მიღებული მოძალადის მიმართ პატიმრობის შეფარდების თაობაზე, დანარჩენ შემთხვევაში მოძალადეს შეეფარდა არასაპატიმრო აღკვეთი ღონისძიება, კერძოდ: 22 შემთხვევაში გამოყენებული იქნა გირაო, 41 შემთხვევაში გირაო საპატიმრო უზრუნველყოფით, ერთ საქმეზე ბრალდებული დარჩა აღკვეთი ღონისძიების გარეშე, 3 საქმეზე ბრალდებულ პირს შეეფარდა პირადი თავდებობა, 6 შემთხვევაში ბრალდებულს შეეფარდა აღკვეთი ღონისძიებად შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, 1 სისხლის სამართლის საქმეზე დამტკიცდა მხარეთა შორის დადებული საპროცესო შეთანხმება, ხოლო 1 სისხლის სამართლის საქმეზე შუამდგომლობის ავტორმა გაითხოვა შუამდგომლობა, რის გამოც იგი დარჩა განუხილველი. ასევე აღკვეთი ღონისძიების პატიმრობის გარდა, ბრალდების მხარე ოჯახური ძალადობის საქმეებზე სასამართლოში შემოსულია 34 სისხლის სამართლის საქმეზე არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების - გირაოს შეფარდების მოთხოვნით, აქედან 24 სისხლის სამართლის საქმეზე შუამდგომლობა ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული (გირაოს თანხის შემცირების ნაწილში), 7 საქმეზე ბრალდებული დარჩა აღკვეთი ღონისძიების გარეშე, ხოლო 3 სისხლის სამართლის საქმეზე დამტკიცდა მხარეთა შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. ასევე ბრალდების მხარე 1 სისხლის სამართლის საქმეზე შუამდგომლობდა ბრალდებულის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით ხელწერილის გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეფარდებას რაც დაკმაყოფილდა, ხოლო ერთ საქმეზე მოითხოვდა პირად თავდებობის გამოყენებას, რაც არ დაკმაყოფილდა და ბრალდებული დარჩა აღკვეთის ღონისძიების გარეშე.“<sup>5</sup>

გასული წლის სტატისტიკური მონაცემების თანახმად ჩანს, რომ დომინანტ ადგილზე ოჯახური ძალადობის საქმეებში არის აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა, მას მოყვება გირაო და სხვა უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებანი, ასევე პირი დატოვებულია საერთოდ აღკვეთის ღონისძიების გარეშე.

შესაძლოა დაისვას კითხვა რა განაპირობებს სავარაუდო მოძალადის მიმართ მიღებული იქნეს გადაწყვეტილება არასაპატიმრო ღონისძიების შეფარდების თაობაზე, მაშინ როდესაც დანაშაულის გაგრძელებისა და მოწმეებზე ზემოქმედების ფაქტორები ამგვარ დანაშაულებებს ხშირად ახასიათებთ,

<sup>5</sup> საერთაშორისო და სასამართლო პრაქტიკის განზოგადებისა და სტატისტიკის სამსახური. თბილისის საქალაქო სასამართლო

ასევე ამგვარი დანაშაულებრივი ქმედების უფრო მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში გადაზრდის რისკები ძალზედ მაღალია.

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ სასამართლოს მიერ შუამდგომლობის განხილვისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნეს პირველ რიგში საქმის ფაქტობრივი გარემოებანი და ერთობლივად როგორც ფაქტობრივ ასევე ფორმალურ გარემოებებზე დაყრდნობით უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება. არსებობს საქმის გარემოებანი რომლებიც თვალნათლივ მიუთითებს, რომ ბრალდებულის მხრიდან მაღალია რისკები როგორც დანაშაულის გაგრძელებისა ასევე გამოძიების ხელშეშლისა, მაგალითად ერთ-ერთი საქმის ფაქტობრივი გარემოებები ასეთია: - მოძალადე მეუღლის მიმართ ახორციელებს ძალადობას, რაც გამოიხატა სახეში რამოდენიმეჯერ დარტყმით, ასევე ემუქრება მას, რომ აუცილებლად მოკლავს, მუქარის რეალურად აღქმისათვის, თუ მსხვერპლის მიმართ დანაპირების ასრულებისათვის, მოძალადე იღებს ნაჯახს, ძალის გამოყენებით ეზოში გაჰყავს მეუღლე და ეუბნება, რომ მას თავს მოაჭრის, ამის შემსწრე არის მათი არასრულწლოვანი 16 წლის გოგონა რომელიც დედის საშველად მიდის, მამა მის მიმართაც ახორციელებს ძალადობას, დანამდვილებით ვერ ვიტყვით მოიყვანდა თუ არა სისრულეში მოძალადე მუქარას, თუმცა ამგვარ სისხლის სამართლის საქმეზე ვფიქრობ ასეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას და ასევე იმ ფორმალური საფუძვლებით, როგორცაა პირის მიერ ამგვარი ქმედების არაერთგზის ჩადენა, საკმარისი იქნება მოძალადეს აღკვეთი ღონისძიების სახით განესაზღვროს უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე მკაცრი ფორმა პატიმრობა.

შემდგომ სისხლის სამართლის საქმეზე ოჯახში განხორციელებული ძალადობის ფაქტობრივი გარემოებები ასეთია: - მამამ არასრულწლოვანი შვილის 8 წლის გოგონას მიმართ განახორციელა ძალადობა, იგი ბავშვს ურტყავდა მუშტებს სახის არეში, ასევე ურტყავდა ხერხემალში, ბავშვს გაქცევის საშუალებაც კი არ ჰქონდა, ვინაიდან დანაშაულებრივი ქმედება ხორციელდებოდა (ლიფტი) ჩაკეტილ სივრცეში, სადაც ბავშვის დედას არ მიეცა საშუალება დახმარებოდა მის შვილს, რათქმა უნდა მოტივს ამგვარი ქმედებისათვის არ განვიხილავთ, თუმცა მკითხველისათვის საინტერესო იქნება, რომ მამამ საკუთარი 8 წლის გოგონა ცემა იმიტომ რომ იგი მაღაზიაში შეძენილი პროდუქტებით სახლის ეზოში წაიქცა და დაზიანდა მოძალადისათვის მისატანი სიგარეტი.

ამ ორი მაგალითის შეფასებისას, საქმის როგორც ფაქტობრივი და ასევე ფორმალური გარემოებების გათვალისწინებით სასამართლოს სამართლებრივი საფუძველი გააჩნია, ბრალდებულის მიმართ გამოიყენოს უფლებათა შეზღუდვის ყველაზე მკაცრი ფორმა - პატიმრობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული როგორც დანაშაულის გაგრძელების, ასევე მოწმეთა მიმართ ზემოქმედების რისკები, შესაბამისად ამგვარი გარემოებების არსებობისას აღკვეთის ღონისძიების სახით არასაპატიმრო ღონისძიების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევას. ასევე სასამართლოს მიერ აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლები, ასევე მის მიმართ ბრალად შერაცხული ქმედების სპეციფიკა და ქმედების ჩადენის ხერხი, ამგვარ დანაშაულებებს ყოველთვის ახასიათებს ქმედების განმეორებითობა, ვინაიდან ამის ფაქტორია მოძალადისა და მსხვერპლის ერთად ცხოვრება, მაშინ როდესაც პირი (მოძალადე) უუნაროა კონტროლი გაუწიოს თავის რისხვას, რომელიც მიმართულია მისივე ოჯახის წევრების მიმართ და ამასთან არასრულწლოვანი შვილების თვალწინ და მათ მიმართაც. ამგვარი ფაქტობრივი და ფორმალური საფუძვლები სრულად აკმაყოფილებს პირის მიმართ აღკვეთი ღონისძიების პატიმრობის შეფარდების სტანდარტს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ „ოჯახური ძალადობა ყველაზე მეტად ეხება ცოლ - ქმარსა და შვილებს, იგი განსხვავდება სხვა სახის ძალადობისაგან თავისი ჩაკეტილი სივრცით და არაერთგვარადი ხასიათით. ოჯახური ძალადობა

სცილდება ოჯახის ფარგლებს და საშიშ სოციალურ პრობლემად გადაიქცევა, რადგან ოჯახში დანერგილი ძალადობის მოდელი მოიცავს არა მხოლოდ კონფლიქტურ წყვილს, არამედ მთლიანად ოჯახის წევრებს<sup>6</sup>, ოჯახური ძალადობა ყველაზე მეტად ბავშვების ფსიქიკაზე აისახება.

ზემოაღნიშნული საქმეებიდან ერთ-ერთზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი და მოძალადეს მიესაჯა სასჯელი თავისუფლების აღკვეთი სახით, ხოლო მეორე სისხლის სამართლის საქმე არსებითი განხილვის სტადიაზე იმყოფება.

ასევე არაერთი საჩივარი იქნა გაგზავნილი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ოჯახური ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნებიდან. „ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთ-ერთი გადაწყვეტილებაში რომელიც ეხება ოჯახურ ძალადობას, /საქმე ერემია და სხვები მოლდოვის რესპუბლიკის წინააღმდეგ Eremia and other v. the Republik of moldova N3564/11, 28.05.2013/ დაადგინა, რომ საქმეში დარღვეულია:

კონვენციის მე-3 მუხლი (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) ქალბატონ ლილია ერემიასთან მიმართებით;

დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მის ორ ქალიშვილთან მიმართებით;

დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა) მე-3 მუხლთან ერთობლიობაში ქალბატონ ლილია ერემიასთან მიმართებით;

წინამდებარე საქმე ეხებოდა აპლიკანტების საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ მოლდოვის ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მათი დაცვა პოლიციელი ქმრისა და მამის ძალადობრივი და შეურაცხმყოფელი ქმედებისგან.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად ძალადობის შესახებ ინფრომაციის ფლობისა, ხელისუფლებამ ვერ გაატარა ეფექტური ღონისძიებები, მოძიების ქმრის შესაკავებლად და ოჯახში ძალადობისაგან აპლიკანტის დასაცავად. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ძალადობის განმეორების აღსაკვეთად ეფექტური ნაბიჯები არ გადადგმულა, მიუხედავად იმისა, რომ მამის მიერ დედაზე ძალადობის განხორციელებას ქალიშვილებზე უარყოფითი ფსიქოლოგიური გავლენა ჰქონდა. საბოლოოდ, სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების დამოკიდებულება წარმოადგენდა ძალადობის პატიებას; ეს დამოკიდებულება ქალბატონი ერემიას, როგორც ქალის მიმართ დისკრიმინაციული ხასიათის იყო<sup>7</sup>.

კონვენციაში არსებული მრავალი ნორმა ზოგადი ფორმულირებისაა, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გაანალიზების გარეშე რთული იქნებოდა კონვენციის დებულებათა სწორად განმარტება და გამოყენება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განჩინებანი და გადაწყვეტილებანი ხსნიან და განმარტავენ კონვენციის ტექსტს, სწორედ ევროპული გადაწყვეტილებები აღქმულ უნდა იქნეს სამართლის წყაროდ, ვინაიდან ისინი პრეცედენტებია. ევროპული კონვენციით გარანტირებული უფლებების ჩამონათვალი ძირითადად ემთხვევა საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით გათვალისწინებულ უფლებათა და თავისუფლებათა

<sup>6</sup> <http://www.nplg.gov.ge> საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ძალადობა ოჯახში. ძირითადი დასკვნები

<sup>7</sup> ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე. საქართველოს უზენაესი სასამართლო 2016 წ. გვ. 88

კატალოგს. შესაბამისად ქართული სასამართლოები ხშირ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების მისადაგებით იყენებენ ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, როგორც პრეცედენტებს. ასევე სახელმწიფოს მოვალეობაა გააქტიუროს ყველა შიდა მექანიზმი და რესურსი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ძალადობის შემთხვევაში მსხვერპლის მაქსიმალური დაცვა და მოძალადის მიმართ განახორციელოს კანონით დადგენილი ყველა ღონისძიებები. რათა მოძალადის მიერ გათვითცნობიერებული იქნეს თავისი ქმედების დანაშაულებრივი ხასიათი და სამომავლოდ მისი მხრიდან გამორიცხული იყოს ძალადობის ხელახალი განმეორება.

არსებობს ასევე შემთხვევები როდესაც ოჯახურ ძალადობაში ბრალდებული პირი უაღრესად ნაწილად მის მიერ ჩადენილ ქმედებას, რაც გამოწვეული იყო მისი მხრიდან ემოციურობით და თავშეუკავებლობით, მას ცხვენია და ბოდიშს უხდის ოჯახს, წარსულში ასეთ შემთხვევას ადგილი არასდროს არ ქონია, პირი არ არის ნასამართლევნი და ადმინისტრაციულსახდელდადებულიც კი, ხასიათდება მეზობლებისა და კოლეგების მხრიდან დადებითად, არის დასაქმებული, უზრუნველყოფს ოჯახს, და რაც მთავარია მსხვერპლი ითხოვს, რომ მის მეუღლეს აპატიო და მიეცეთ უფლება რომ განაგრძონ ცოლ-ქმრული თანაცხოვრება. მიუხედავად ასეთი ფორმალური საფუძვლებისა ასეთ შემთხვევებშიც კი სასამართლომ აუცილებლად უნდა გაამახვილოს ყურადღება დანაშაულის გაგრძელების რისკებზე, უნდა გაანალიზოს რამდენად გულწრფელია ბრალდებული, ხომ არ არის ზემოქმედება მომხდარი მსხვერპლზე თავად ბრალდებულის ან მათივე ოჯახის წევრების მხრიდან.

თუმცა საინტერესოა რა უბიძგებს მსხვერპლს გაუჩნდეს სურვილი დაიბრუნოს მოძალადე, ამის გამომწვევი მიზეზი შესაძლოა იყოს ეკონომიური ან/და ემოციური ფაქტორები. სწორედ ამგვარმა გარემოებებმა არ უნდა შეიყვანოს სასამართლო შეცდომაში, რადგან ამგვარი ხასიათის დანაშაული თავის მხრივ გამოირჩევა სპეციფიკურობით თითქოს მოჩვენებითიც კი, რომ ოჯახის წევრებს შერიგება სურთ და ამაში გარე ფაქტორები უშლის ხელს, თუმცა ამგვარი რისკების თავიდან აცილებაც არის შესაძლებელი, თუ კი სავარაუდო მოძალადის მიმართ გამოვიყენებთ არასაპატიმრო ღონისძიებას და დავუწესებთ მას გარკვეულ შეზღუდვებს.

პირველ რიგში თუ კი მსხვერპლი ვინმეს მიერ განიცდის ზეწოლას ან ცდილობს მოძალადე დაიხსნას ეკონომიური თუ ემოციური ფაქტორებიდან გამომდინარე სწორედ ეს გარემოება შესაძლოა მივიჩნიოთ იმ მაღალი რისკების შემცველ გარემოებად რასაც შესაძლოა მოყვეს დანაშაულის გაგრძელება, ასეთ შემთხვევაში შედეგები შესაძლოა იყოს უფრო მძიმე ვიდრე მხოლოდ ძალადობა. მაგრამ თუკი მოძალადის პატიმრობიდან დახსნის სურვილი მსხვერპლის მიერ არის გულწრფელი და თავად სავარაუდო მოძალადეც აღიქვამს მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგებს და ნაწილად მას, რატომაც არ უნდა მიეცეს საშუალება ბრალდებული - იყოს თავისუფალი, შესაძლოა მოძალადეს პრევენციის სახით შეზღუდვად დაუწესდეს გარკვეული დროის განმავლობაში პოლიციის ორგანოში გამოცხადება, ან თუნდაც დაევალებულოს არ მიუახლოვდეს მსხვერპლს, ამის საშუალებას იძლევა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლი. ამ შემთხვევაშიც კი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბრალდებულის პიროვნული მახასიათებელი, ის, რომ ბრალდებული წარსულში არ ყოფილა ადრე ნასამართლევნი, ეს არის პირველი შემთხვევა და რომ ძალადობას სისტემატიური ხასიათი არ ჰქონია, მის მიმართ მომხდარ ფაქტამდე არ ყოფილა გაცემული შემაკავებელი ორდერი, არ არის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირი, არის დასაქმებული, ხასიათდება დადებითად, ამ შემთხვევებშიც კი რისკები მაღალია, თუმცა არავის შეუძლია განსაზღვროს თითოეული ბრალდებულის - მოძალადის მოქმედება თუ რისი ჩამდენია იგი მომავალში.



მინდა ასევე მკითხველის ყურადღება გავამახვილო ისეთი ფაქტობრივი გარემოებების ირგვლივ, რომელსაც მოცემული სტატიის წერის დროს გავეცანი ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეში: ოჯახური ძალადობის მსხვერპლი არის 17 წლის გოგონა და მოძალადე არის მამა. ძალადობა გამოიხატა მამის მიერ შვილის სიტყვიერი შეურაცხყოფის დროს სანთებელის სროლაში, რითაც გოგონას სახეზე განუვითარდა სისხლჩაქცევა. მამასა და შვილს შორის უთანხმოება გამოიწვია გოგონას მიერ არასახარბიელო აკადემიურმა მოსწრებამ სკოლაში და მასწავლებლებთან, აღნიშნულზე უკმაყოფილო მშობელმა მოთხოვა შვილს გაეცა პასუხი თუ რატომ აცდენდა იგი სკოლას და რატომ არ დადიოდა მასწავლებლებთან რადგან იყო აბიტურიენტი და მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა სწავლის მხრივ, ასევე მამა შვილის სწავლისათვის გარკვეული ფინანსური ვალდებულებების წინაშე იდგა. მამის შეკითხვაზე გოგონამ არაედეკვატურად - სიცილით უპასუხა და მოთხოვა მამას თავი დაენებებინა მისთვის, სწორედ ასეთი დიალოგის შემდგომ მოხდა მამასა და გოგონას შორის უთანხმოება, რის შემდგომ მამა მიდის სახლიდან და ღამეს ავტომატურად ათევს. იმავე დღეს აღიძრა სისხლისსამართლებრივი დევნა მამის მიმართ ოჯახური ძალადობის ფაქტზე. ბრალდებულის პირველი წარდგენის სასამართლო სხდომაზე მოძალადე გულწრფელად ნანობდა მომხდარ ფაქტს და ოჯახში არსებული არცთუ ისე სახარბიელო ეკონომიური მდგომარეობის მიუხედავად მზადყოფნას გამოთქვამდა შეფარდებოდა აღკვეთი ღონისძიების სახით გირაო, რასაც ასევე ბრალდების მხარეც შუამდგომლობდა სასამართლოს წინაშე.

როგორც უკვე აღინიშნა დღეის მდგომარეობით ამგვარი დანაშაულებრივი ქმედების მიმართ ბრალდების მხარე უმეტეს შემთხვევაში სასამართლოს წინაშე შუამდგომლობს მოძალადის მიმართ მკაცრი აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის შეფარდების თაობაზე, თუმცა ამ შემთხვევაში თავად ბრალდების მხარე ითხოვდა მოძალადის მიმართ არასაპატიმრო ღონისძიების - გირაოს შეფარდებას. სწორედ მიდგომები ოჯახური დანაშაულის მიმართ როგორც ბრალდების მხარის, ასევე მართლმსაჯულებისა უნდა იყოს ინდივიდუალური, აღნიშნული დანაშაული უფრო მეტად საჭიროებს ფაქტობრივი გარემოებების სიღრმეებში შესვლას ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე და ფორმალურ საფუძვლებზე დაყრდნობით გადაწყვეტილების მიღებას.

იმისათვის, რომ დადგინდეს რამდენად უზრუნველყო საქართველოს კანონმდებლობაში გატარებულმა ცვლილებებმა ოჯახური ძალადობის პრევენცია, ამ მხრივ აუცილებელია ჩატარდეს კვლევა საქართველოს მასშტაბით, თუ რამდენ საქმეზე დადგა მოძალადის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი, რა სახის სასჯელი განესაზღვრათ მოძალადეებს, რამდენ მათგანში მოხდა რესოციალიზაცია და რამდენი მათგანი მიეცა პასუხისგებაში ძალადობის ქმედების განმეორებით ფაქტთან დაკავშირებით. ამგვარი კვლევა მოგვცემს საშუალებას თამამად ვისაუბროთ, რომ კანონმდებლობაში გატარებულმა ცვლილებებმა მოგვცა თუ არა შედეგი, თუ ოჯახური ძალადობის დანაშაული კვლავ მოითხოვს ხარვეზების მიგნებას და მათ სათანადო გაანალიზებას.

მინდა ასევე მკითხველის ყურადღება გავამახვილო იმ ნიუანსზე, რომელიც ამგვარი ქმედებების მიმართ გამოვლინდა ბოლო ხანებში სასამართლოებში - უმეტეს შემთხვევაში ოჯახური დანაშაულების საქმის არსებით განხილვის დროს, მაშინ როდესაც ხდება მტკიცებულებათა გამოკვლევა და უნდა მოხდეს მსხვერპლის ან მოწმის დაკითხვა, მოწმედ დასაკითხი პირები იყენებენ მათ მიმართ მინიჭებულ უფლებას და უარს ამბობენ ჩვენების მიცემაზე სასამართლოში მოძალადის წინააღმდეგ, ისინი არ აძლევენ მამხილებელ ჩვენებას მათი ოჯახის წევრის მიმართ, ასეთ შემთხვევაში სახეზე გვაქვს გამამართლებელი განაჩენები მოძალადეთა მიმართ. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მოძალადეების მიერ გამამართლებელი განაჩენები მხოლოდ ამგვარი გარემოებების გამო,

აღნიშნული საკითხიც მოითხოვს მეტი ინფორმაციის მიღებას და მეტ კვლევას, მიგნებული უნდა იქნეს ისეთი იუსტიციური ნორმები რომლებიც მაქსიმალურად დაიცავს მსხვერპლს მოძალადისაგან.

ისმის კითხვა როგორ ავიცილოთ თავიდან ამგვარი დანაშაულები და როგორ არ მივცეთ მას საშუალება განვითარდეს „ამ საკითხს აქვს თავისი გლობალური და მეცნიერული ახსნა. გლობალური თვალსაზრისით მიზეზები მრავალმხრივია. საზოგადოების ნაწილს არ შეუძლია საკუთარი უფლებების დაცვა. ხშირად იმიტომ, რომ კარგად არ იცნობს კანონს. ერთ-ერთ საკითხს წარმოადგენს მიმართვიანობა ანუ რამდენად მიმართავს ესა თუ ის პირი შესაბამის ორგანოს (პოლიცია). და ბოლოს საზოგადოების თითოეული წევრის დამოკიდებულება დანაშაულისადმი. ის, რომ საზოგადოების ნაწილს შეუძლია საკუთარი უფლებების დაცვა, გარდა სამართლებრივი აღზრდისა, ბევრ ფაქტორთან არის დაკავშირებული. ამ კუთხით თავს იჩენს ზოგადად განათლების პრობლემა - რაც ვფიქრობთ, მრავალმხრივი ღონისძიებებით უნდა განხორციელდეს. ძირითადად კი სკოლიდან უნდა დაიწყოს. კერძოდ უნდა მოხდეს ოჯახის ინსტიტუტის, ძირითადი ღირებულებებისა და ფასეულობების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დამცველი გაძლიერებული პროგრამების შეთავაზება. ეს ყოველივე ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების შექმნის საფუძველია. (ტრენინგები). რაც შეეხება მიმართვიანობას, აქ მსხვერპლი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ იგი დაცული იქნება როგორც სამართალდამცავი ორგანოებისაგან, პარალელურად საზოგადოების თითოეული წევრის თანადგომას დაიმსახურებს“.<sup>8</sup>

„საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მეორე ნაწილი იცავს ოჯახურ ურთიერთობებს, რაც გულისხმობს, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ოჯახის კეთილდღეობას. მოცემული უფლება იცავს ოჯახს, როგორც აღზრდისა და ცხოვრების გაერთიანებას, ოჯახურ მშვიდობას. შესაბამისად უმჯობესი იქნებოდა ოჯახური ძალადობის მედიაციის შემოღება, რაც ხელს შეუწყობდა ოჯახის შენარჩუნებას“.<sup>9</sup>

ამიტომ აუცილებელია, ამ მხრივ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმული უნდა იქნეს სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, მედია, პრესის საშუალებები, ფსიქოლოგები, რადგან ოჯახური ძალადობა - ეს არ არის მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ოჯახის პრობლემა, ეს არის მთლიანად საზოგადოებისა და სახელმწიფოს პრობლემა, რადგან ოჯახი სახელმწიფოს საფუძველია, რაც გარკვეულწილად ქმნის სახელმწიფოს - სახელმწიფოში, მათ შორის არსებობს კავშირი და ეს კავშირია კეთილდღეობა, რადგან სახელმწიფოს კეთილდღეობა განსაზღვრავს ოჯახის მდგომარეობასა და კეთილდღეობას და პირიქით.

იმის გათვალისწინებით, რომ ოჯახში არსებული ძალადობა მოიცავს კონფლიქტურ წყვილს, რომ უმეტეს შემთხვევაში მსხვერპლი არის ქალი, სწორედ ამ რეალობამ მიიყვანა მსოფლიო საერთაშორისო საზოგადოება, რომ მიღებული ყოფილიყო სტამბოლში „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ კონვენცია. კონვენციის ქვაკუთხედი იყო ისეთი საკითხები, როგორცაა ძალადობის პრევენცია, მსხვერპლთა დაცვა და მოძალადეებზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. კონვენცია მოუწოდებს საზოგადოების ყველა წევრს, განსაკუთრებით მამაკაცებსა და ბიჭებს, შეცვალონ მათი

<sup>8</sup> გურამ ნაჭყებია -75 საიუბილეო კრებული. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი. გამომცემლობა „მერიდიანი“ 2016წ. ივანიძე მ. ოჯახში ჩადენილი დანაშაული გვ.58-59.

<sup>9</sup> შალიკაშვილი მ. ძალადობის კრიმინოლოგია. თბილისი 2012წ. გამომცემლობა „მერიდიანი“ გვ. 86-87

დამოკიდებულება ძალადობის მიმართ. არსებითად, ეს არის ხელახალი მოწოდება ქალებსა და მამაკაცებს შორის მეტი თანასწორობისაკენ. კონვენცია აღიარებს ქალთა მიმართ ძალადობას ადამიანის უფლებების დარღვევად და დისკრიმინაციის ფორმად. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოებს პასუხისმგებლობა დაეკისრებათ, თუ ისინი ამგვარ ძალადობაზე ადეკვატურ რეაგირებას არ მოახდენენ. ასევე აღსანიშნავია, რომ კონვენცია სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ადგენს მთელი რიგი ისეთი მნიშვნელოვანი დანაშაულებისთვის, როგორცაა ქალის გარეთა სასქესო ორგანოების “დაცვეთა”, იძულებითი ქორწინება, დევნა (გადაკიდება/აკვიატებული დევნა), იძულებითი აბორტი და იძულებითი სტერილიზაცია. კონვენცია სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ჩართონ შესაბამისი სახელმწიფო უწყებები და სამსახურები, რათა ეს პრობლემა კოორდინირებული ძალისხმევით გადაიჭრას. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვას.

სამართლის დოქტორი,  
თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე,  
ბადრი კოჭლამაზაშვილი

### ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვის თავისებურებანი სასამართლოში

ყოველი საქმის განხილვას სასამართლოში გარკვეული თავისებურება ახასიათებს. ამ მხრივ გამონაკლისი არც ოჯახში ძალადობის საქმეებია, რომლებიც სპეციფიკურობის გარდა, ერთგვარი სირთულითაც გამოირჩევა. სირთულე დაკავშირებულია იმასთან, რომ საქმე ეხება ისეთ ურთულეს და უმნიშვნელოვანეს ერთეულს, როგორცაა ოჯახი, რომლის ერთიანობისა და სიმყარის შენარჩუნებისათვის ზრუნვა არამარტო სახელმწიფოს, არამედ საზოგადოების თითოეული წევრის მოვალეობაა, თუმცა, ამავდროულად სახელმწიფოს მოვალეობაა ასევე ძალადობის მსხვერპლის დაცვა, მოძალადის გამოვლენა და მის მიმართ ეფექტური ღონისძიებების გატარება.

ოჯახში ძალადობასთან საბრძოლველად მიღებული კანონების შესრულებას აბრკოლებს საზოგადოების ერთ ნაწილში არსებული დამოკიდებულება და მათი მცდარი პოზიციები და გენდერული სტერეოტიპები, რაც გენდერული ნიშნით ძალადობის მიმართ შემწყნარებლურ დამოკიდებულებას განაპირობებს, ხოლო ოჯახში ძალადობა ქვეყნის უმეტეს ნაწილში ძალზე პირადულ და არა საჯარო საკითხად მიიჩნევა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვანი პროგრესი მაინც მიღწეულია. ინფორმირებულობის ასამაღლებლად განხორციელებული აქტივობები თანდათან იწვევს ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულების ცვლილებას, თუმცა ოჯახში ძალადობა ჩვენი დროის ერთ-ერთ ყველაზე კრიტიკულ გამოწვევად მაინც რჩება.

პასუხისმგებლობა ოჯახში ძალადობის პრევენციასა და ადეკვატური რეაგირების განხორციელებაზე გონივრულობის ფარგლებში ეკისრება სახელმწიფოს.

იმისათვის, რომ მოძალადის მიმართ გატარდეს ეფექტური ღონისძიებები, პირველ რიგში საჭიროა დადგინდეს მოძალადე და დადასტურდეს მის მიერ ძალადობრივი დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რაც საქმის სასამართლო განხილვის გარეშე წარმოუდგენელია. ჩვენ არ შევხებით ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენის სირთულეს ან გამოძიების სპეციფიკურობას, ჩვენ მხოლოდ სასამართლო განხილვის პროცესში წამოჭრილ სიძნელებებს შევხებით, რომლებიც ართულებს ძალადობის ფაქტის დადასტურებულად მიჩნევას და შესაბამისად, მოძალადის მსჯავრდებას. ეს სიძნელებები დაკავშირებულია რამდენიმე გარემოებასთან, რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი:

1. ძალადობის ფაქტს ხშირად არ ჰყავს შემსწრე პირი და ბრალდება ეფუძნება მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებას;
2. დაზარალებული მოძალადის ოჯახის წევრია და ხშირად სარგებლობს უფლებით არ მისცენ თავისი ახლო ნათესავის საწინააღმდეგო ჩვენება;
3. ძალადობის ფაქტს ჰყავს შემსწრე პირები, თუმცა ისინიც დაზარალებულის მსგავსად მოძალადის ოჯახის წევრები არიან და სარგებლობენ უფლებით არ მისცენ თავიანთი ახლო ნათესავის საწინააღმდეგო ჩვენება;
4. ძალადობის ფაქტს ჰყავს შემსწრე მცირეწლოვანი პირები, თუმცა ისინი იმდენად მცირეწლოვნები არიან, რომ მათი დაკითხვა შეუძლებელია;

5. დაზარალებულისათვის დაზიანების არსებობის ფაქტი არ დასტურდება სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, თუმცა დაზარალებული აცხადებს, რომ მასზე განხორციელდა ძალადობა;
6. დაზარალებულისათვის დაზიანების არსებობის ფაქტი დასტურდება სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, მაგრამ დაზარალებული აცხადებს, რომ დაზიანება ბრალდებულს არ მიუყენებია;
7. დაზარალებული ადასტურებს მის მიმართ განხორციელებული ძალადობის ფაქტს, თუმცა აღნიშნავს, რომ ფიზიკური ტკივილი არ განუცდია;
8. ძალადობის სისტემატურობაზე საუბრობს მხოლოდ დაზარალებული.

განვიხილოთ თითოეული შემთხვევა:

1. უმეტესად ოჯახში ძალადობა სხვათაგან შეუმჩნეველად ხდება. ეს არც არის გასაკვირი, რამდენადაც ამ დანაშაულს ხშირად ოჯახური და პირადი მიზეზები აქვს, რომელთა შესახებ ოჯახის წევრებს ოჯახურ პირობებში უხდებათ საუბარი და მას საჯაროდ არ განიხილავენ, მაგალითად, თუ ქმარი ეჭვიანობის ნიადაგზე ეჩხუბება ცოლს, როგორც წესი, ამ საკითხს მეუღლეები სხვათა თანდასწრებით არ განიხილავენ. იგი მხოლოდ ორ პირს შორის განიხილება და ამის ნიადაგზე წამოჭრილი კონფლიქტიც, რომელიც გადაიზრდება ფიზიკურ ძალადობაში, სხვათათვის შეუმჩნეველი რჩება. ასეთ დროს სახეზეა მხოლოდ დაზარალებულის ჩვენება, რომელიც დეტალურად აღწერს მომხდარი ძალადობის ფაქტს და აცხადებს, რომ მასზე განხორციელდა ძალადობა. ამას უპირისპირდება ბრალდებული და აცხადებს, რომ დაზარალებული ცრუობს და არავითარ ძალადობას არ ჰქონია ადგილი. მათგან რომელი ამბობს სიმართლეს, ბუნებრივია, უნდა შეფასდეს იმისდა მიხედვით, თუ ვის ნათქვამს ადასტურებს ამ საქმეზე შეკრებილი სხვა მტკიცებულებები. საქმეც ისაა, რომ ზოგჯერ ხელის ერთხელ მსუბუქად დარტყმამ შესაძლოა არც დატოვოს დაზიანების იმგვარი კვალი, რაც ექსპერტიზის შედეგად დადასტურდება, ხოლო სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდა ძალადობის ფაქტზე (მაგალითად, მოწმეები), შესაძლოა მოპოვებული ვერ იქნეს ობიექტურად მათი არარსებობის გამო, ასეთ დროს მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური ძალადობის ფაქტს შესაძლოა მართლაც ჰქონდა ადგილი, სასამართლოს გაუჭირდება მხოლოდ დაზარალებულის ვერსიის საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა და ბრალდებული წარდგენილ ბრალდებაში უნდა გამართლდეს.

2. საგულისხმოა, რომ ძალადობის მსხვერპლი ბრალდებულის ოჯახის წევრია (მეუღლე, შვილი, მშობელი და ა.შ.) და თუ იგი ზოგიერთ შემთხვევაში არის მზად სრული სიმართლე განუცხადოს სასამართლოს, უმეტესად, როგორც წესი, „მაინც ვერ იმეტებს“ თავისი ოჯახის წევრს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის და ცდილობს „შეარბილოს“ მომხდარი ძალადობრივი ფაქტის სიმძაფრე და არ დაანახოს სასამართლოს ბრალდებულის რეალური სახე. ზოგიერთ შემთხვევაში კი იგი იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებას და უარს აცხადებს თავისი ახლო ნათესავის (ბრალდებულის) მამხილებელი ჩვენების მიცემაზე, რაც სასამართლოს მხრიდან დაცული უნდა იყოს და ასეთ დროს დაზარალებული თავისუფლდება ჩვენების მიცემის ვალდებულებისაგან.

სასამართლო პრაქტიკა იცნობს უამრავ შემთხვევას, როცა ძალადობის მსხვერპლი უარს აცხადებს ჩვენების მიცემაზე ბრალდებული მეუღლის, მამის, შვილის და სხვ. წინააღმდეგ და სასამართლოს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე უცხადებს მხოლოდ იმას, რომ არ სურს თავისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა, რა დროსაც სასამართლო არკვევს მხოლოდ იმას, ხომ არა აქვს დაზარალებულის მიმართ ვინმეს მხრიდან რაიმე კანონსაწინააღმდეგო ზემოქმედებას ადგილი და ჩვენების მიცემაზე უარს ხომ ნებაყოფლობით აცხადებს.

როცა დაზარალებული უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე, ამან შესაძლოა გადამწყვეტი გავლენა იქონიოს ძალადობის ფაქტის დაუდგენლობის საკითხზე, მით უფრო ისეთ შემთხვევაში, როცა ძალადობა დაზარალებულის მიმართ განხორციელდა სხვათა (მოწმეთა) შეუმჩნეველად. ასეთ დროს ძალადობის ფაქტის დამდგენი ძირითადი მტკიცებულებებია დაზარალებულის ჩვენება და მის მიმართ ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, ხოლო, როცა დაზარალებული დუმს, მტკიცებულებად რჩება მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დასტურდება დაზარალებულის სხეულზე დაზიანების არსებობის ფაქტი, თუმცა იგი ვერაფერს იტყვის დაზიანების მიმყენებლის ვინაობის შესახებ. ამდენად, დაზიანების არსებობის ფაქტი დადასტურებული იქნება, მაგრამ მისი მიმყენებლის ვინაობის შესახებ სასამართლოსთვის უცნობი დარჩება, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებს ბრალდებულის უდანაშაულოდ ცნობას.

3. ზოგჯერ ძალადობის ფაქტს ჰყავს შემსწრე პირები (მოწმეები), თუმცა ისინიც ხშირ შემთხვევაში მოძალადის ოჯახის წევრები არიან და დაზარალებულის მსგავსად სარგებლობენ უფლებით, არ მისცენ სასამართლოს თავიანთი ახლო ნათესავის საწინააღმდეგო ჩვენება. აღნიშნული საპროცესო გარანტია, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაზარალებულის მსგავსად მოწმისთვისაც უნდა იყოს სასამართლოსაგან დაცული და მიუხედავად იმისა, რომ ძალადობა რეალურად შეიძლება განხორციელებული იყოს ოჯახის წევრების თვალწინ, ბრალდებულის მამხილებელი მტკიცებულებების არარსებობის გამო სასამართლო ვერ გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს.

4. ზოგჯერ ძალადობის ფაქტს ჰყავს შემსწრე პირები, თუმცა ისინი იმდენად მცირეწლოვნები არიან, რომ მათი დაკითხვა შეუძლებელი ხდება. ეს საკითხი განსაკუთრებულ სირთულეს იძენს იმ დროს, როცა ბრალდებულს წარდგენილი აქვს ბრალდება ოჯახში ძალადობისთვის, რომელიც ჩადენილია არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ. მაგალითად, ქმარმა სცემა ცოლი და ამ ფაქტს შეესწრო მათი ერთი წლის შვილი. ქმარი ადასტურებს ცოლის ცემის ფაქტს, თუმცა უარყოფს ბავშვის თანდასწრებით განხორციელებულ ძალადობას და აღნიშნავს, რომ ბავშვს მეორე ოთახში ეძინა. ოთახში კი, სადაც ძალადობა მოხდა ცოლ-ქმრის გარდა სხვა არავინ იმყოფებოდა. ცოლი საპირისპიროს აცხადებს და აღნიშნავს, რომ ქმარმა მასზე განხორციელა ძალადობა მათი მცირეწლოვანი შვილის თვალწინ. ასეთ დროს სასამართლომ დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოების არსებობა (სსკის 126<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) დადასტურებულად არ მიიჩნია და ბრალდებული დამნაშავედ იქნა ცნობილი მხოლოდ სსკ-ის 126<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით და განმარტა, რომ ვინაიდან ცოლ-ქმრის მიერ განვითარებული ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსია დამატებითი მტკიცებულებებით არ იძლევა რომელიმე მათგანის უტყუარად მიჩნევის საფუძველს, ეჭვი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. ძალადობის ფაქტს არ ჰყავდა სხვა შემსწრე პირი, რომელიც დაადასტურებდა ძალადობის ჩადენას არასრულწლოვნის თანდასწრებით, ხოლო თავად ბავშვი ვერ დაიკითხებოდა ასაკიდან გამომდინარე.<sup>1</sup>

5. ზოგჯერ დაზარალებულისათვის დაზიანების არსებობის ფაქტი არ დასტურდება სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, თუმცა დაზარალებული აცხადებს, რომ მასზე განხორციელდა ძალადობა, რის გამოც მან განიცადა ფიზიკური ტკივილი. ეს ნათქვამი შესაძლოა შეესაბამებოდეს კიდევ სინამდვილეს, რამდენადაც არის შემთხვევები, როცა ძალადობის კვალი დაზარალებულის სხეულზე არ რჩება. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს ძალადობის მსუბუქი ხასიათით, დროის გარკვეული პერიოდის გასვლით და ა.შ. ამდენად, დაზარალებულის სხეულზე დაზიანების კვალის არარსებობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ

<sup>1</sup> იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 3 ოქტომბრის №1/3487-17 განაჩენი.

მასზე ძალადობა არ განხორციელებულა და დაზარალებული ცრუობს. თუმცა ასეთ დროს დღის წესრიგში დგება დაზარალებულის ჩვენების გარდა სხვა მტკიცებულებების არსებობის აუცილებლობა, რადგანაც მხოლოდ დაზარალებულის ჩვენების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენი ვერ იქნება მიღებული.

6. დაზარალებულები სასამართლოში დაკითხვისას ზოგჯერ არ ერიდებიან ჩვენების შეცვლას და აცხადებენ, რომ დაზიანება მაგალითად, დაცემის შედეგად მიადგათ, რითაც სურთ ერთის მხრივ ახსნან ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული დაზიანების არსებობის ფაქტი, ხოლო მეორეს მხრივ, გამორიცხონ ბრალდებულის „წვლილი“ ამ დაზიანების მიყენებაში. ამდენად, ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული დაზიანების არსებობას დაზარალებული მართალია ადასტურებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ეს დაზიანება ბრალდებულს არ მიუყენებია და სხვაგვარად მიადგა (წაიქცა, კარადას მიეჯახა, კიბეზე დაეცა და სხვა), რაც იწვევს ბრალდებულის უდანაშაულოდ ცნობას, თუ ბრალდებულის მხრიდან ძალადობის განხორციელების ფაქტი სხვა სამხილით არ დასტურდება.

7. ოჯახში ძალადობის დანაშაულის კონსტრუქცია იმგვარია, რომ იგი სავალდებულოდ ითხოვს დაზარალებულის მხრიდან იმის გარკვევას, განიცადა თუ არა მან ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა, რაც ზოგჯერ არასწორად არის გაგებული და მიიჩნევა, რომ ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა დაზარალებულის მხრიდან გაკეთებული შეფასების მიხედვით უნდა დადგინდეს და ემყარებოდეს ე.წ. სუბიექტურ ტესტს, ანუ დაზარალებულის სუბიექტურ შეფასებას იმის თაობაზე, რომ მან განიცადა ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მართებულად არ უნდა ჩაითვალოს და შეფასება უნდა მოხდეს ასევე ე.წ. ობიექტური ტესტითაც, ანუ იმის დადგენით, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში პირი ობიექტურად განიცდიდა თუ არა ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას. მაგალითად, თუ საკმარისი მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ დაზარალებულს გამეტებით ურტყეს ხელები და ფეხები სახის არეში, მაგრამ დაზარალებული სასამართლო სხდომაზე მაინც განაცხადებს, რომ არ განუცდია ფიზიკური ტკივილი, სასამართლო არ უნდა შეიზღუდოს დაზარალებულის განმარტებით და თავად უნდა შეაფასოს, მოცემულ შემთხვევაში განხორციელებული ძალადობა თავისი ხასიათითა და მასშტაბურობით ობიექტურად გამოიწვევდა თუ არა ფიზიკურ ტკივილს.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ დაზარალებულის სუბიექტური აღქმა არ შეიძლება იყოს დანაშაულებრივი ქმედების განმსაზღვრელი, მაგალითად: 10-12 თვის ბავშვის მიმართ (ან იმ ბავშვის მიმართ, რომელსაც ასაკიდან გამომდინარე ჯერ არ შეუძლია საუბარი) განხორციელებული ფიზიკური ძალადობა არის თუ არა ფიზიკური ტკივილის გამომწვევი, უნდა შეფასდეს არამარტო სუბიექტური, არამედ ობიექტური კრიტერიუმების გათვალისწინებითაც, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ ფიზიკური ტკივილის მიყენების ფაქტის დადგენა ნებისმიერ შემთხვევაში ობიექტურად შეუძლებელია, რამეთუ ამ ასაკის ბავშვების აბსოლუტური უმრავლესობა ვერბალურად ვერ გამოთქვამს ემოციებსა და გრძნობებს.

ამდენად, მხოლოდ დაზარალებულის სუბიექტურ აღქმაზე დაყრდნობით იარსებებს რეალური საშიშროება არასწორი და მცდარი სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებისა და საქმის შედეგის გაუმართლებელი დამოკიდებულებისა დაზარალებულის სუბიექტურ პოზიციებზე. მაგალითად, თუ ძალადობას თავისი ხასიათითა და ინტენსივობით არ შეუძლია ფიზიკური ტკივილის გამოწვევა (მაგ. საყელოში ხელის ჩავლება და მოქაჩვა), მაგრამ დაზარალებული განაცხადებს, რომ განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი, ეს არ უნდა გახდეს იმის საფუძველი, რომ მივიჩნიოთ ძალადობა ჩადენილად, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი.

ობიექტური შეფასების აუცილებლობა ყოველთვის არ გამორიცხავს სუბიექტური შეფასების საჭიროებას და უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში დაზარალებულის სუბიექტური შეფასების გარეშე ვითარების სწორად შეფასება წარმოუდგენელიც იქნება. მაგალითად, იმგვარი ძალადობის დროს, რომელიც თავისი ხასიათით რიგ შემთხვევაში გამოიწვევდა ფიზიკურ ტკივილს, ხოლო რიგ შემთხვევაში - არა, დაზარალებულის პოზიციის გარკვევა შეიძენდა გადამწყვეტ მნიშვნელობას, მაგალითად, ხელების გადაგრეხვა, მკლავზე ხელის მოჭერა და სხვა დაზარალებულის პოზიციის გარკვევის გარეშე შეუძლებელს გახდიდა ობიექტური გადაწყვეტილების მიღებას.

8. როგორც პრაქტიკა მოწმობს, ოჯახში ძალადობის მსხვერპლები დახმარებისთვის არავის მიმართავენ მანამდე, სანამ მდგომარეობა უკიდურესად არ გართულდება და სამართალდამცავების ჩარევა მათთვის სიცოცხლის გადარჩენისა და ჯანმრთელობის დაზიანებისაგან დაცვის ერთადერთი გზა არ აღმოჩნდება. ამ კონდიციამდე მისვლას კი ხშირად ხელს უწყობს სხვადასხვა ფაქტორი, მათ შორის ზოგჯერ მეგობრებისა და ოჯახის წევრების „რჩევები“, რომლებიც ზეწოლას ახდენენ მსხვერპლის თავისუფალ ნებაზე, თუმცა შესაძლოა უმოქმედობა მსხვერპლის საკუთარი არჩევანიც იყოს. მათ პრობლემის სერიოზულობის არასათანადო აღქმის გამო უხდებათ კონფლიქტურ სიტუაციაში ცხოვრება და თითქოსდა საკუთარი ნებით უარს ამბობენ გაერიდონ ძალადობრივ გარემოს, რასაც მოგვიანებით ნანობენ და აღნიშნავენ, რომ „მოთმინებამ შედეგი ვერ გამოიღო“, და როცა მათ უსაფრთხოებას ექმნება განმეორებითი და ინტენსივობით უფრო მაღალი ხარისხის საფრთხე, იძულებულნი ხდებიან უკვე ღიად განაცხადონ ამის თაობაზე და წლების მანძილზე დაგროვილი სათქმელი ერთჯერადად გადმოსცენ.

ასეთ დროს ხშირია შემთხვევები, როცა ძალადობის სისტემატურობის დადგენა (როცა ბრალდებულს წარდგენილი აქვს ბრალდება სისტემატური შეურაცხყოფისთვის, დამცირებისთვის ან შანტაჟისთვის) ემყარება მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებას, რომელიც აღნიშნავს, რომ თანაცხოვრების პერიოდში ხშირად ჰქონია ადგილი ფიზიკურ ან ფსიქიკურ ძალადობას, თუმცა ამის შესახებ არსად განუცხადებია, რადგან ფიქრობდა, რომ იგი მომავალში აღარ განმეორდებოდა, ან მოძალადე დებდა პირობას, რომ მსგავს საქციელს აღარ ჩაიდენდა, ან მსხვერპლს არ უნდოდა ოჯახის დანგრევა და ა.შ. მხოლოდ ამგვარი ჩვენების საფუძველზე ძალადობის სისტემატურობის დადგენა სწორი არ იქნება, თუ ამის პარალელურად არ მოიპოვება სხვა მტკიცებულება, რომელიც დაზარალებულის ნათქვამს დაადასტურებდა, მაგალითად, ოჯახის სხვა წევრის მხრიდან ან მეგობრებისგან, მეზობლებისგან, ნათესავებისგან ამ ფაქტების დადასტურება ან თუნდაც შემაკავებელი ან დამცავი ორდერების არსებობა, სადაც მითითებული იქნება წინა ძალადობრივი ფაქტების შესახებ.

ამდენად, ერთის მხრივ, თავად დანაშაულის ხასიათი, რომ იგი უმეტესწილად სხვათაგან შეუმჩნევლად ჩაიდინება, ხოლო მეორეს მხრივ, დაზარალებულთა და მოწმეთა საპროცესო შესაძლებლობა, - არ მისცენ თავიანთი ახლო ნათესავის საწინააღმდეგო ჩვენება, განაპირობებს ამ დანაშაულის სპეციფიკურობას და სასამართლოში მისი განხილვის სირთულეს, რაც რიგ შემთხვევაში იწვევს ძალადობის, როგორც უკიდურესად მიუღებელი, ანტისოციალური ქცევის დაუდასტურებლობას და მისი ჩამდენი პირის მსჯავრდების შეუძლებლობას.



## საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა სამმართველოს უფროსი

### სალომე შენგელია

#### ოჯახში ძალადობის პრაქტიკული ასპექტები

მოხსენება შეეხება ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საქართველოს პროკურატურის მიერ განხორციელებულ ღონისძიებებს, ოჯახში ძალადობის საქმეებზე სისხლის სამართლის პოლიტიკას, საკანონმდებლო ხარვეზებს და პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებს.

ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოს პროკურატურისთვის პრიორიტეტი 2014 წლიდან გახდა.

საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლებისა და დაზარალებულთა ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებზე პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების სპეციალიზაცია განხორციელდა.

საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანების შესაბამისად, 2018 წლის 1 მაისიდან, აღნიშნული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე საქართველოს პროკურატურის ორგანოებში გამოძიებას, საპროცესო ხელმძღვანელობასა და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერას მხოლოდ სპეციალიზებული გამომძიებლები და პროკურორები ახორციელებენ.

პროკურორებისა და პროკურატურის გამომძიებლების მოსამზადებლად, 2018 წელს ჩატარდა 3 სპეციალიზაციის კურსი ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 83 პირი. ტრენინგი გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით განხორციელდა. დღეის მდგომარეობით საერთო ჯამში 155 სპეციალიზებული პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელია.

პროკურატურაში ყოველწლიურად ტარდება ოჯახური დანაშაულისა და გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზი. საქმეთა შესწავლა ხორციელდება ორი ძირითადი მიმართულებით:

კრიმინოლოგიური ნაწილი, რომლის ფარგლებშიც დგინდება დანაშაულის ჩადენის ადგილი, გარემოებები, დამოკიდებულება დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის, აგრეთვე, დაზარალებულთა და ბრალდებულთა პერსონალური მახასიათებლები;

გამომძიების ეფექტურობა, რომლის ფარგლებშიც დგინდება რამდენად დროულია ფაქტებზე რეაგირება, რამდენად ეფექტურია ჩატარებული საგამომძიებო მოქმედებები, როგორია დაზარალებულ პირთა პოზიცია და ეფექტიანად ხდება თუ არა საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღება.

პროკურატურის მიერ ოჯახურ დანაშაულში ბრალდებული პირების მიმართ ხორციელდება მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა. საპროკურორო ზედამხედველობის ხარისხის გაუმჯობესების შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა ოჯახური დანაშაულის შედეგად

დაზარალებულთა მომართვიანობა და შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. 2014 წელს ოჯახურ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 550 პირის მიმართ, 2015 წელს - 1066, 2016 წელს -1356, 2017 წელს - 1986 პირის მიმართ, ხოლო 2018 წელს 3955 პირის მიმართ.

რაც შეეხება ოჯახური დანაშაულების საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების საკითხს, ამგვარ საქმეებზე ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების დადება იშვიათად ხდება, რაც საქართველოს პროკურატურისათვის, ისევე როგორც საერთო სასამართლოებისგან მოითხოვს დიდ რესურსს. აგრეთვე, როგორც წესი, განრიდება პროკურორების მიერ არ გამოიყენება ოჯახურ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას, ხოლო საერთოდ არ გამოიყენება ქმრის მიერ ცოლზე ძალადობის შემთხვევაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 2018 წელს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებში, პროკურორთა მხრიდან გენდერული დისკრიმინაციის მოტივის იდენტიფიცირება და ბრალდების შესახებ დადგენილებაში გენდერული ნიშით შეუწყნარებლობით დანაშაულის ჩადენის მითითება. 2016 წელს გენდერული დისკრიმინაციის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3 პირის მიმართ, 2017 წელს 25 პირის მიმართ, ხოლო 2018 წელს 111 პირის მიმართ. წინა წლებთან შედარებით 2018 წელს პროკურორების მიერ აღნიშნული მოტივის გამოკვეთა 4-ჯერ გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს პირველად ქალის მკვლელობის მცდელობის სისხლის სამართლის საქმეში გამოიკვეთა გენდერული დისკრიმინაციის მოტივი, კერძოდ, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის მიერ ცოლის მიმართ ჩადენილი მკვლელობის მცდელობის ფაქტზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო გენდერული დისკრიმინაციის მოტივით 1 პირის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11'19.109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით.

რაც შეეხება მტკიცებულებების მოპოვებას ოჯახში ძალადობის საქმეებზე, როდესაც სახეზეა ფისიქიკური ტანჯვა და პირის მიმართ ფსიქოლოგიური ექსპერტიზის არსებობის შემთხვევაში, როდესაც ექსპერტიზა ვერ ადგენს ფსიქოლოგიურ ტანჯვას, სასამართლო ვერ ეყრდნობა მხოლოდ სუბიექტურ მხარეს - დაზარალებულის მიერ მიცემულ ჩვენებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ექსპერტიზა ტარდება ძველი მეთოდოლოგიით, ექსპერტები ხშირად სრულად არ იკვლევენ დაზარალებულის ფსიქოლოგიას, არ არის შექმნილი კარგი პირობები დაზარალებულისათვის და ამიტომ, არ შეიძლება სასამართლო დაეყრდნოს მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში აუცილებელია გამოიყენოს/დაეყრდნოს მოწმეთა, მათ შორის დაზარალებულის, ჩვენებებსაც.

შესაბამისად, ექსპერტიზის დასკვნა არ არის აუცილებლობა, თუმცა მისი ჩატარება არის ბრალდების მხარისათვის დამატებითი ბერკეტი იმ შემთხვევაში თუ დაზარალებული ჩვენებას არ მისცემს სისხლის სამართლის საქმის არსებითად განხილვისას; თუ საქმეში არ არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, დაზარალებულმა უნდა მისცეს სრულყოფილი, აღწერილობითი ჩვენება, რაში გამოიხატა ფსიქოლოგიური ტანჯვა და ასევე, უმჯობესი იქნება მისი ვერსიის სხვა მოწმეთა ჩვენებებით განმტკიცება.

რა ხდება იმ შემთხვევაში როდესაც პარტნიორი ძალადობს პარტნიორზე? სტამბოლის კონვენცია პარტნიორს მოიაზრებს ოჯახის წევრად, პარტნიორის ცნების შემოტანის საჭიროება ნაკლებად არსებობს, ვინაიდან ამჟამად საქართველოში არსებულ ვითარებაში რთულია განმარტება.

იმ სისხლის სამართლის საქმეებში, რომლებშიც ფიგურირებენ ერთსქესიანი წყვილები, წყვილთა თანაცხოვრება მოექცევა ერთიანი საოჯახო მეურნეობის ცნებაში და შესაბამისად, ამ მხრივ საკანონმდებლო ხარვეზი არ არსებობს.

როგორ უნდა განიმარტოს და რა ვადა უნდა დაწესდეს ისეთი პირების ერთმანეთის ოჯახის წევრებად მისაჩნევად, რომლებიც ამჟამად აღარ ეწევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას? მაგალითად, იმ ვითარებაში, როდესაც პირები ბოლო 5 წელი აღარ ეწევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას, უნდა ჩაითვალოს თუ არა, რომ ისინი არიან ოჯახის წევრები; ამასთან, რა ვადის განმავლობაში უნდა ეწეოდნენ პირები ერთიან საოჯახო მეურნეობას, რომ ისინი ჩაითვალოს ოჯახის წევრებად? უფრო კონკრეტულად უნდა განიმარტოს "ერთიანი საოჯახო მეურნეობის" ცნება და ჩამოყალიბდეს გარკვეული კრიტერიუმები, ასევე განისაზღვროს რას ნიშნავს მუდმივობა. ოჯახური ურთიერთობების ვადებით შემოფარგვლა არ იქნება გამართლებული და აღნიშნული საკითხი უნდა დარეგულირდეს პრაქტიკით. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევებში უნდა დადგინდეს რა პერიოდის თანაცხოვრება არსებობს/არსებობდა, რა ინტენსივობის, გამოირკვეს ურთიერთობის შინაარსი და სხვა მახასიათებლები და ამის შემდგომ დადგინდეს ოჯახის არსებობა/არარსებობის ფაქტი. მაგალითად, პრაქტიკაში ერთი დღის არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები სასამართლომ არ მიიჩნია ოჯახის წევრებად.

გამოწვევას წარმოადგენს გამამართლებელ განაჩენთა დადგომის შედარებით მაღალი მაჩვენებელი (2018 წლის მონაცემებით გამამართლებელი განაჩენი დადგა სასამართლოში წარმართულ საქმეთა 8% შემთხვევაში, ხოლო ნაწილობრივ გამამართლებელი - 3%); აღნიშნული მაჩვენებლის ძირითად გამომწვევი მიზეზია დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემაზე უარი ან ჩვენების შეცვლა.

#### **გამოწვევები:**

- დაზარალებულთა მიერ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას ჩვენების მიცემაზე უარი.
- მტკიცებულებათა სტანდარტი; პატიმრობის მოთხოვნის ძალიან მაღალი მაჩვენებელი;
- არსებით განხილვათა ძალიან მაღალი მაჩვენებელი, რაც სპეციალიზებული პროკურორების არაგონივრულად მაღალ დატვირთვას იწვევს და ქმნის სპეციალიზებულ პროკურორთა რიცხვის გაზრდის პერმანენტულ საჭიროებას;

- დაზარალებულთა საჭიროებებზე მორგებული სისტემის შექმნა;
- მოძალადეთათვის განკუთვნილი სარეაბილიტაციო პროგრამების მწვავე ნაკლებობა;
- მულტი სისტემური კვლევის საჭიროება: გამოძიებისა და მტკიცებულებათა სტანდარტის დადგენა, ასევე მტკიცებულებათა მოპოვების ეფექტური გზების მოძიება მართლმსაჯულების განსახორციელებლად.

# თსუ იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

## თამარ მაზანაშვილი

### ფემიციდი, როგორც გენდერული ნიშნით ქალთა მკვლელობა

#### შესავალი

ტერმინი ქალთა მიმართ ძალადობა ქმედებათა ფართო სპექტრს მოიცავს, რომელთა შორისაცაა ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობა, მკვლელობა, ადევნება, იძულებითი ქორწინება, გენიტალიების დაზიანება, და ა.შ. მოცემულ კვლევაში მხოლოდ ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობა იქნება განხილული. თითოეული ზემოაღნიშნული ქმედება (დანაშაული) არის აგრესიული და ის უარყოფითად აისახება ქალებზე.

ქალთა მიმართ სხვადასხვა ფორმით გამოვლენილ ძალადობას თუ კუმულაციურად განვიხილავთ, საბოლოოდ ამ ქმედებებს ქალთა მკვლელობამდე, ანუ ფემიციდამდე მივყავართ. აქედან გამომდინარე, გენდერული ნიშნით მკვლელობა, როგორც წესი, არ არის იზოლირებული ქმედება, რომელიც ხდება უეცრად და მოულოდნელად, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, არის გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და ძალადობის განგრძობადი ქმედების საბოლოო აქტი.<sup>1</sup>

თემის აქტუალობას განაპირობებს ის გარემოება, რომ თვით სამართლებრივად კარგად განვითარებულ და დემოკრატიის დიდი ტრადიციების მქონე ქვეყნებშიც ჯერ კიდევ არსებობს გარკვეული მოწყვლადი ჯგუფების მიმართ სქესის ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტები. მით უფრო აქტუალურია ეს პრობლემა საქართველოში, სადაც სისხლის სამართლის კანონმდებლობა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად ეხლა იკრებს ძალებს.

საქართველოში, ბოლო პერიოდში ქალთა მკვლელობის საგანგაშო სტატისტიკური მონაცემების არსებობამ და მისმა გასაჯაროებამ, ქვეყნის წინაშე ქალთა ძალადობასთან ბრძოლის ეფექტური სამოქმედო სტრატეგიის შემუშავების საკითხი მწვავედ დააყენა.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ქალის მიმართ ძალადობა დისკრიმინაციის ფორმად ითვლება. სტამბულის კონვენციის თანახმად, ქალთა მიმართ ძალადობა ქალებსა და მამაკაცებს შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული არათანასწორი ძალაუფლებრივი გამოვლინებაა, რაც იწვევს ქალთა დისკრიმინაციას, ქალისთვის სრული რეალიზაციის ხელის შეშლას.

სახელმწიფოს მხრიდან ერთ-ერთი ბოლოდროინდელი პოზიტიური ნაბიჯი ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს (სტამბოლის) კონვენციის ხელმოწერა გახლდათ. აღნიშნული ინოვაციური კონვენცია გმობს ქალთა მიმართ ნებისმიერი სახის ძალადობას. სტამბოლის კონვენციის ჰარმონიზაცია ქართულ კანონმდებლობაში თანდათან ხორციელდება. საქართველოს მთავრობამ ადამიანის ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილებები განახორციელა. აღნიშნული კონვენციის

<sup>1</sup> იხ. კურტანიძე მ., აბრამიშვილი ნ., პატარია ბ., ფემიციდი, დისკრიმინაციული დანაშაული და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულება, საფარი, 2016, გვ. 24.

რატიფიცირება, ქვეყნის მხრიდან კიდევ უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს კანონის პრაქტიკაში ჯეროვანი აღსრულების თვალსაზრისით.

## 1. ფემიციდის ზოგადი დახასიათება

ეხლა კი განვიხილოთ თუ რა იგულისხმება ტერმინ „ფემიციდის“ ქვეშ.

ამჟამად, ევროპაში ტერმინი ფემიციდი ფართოდ გავრცელებულია, დაიანა რასელის მიერ დამკვიდრებული მნიშვნელობით - ფემიციდი არის ქალის მკვლელობა, რომელიც განპირობებულია სექსიზმით და მოტივირებულია „ქალზე უფლების ქონის სურვილით, ქალთან შედარებით უპირატესი მდგომარეობით, სიამოვნების მიღების ან სადისტური სურვილებით, ან ქალის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულებებით“.<sup>2</sup>

ფემიციდისგან განსხვავებით, ტერმინი „ფემინიციდი“, რომელიც მექსიკელმა მკვლევარმა მარსელ ალეგარდმა დაამკვიდრა, აღნიშნავს სახელმწიფოს უმოქმედობას ქალთა მკვლელობებთან მიმართებით – როდესაც სახელმწიფოს არ აქვს პოლიტიკური ნება, მოახდინოს ამგვარი დანაშაულების გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა.<sup>3</sup>

ბუნებრივია, ქალის მკვლელობის ყველა შემთხვევა ფემიციდად არ უნდა განვიხილოთ. ფემიციდის კვალიფიკაციისას აუცილებელია ქალის მკვლელობა გენდერს უკავშირდებოდეს, საჭიროა მკვლელობის მოტივის დადგენისას გამოიკვეთოს კავშირი გენდერულ ძალადობასთან ან გენდერული ნიშნით დისკრიმინაციასთან.

ფემიციდის ყველაზე მისაღებ განმარტებას იძლევა ლათინურ ამერიკული სამოდელო ოქმი, რომლის მიხედვითაც ფემიციდი არის ქალის მკვლელობა, რომელიც გამოწვეულია ქალის სქესით და მკვლელობის მოტივი ან მიზეზი გენდერული ხასიათი ან ქალის დისკრიმინაციაა. რაც შეეხება ქალის დისკრიმინაციის განმარტებას, „დისკრიმინაცია ქალის მიმართ ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისობას ან შეზღუდვას სქესის ნიშნით, რომელიც ლახავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, მოქალაქეობრივ ან სხვა რაიმე სფეროში კაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ქალთა მიერ მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარებას, სარგებლობასა და განხორციელებას“.

## 2. ფემიციდის გავრცელებული ფორმები

ფემიციდის სხვადასხვა ტიპი არსებობს, რომლებიც თავის მხრივ პირდაპირი და არაპირდაპირი ფორმის ფემიციდს განეკუთვნება. პირდაპირი ფემიციდი მოიცავს ხუთ კატეგორიას. ესენია:

- ოჯახში ძალადობის შედეგად ქალთა მკვლელობა ინტიმური პარტნიორის მიერ;
- ქალთა მკვლელობა სიძულვილის ნიშნით;
- ქალთა მკვლელობა ღირსების სახელით;
- ქალთა მკვლელობა შეიარაღებული კონფლიქტების დროს;

<sup>2</sup> იხ. Harnes R., Russell D., *Femicide in Global Perspective*, New York: Teachers College, 2001. PP. 77-78.

<sup>3</sup> იხ. Fregoso R. L., Bejarano C., eds. *Terrorizing Women: Femicide in the Americas*. Duke UP, 2010. Description

- ქალთა სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული მკვლელობა;
- სქესის ნიშნით სელექცია (მკვლელობა);
- ეთნიკურობასთან დაკავშირებული მკვლელობა.<sup>4</sup>

არაპირდაპირ ფემიციდს განეკუთვნება:

- უკანონო აბორტის შედეგად ქალთა სიცოცხლის მოსპობა;
- დედათა სიკვდილიანობა;
- საზიანო ქმედებები (მაგალითად, ქალის სასქესო ორგანოების დაზიანების შედეგად სიცოცხლის მოსპობა);
- ადამიანით ვაჭრობასთან, ნარკოტიკების მოხმარებასთან, იარაღის გავრცელებასთან, ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული საქმიანობა;
- გოგონების და ქალების შიმშილობა და არასათანადო მოპყრობა;
- სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან უმოქმედობა.<sup>5</sup>

მოხსენების შეზღუდული მოცულობიდან გამომდინარე, შეუძლებელია ყველა მათგანის განხილვა, თუმცა ყურადღებას შევაჩერებ ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმებზე.

### ინტიმური ფემიციდი

ქალის მკვლელობა მამაკაცის მიერ, რომელთანაც ქალს ჰქონდა ინტიმური (ემოციური ან/და სექსუალური) ურთიერთობა. დანაშაულის ჩამდენია მეუღლე, ყოფილი მეუღლე, სექსუალური პარტნიორი, ყოფილი სექსუალური პარტნიორი, შეყვარებული, ყოფილი შეყვარებული ან მამაკაცი, რომელთანაც ქალს ჰყავს შვილი. დანაშაული, ასევე შესაძლოა ჩაიდინოს მამაკაცი, რომელიც ქალს კლავს იმის გამო, რომ ქალი უარს ამბობს მასთან ინტიმურ (ემოციურ თუ სექსუალურ) ურთიერთობაზე. საქართველოში ფემიციდთა უმრავლესობა მეუღლის ან ყოფილი მეუღლის მიერ არის ჩადენილი – აქედან გამომდინარე, ოჯახური ფემიციდი ამ დანაშაულის ერთ-ერთი მთავარი ფორმაა.<sup>6</sup> ფემიციდის მსხვერპლი ქალების 70% სიკვდილამდე იყო დაქვემდებარებული მათი მკვლელი პარტნიორების მიერ ფიზიკურ ძალადობას.

### ღირსების სახელით ჩადენილი ფემიციდი

„ღირსების სახელით“ ჩადენილი მკვლელობა, ფემიციდის ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც განსაკუთრებით უკავშირდება მამაკაცის სირცხვილის განცდას. პატრიარქალურ სამყაროში მათი მოვალეობაა ქალის ქცევაზე კონტროლის შენარჩუნება, განსაკუთრებით ეს უკავშირდება ოჯახურ ურთიერთობებს. მამაკაცი, როდესაც ხვდება, რომ ქალი მას „არ

<sup>4</sup> *ob. Manjoo R., Report of the Special Rapporteur on Violence Against Women, its Causes and Consequences, A/HRC/20/16, 23 May 2012, P. 4.*

<sup>5</sup> *ob. Sarmiento C. B., Acosta M. L., Roth F., Zambrano M., Latin American Model Protocol for the investigation of gender-related killings of women (femicide/feminicide), Regional Office for Central America, P.14.*

<sup>6</sup> *ob. დეკანოზიძე თ., ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბ., 2016, გვ. 5.*

ემორჩილება“ ის იწყებს ძალადობას. იმისათვის, რომ შერცხვენილი სტატუსი ჩამოიწმინდოს, ის აკეთებს იმას, რასაც „კულტურა და ტრადიციები“ მოითხოვს.<sup>7</sup>

„ღირსების“ სახელით ჩადენილ მკვლელობას ძირითადად უკავშირდება ოჯახში ჩადენილი დანაშაული, ვინაიდან მსხვერპლი ძირითადად ოჯახის წევრი გახლავთ, კერძოდ ქალი. რაც შეეხება, დამნაშავეს ძირითადად მამაკაცები არიან. იშვიათ შემთხვევაში დამნაშავე შეიძლება ქალიც იყოს. ქალი შეიძლება სხვადასხვა მიზეზით აღმოჩნდეს „ღირსების“ სახელით ჩადენილი მკვლელობის მსხვერპლი. მაგალითად, ქორწინებაზე უარის თქმის, განქორწინების შესახებ სურვილს გამოთქმის, ღალატის გამო. ეს ფაქტები შესაძლოა გადაჭარბებით მტკივნეულად იქნას აღქმული მამაკაცის მხრიდან.

„ღირსების“ სახელით ჩადენილი მკვლელობა კონკრეტული სოციალური გარემოს შედეგია, რომელიც ძლიერ პატრიარქალურ საწყისებზეა აღმოცენებული. ამგვარი მკვლელობები ხარისხობრივად განსხვავდება სხვა სახის მკვლელობებისგან. დამნაშავეები ცალსახად იმართებიან კონკრეტული კულტურის გავლენით. მათთვის დამახასიათებელია სპეციფიკური ლოგიკა, რაც უკავშირდება სირცხვილისა და პატივისცემის არასწორ გაგებას. ამგვარი ლოგიკით გამოდის, რომ თუ ქალმა უარი თქვა სოციუმში დადგენილი ნორმების შესაფერისად ცხოვრებაზე, მისი „უზნეო ქცევა“ მთელს ოჯახს დააზარალებს. ოჯახის სიწმინდის დასაცავად, ანდა აღსადგენად კი საჭიროა კულტურის ნორმების უარყოფელი ქალის მოკვლა. აქედან გამომდინარე, დამნაშავეები თვლიან, რომ ზნეობრივად ნებადართულია მათი ქმედება, რადგან ის მიზნად მორალური წესრიგის დაცვას ისახავს.<sup>8</sup> მათი აზრით ოჯახის „ღირსება“ აღდგება მხოლოდ „შემარცხვნილი“ ქალის სიკვდილის შემდგომ. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „ღირსების“ დანაშაული არ არის სქესის მიხედვით შეზღუდული. მამაკაცები ასევე შეიძლება გახდნენ მსხვერპლნი.<sup>9</sup>

მკვლელობის მიზეზი შეიძლება იყოს ქალის მიერ ქორწინების გარეშე დამყარებული სქესობრივი ურთიერთობა ან ქალის ქცევის გაბატონებული სტერეოტიპის დარღვევა, ცოლ-ქმრული ღალატი, ქორწინების გარეშე ორსულობა და ა.შ. ჩამონათვალი საკმაოდ ბევრი შეიძლება იყოს.

დანაშაულის „ღირსების“ სახელით ჩადენა მიუღებელ გართლებადაა მიჩნეული სტამბოლის კონვენციის მიხედვით. კერძოდ, აღნიშნული კონვენციის 42-ე მუხლში ნათქვამია, რომ მხარეებმა უნდა მიიღონ აუცილებელი საკანონმდებლო თუ სხვა ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ძალადობრივი აქტი არ იქნეს გამართლებული „ღირსების“ ცნებასთან დაკავშირებული მოსაზრებით. კონვენციაში საუბარია იმ შემთხვევებზე, როდესაც პირს სჯიან, რადგან მან დაარღვია შესაბამისი კულტურული, რელიგიური, სოციალური ან ტრადიციული ქცევის ნორმები ან ჩვევები.<sup>10</sup>

<sup>7</sup> *ob. Ullah M. Z., Honour Killing in Pakistan Under Theoretical, Legal and Religious Perspectives, An Analytical Study of Honour Killings Abuse and Disconnecting Islam from This Ancient Brutal Tradition, Malmo University, Sweden, 2010. P. 15.*

<sup>8</sup> *ob. Fateh N. S., Honour Killing, University of Toronto, Department of Law, 2012, P. 3.*

<sup>9</sup> *ob. Bloom S. S., Violence Against Women And Girls, USAID, East Africa, P. 176.*

<sup>10</sup> *ob. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს (სტამბოლის) კონვენცია, მ. 42.*



### 3. ქალთა გენდერული ნიშნით ჩადენილი მკვლევლობის რეგულირება

სტამბულის კონვენცია სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას შექმნას სათანადო მექანიზმები, მათ შორის ეფექტური კანონმდებლობა, ფემიციდის და ზოგადად, ქალთა მიმართ ძალადობის და დისკრიმინაციის თავიდან აცილების, დანაშაულის ეფექტურად გამოძიებისა და დამნაშავეთა დასჯის მიზნით. გარდა ამისა, ფემიციდის საქმეებზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობას აკისრებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც, რომელიც თვლის რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დგება მის მიერ პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობისას, როცა მსხვერპლმა ითხოვა დახმარება, სახელმწიფომ არ მიიღო სათანადო ზომები მსხვერპლის დასაცავად და იგი სასიკვდილო საფრთხის წინაშე დაცვის გარეშე დატოვა. შესაბამისად, ფემიციდის საქმეების, ანუ გენდერული ნიშნით, ზემოაღნიშნული ფორმებით ჩადენილ ქალის მკვლევლობათა გამოძიება სწორედ გენდერული ხედვით უნდა მოხდეს.

ფემიციდის საკანონმდებლო რეგულირებასთან დაკავშირებით სხვადასხვა დამოკიდებულება არსებობს. - ფემიციდი კრიმინალიზებულია როგორც ცალკე დანაშაული, ცალკე კანონით; - ფემიციდი განიხილება როგორც ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოება განზრახ მკვლევლობის მუხლში.

გვატემალას დეკრეტის მიხედვით, პრობლემის სიმწვავის გამო ტერმინი „ფემიციდი“ გვატემალას კონსტიტუციაშიც არის შესული. ფემიციდი მიჩნეულია განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად და ისჯება ოცდახუთიდან ორმოცდაათ წლამდე, ამ ვადის შემცირების შესაძლებლობის გარეშე.

**ევროპული ქვეყნების გამოცდილებით**, ფემიციდი დამამძიმებელ გარემოებად განიხილება. მაგალითად, საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსი დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევს ქალის მკვლევლობას გენდერული ნიშნით და ითვალისწინებს უვადო თავისუფლების აღკვეთას მეუღლის მკვლევლობის შემთხვევაში ან ოცი წლით თავისუფლების აღკვეთას ძალადობისთვის, რომელმაც გამოიწვია მსხვერპლის სიკვდილი, თუ მსხვერპლი იყო მეუღლე ან მოძალადესთან მცხოვრები პირი. ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსი არ შეიცავს ტერმინს „ფემიციდი“, თუმცა კოდექსი შეიცავს ნორმებს გენდერული ძალადობის შესახებ.

#### **საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით**

ფემიციდს, როგორც ცალკე დანაშაულს საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს. შესაბამისად, ქალთა სიცოცხლის მოსპობის ყველა შემთხვევის გამოძიება და დასჯა ხდება ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების ზოგად კონტექსტში.

2014 წელს, მას შემდეგ, რაც, სტატისტიკურმა მონაცემებმა ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად აჩვენა ქალთა მკვლევობებთან მიმართებით შემაშფოთებელი მდგომარეობა, საზოგადოებაში გაჩნდა ლოგიკური პროტესტის გრძნობა, რაც ერთგვარად სახელმწიფოში არასაკმარისი ბერკეტების არსებობას უკავშირდებოდა. ამის საპასუხოდ, 2014 წელს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტმა პარტნიორების მიერ ქალთა მკვლევლობის მზარდი რიცხვის გამო შემოფოთება გამოთქვა

და რეკომენდაციები გასცა პრევენციული ზომების მისაღებად.<sup>11</sup> ასევე, სპეციალური მომხსენებლის ანგარიშში ნათქვამია, რომ უნდა შეიქმნას ცალკე ორგანო ფემიციდის ყოველი შემთხვევის გაანალიზებისათვის.<sup>12</sup>

### **3.1 ფემიციდის სისხლის სამართლის კოდექსის ცალკე მუხლით რეგულირების მცდელობა**

ფემიციდი კრიმინალიზაციის ერთ-ერთი პირველი მცდელობა გახლდათ კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს უნდა დამატებოდა 108<sup>1</sup> –ე მუხლი სახელწოდებით ფემიციდი – გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალის განზრახ მკვლელობა. მუხლის დისპოზიცია შემდეგნაირად იქნა ჩამოყალიბებული: ფემიციდი – გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალის განზრახ მკვლელობა მეუღლის, ყოფილი მეუღლის, პარტნიორის ან ოჯახის სხვა წევრის მიერ. რაც შეეხება სანქციას, დანიშნული სასჯელი უნდა ყოფილიყო თავისუფლების აღკვეთა თერთმეტიდან თოთხმეტ წლამდე, რაც ნიშნავს, რომ პროექტის ავტორებს აღნიშნული მუხლი დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის რანგში გაჰყავდათ.

აღსანიშნავია, რომ ფემიციდის კანონპროექტში მოყვანილი ფორმულირება არ შეესაბამება ფემიციდის განმარტებას და აქცენტს სვამს მხოლოდ ოჯახის წევრებზე. ამით ისახება დანაშაულის სპეციალური სუბიექტი, რომელიც მხოლოდ ოჯახის წევრი შეიძლება იყოს. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ კანონპროექტის ავტორები ქალთა მკვლელობების გამომწვევ ძირითად მიზეზად ქალის მიმართ მესაკუთრულ დამოკიდებულებას ხედავენ, რაც უპირველესად, სწორედ, ოჯახის წევრების მხრიდან შეიძლება მომდინარეობდეს. მაგრამ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დისკრიმინაცია მხოლოდ ოჯახის წევრებიდან არ მოდის. ქალთა მიმართ დისკრიმინაციულ მიდგომებს შეიძლება შევხვდეთ ნებისმიერ სოციალურ წრეში, ამიტომ დანაშაულის სუბიექტის ამგვარი დავიწროება მიზანშეწონილი არ არის.

ვფიქრობ, რომ კანონპროექტი მართებულად არ იქნა მიღებული საქართველოს პარლამენტის მიერ.

### **3.2 სისხლის სამართლის მოქმედი კოდექსის ფარგლებში გენდერული ნიშნით ჩადენილი მკვლელობათა რეგულირების შესაძლებლობა**

საინტერესო იქნება თვალი გადავავლოთ 2017 წლიდან დაწყებულ ცვლილებებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში. 2017 წლის 1 ივნისიდან ამოქმედდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლი, რომელიც დანაშაულის ჩადენას დისკრიმინაციის, მათ შორის სქესის შემცველი ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად განიხილავდა. მაშასადამე, თუ ქალი მოკლული იქნებოდა გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით, იმიტომ რომ იგი ქალია და ამასთან, დანაშაული ჩადენილი იქნებოდა ოჯახის წევრის მიერ, შესაბამის პირობებში შესაძლებელი იყო, სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციისას გამოყენებული ყოფილიყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108–ე ან 109–ე

<sup>11</sup> იხ. ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, დასკვნითი შენიშვნები, გვ. 4-5.

<sup>12</sup> იხ. სიმონოვიჩი დ., ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიში საქართველოში ვიზიტის შესახებ, 2016, გვ. 36.

მუხლი მე-11<sup>1</sup> მუხლთან ერთობლიობაში, ხოლო სასჯელის დანიშვნისას კი მკაცრი სასჯელი დანიშნოდა ამავე კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლზე მითითებით.

კონვენციით გათვალისწინებულ მიზნებს ვერ პასუხობს სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლი, რომელიც, მართალია, დისკრიმინაციული ნიშნით, ასევე ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ დანაშაულის ჩადენას პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად განიხილავს, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის მსგავსად, არ აწესებდა სასამართლოს მიერ დასანიშნი სასჯელის ზღვრულ ოდენობას. ამგვარი რეგულაცია ვერ პასუხობს კანონმდებლის მიზანს შედარებით მკაცრად დასაჯოს დისკრიმინაციული ნიშნით, ასევე ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ დანაშაულის ჩამდენი პირები, ვინაიდან ის მინიმუმთან უკიდურესად მიახლოებული სასჯელის დანიშვნის შესაძლებლობასაც იძლეოდა. შესაბამისად, მიზანშეწონილია, სსკ-ის 53<sup>1</sup> მუხლში გაკეთდეს სსკ-ის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის მსგავსი ჩანაწერი.

სასამართლომ და პროკურატურამ სისხლის სამართლის კოდექსის 53<sup>1</sup> მუხლის მეორე ნაწილი 14 საქმეში გამოიყენა. (2017 წელი) თუმცა, სასამართლოც და პროკურატურაც განაჩენის გამოტანისას ფორმალურად უთითებდა მითითებულ მუხლს და თითქმის არ მსჯელობდა მუხლის სპეციფიკაზე კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით.

სულ ცოტა ხნის წინ სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელდა რიგი ცვლილებები, რომელიც ნამდვილად საგულისხმო ცვლილებებია ქალთა ძალადობასთან მიმართებით.

2018 წლის 30 ნოემბრიდან სისხლის სამართლის კოდექსში 109-ე მუხლს დაემატა მე-2 ნაწილია „დ“ ქვეპუნქტი, რაც გულისხმობს დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობას გენდერის ნიშნით. 109-ე მუხლს დაემატა ასევე „ვ“ ქვეპუნქტი - ოჯახის წევრის მიმართ. შესაბამისად ოჯახის წევრის მკვლელობა აღარ მოგვცემს 108-ე მუხლის ემადგენლობას. ამასთანავე 108-ე მუხლი ამოღებული იქნა სსკ-ის 11<sup>1</sup> მუხლის შენიშვნიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახა გახლავთ სახელმწიფო მიზანს წარმოადგენს ოჯახური დანაშაულისა და ქართა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის გაზრდა. ცვლილებები შეიძლება სევაფასო როგორც კანონმდებლობის დახვეწის მცდელობა. ამასთანავე მნიშვნელოვანი მესიჯია, რაც სახელმწიფო პოლიტის გამკაცრებას გულისხმობს.

#### **4. ქალთა მკვლელობის მოტივის დადგენის მნიშვნელობა**

მნიშვნელოვანია განვმარტოთ თუ რას ნიშნავს „გენდერი“. სტამბულის კონვენციის თანახმად „გენდერი“ განმარტებულია, როგორც სოციალურად შემუშავებული როლების, ქცევების, ღონისძიებებისა და მახასიათებლების ერთობლიობა, რომლებსაც მოცემული საზოგადოება მიიჩნევს სათანადოდ ქალებისა და მამაკაცებისათვის. „ქალის მიმართ ძალადობა გენდერული ნიშნით“ გულისხმობს ქალის წინააჰმდეგ მიმართულ დანაშაულს იმის გამო, რომ ის ქალია ან რომელიც არათანაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალებზე.

სქესს გააჩნია ორი კატეგორია ბიოლოგიური (sex) და სოციალური (gender). სქესი დაკავშირებულია ქალსა და მამაკაცს შორის ფიზიკურ, ანატომიურ განსხვავებებთან, ცნება „გენდერი“ კი მიუთითებს მათ ფსიქოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ როლებზე. სქესი ბიოლოგიურად არის განსაზღვრული, გენდერი კი სოციალური და კულტურული ფაქტორებით არის განპირობებული და აღნიშნავს ქალისა და მამაკაცის სოციალურად ნასწავლი ქცევების, თვისებებისა და დამოკიდებულებების ნაკრებს.

2010 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, სადაც განიმარტა „გენდერის“ ცნება.

გენდერი - სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებას ამა თუ იმ სქესზე.

გენდერი არის სოციალური სქესი, განსხვავება ქალსა და კაცს შორის, რომელიც განპირობებულია არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური მოცემულობით, ამა თუ იმ საზოგადოებაში კაცისა და ქალის როლის თავისებურებებით. გენდერი ნიშნავს სოციალურად შემუშავებული როლების, ქცევებისა და მახასიათებლების ერთობლიობას, რომლებსაც მოცემული საზოგადოება მიიჩნევს სათანადოდ ქალისთვის და მამაკაცისთვის. იმისათვის, რათა გაირკვეს ხომ არ იყო დანაშაული ჩადენილი გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, უნდა დადგინდეს მოძალადის დანაშაულებრივი ქმედება ხომ არ იყო განპირობებული გენდერული სტერეოტიპების გავლენით. გენდერული სტერეოტიპია ქალისა და მამაკაცის მსგავსი ქცევის რადიკალურად განსხვავებული შეფასება და არათანაზომიერად გაკიცხვა. სტერეოტიპული შეხედულებები გამოიხატება ძირითადად ამგვარ შეფასებებში: მაგალითად, გენდერული სტერეოტიპების გავლენით, მამაკაცი მეუღლეს მიიჩნევს საკუთრებად, რაც გამოიხატება იმაში, რომ ქალს უფლება არ აქვს მეუღლის ნებართვის ან თანხმობის გარეშე გავიდეს სახლიდან, კონტაქტი დაამყაროს ნათესავებთან, ისარგებლოს ტელეფონით თუ სოციალური ქსელით, აირჩიოს მეგობრები, მიიღოს განათლება, დაეუფლოს გარკვეულ პროფესიას, დაიწყოს მუშაობა და ა.შ. ანუ, როდესაც ქალს წართმეული აქვს უფლება თავად მიიღოს გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც მის პირად ცხოვრებას ეხება. ასევე, განქორწინების შემდეგ, ყოფილი მეუღლის მიერ ხშირად ხორციელდება ქალის ქცევის კონტროლი; განქორწინებულ ცოლს მოეთხოვება დაკავდეს მხოლოდ ბავშვების მოვლით და აღზრდით და არ აქვს პირადი ცხოვრების თავისუფლად წარმართვის უფლება მისი ყოფილი ქმრის სახელის არშერცხვენის გამო, მის მიერ სექსუალური პარტნიორის ყოლა ითვლება „გზიდან აცდენად“, „აღვირაბსნილ ცხოვრებად“. სწორედ ამგვარი გენდერული სტერეოტიპებით განპირობებული ძალადობრივი ქცევა უნდა იქნეს მიჩნეული გენდერული ნიშნით შეუწყნარებლური მოტივით ჩადენილ დანაშაულად.

იმისთვის, რომ განისაზღვროს იყო თუ არა დანაშაული ფემიციდი, უნდა მოხდეს ქალთა მკვლელობებსა/თვითმკვლელობამდე მიყვანის შესახებ გამოტანილი თითოეული განაჩენის (სადაც მსხვერპლი ქალია) გაანალიზება და საქმის გარემოებების მიხედვით იმის განსაზღვრა, თუ რომელ შემთხვევაში არის დანაშაული ფემიციდი. როდესაც ხდება ქმრის ან ყოფილი ქმრის მიერ ცოლის ან ყოფილი ცოლის მკვლელობა დანაშაულის გარემოებები აჩვენებს, რომ საქმე სწორედ რომ ფემიციდთან გვაქვს.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ფემიციდის შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოები ან/და სასამართლო თავს არიდებენ, ან ვერ ახერხებენ, საქმის საგამომიებო და სასამართლო განხილვის ეტაპებზე, შესაძლო დისკრიმინაციული მოტივის გამოკვლევას ან მისთვის სათანადო შეფასების მიცემას. ზემოაღნიშნული აისახება სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებებში, რომლებშიც, ფაქტობრივად, არ არის განვითარებული მსჯელობა გენდერული მოტივის არსებობაზე. ფემიციდის საქმეებზე სასამართლოები, ძირითადად, შემოიფარგლებიან ყოფით მოტივებზე (ექვიანობა, შურისძიება) მითითებით, რაც, თავისთავად, არ გამორიცხავს/არ უნდა გამორიცხავდეს სხვა მოტივის არსებობასაც. განაჩენთა უმეტესობაში საერთოდ არ არის დაკონკრეტებული დანაშაულის ჩადენის მოტივი, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, საქმეში არსებული მასალებიდან და განაჩენში აღწერილი ინფორმაციიდან გამომდინარე, თავისუფლად იყო შესაძლებელი მოტივის დადგენა. ქალის მკვლელობის დანაშაულის გამოძიებისა და, შემდგომში, სასამართლო განხილვის ეტაპზე მოტივის, თითოეულ შემთხვევაში, სათანადო გამოკვლევა და ადეკვატური შეფასება ესაჭიროება გენდერული ხედვის და პრობლემატიკის გათვალისწინებით. დისკრიმინაციული მოტივის გამოსაკვეთად, პირველ რიგში, აუცილებელია მსხვერპლისა და დანაშაულებრივი ქმედებისადმი დამნაშავის დამოკიდებულების სათანადო კვლევა საგამომიებო და სასამართლო განხილვის ეტაპებზე. საჭიროა, ზედმიწევნით იყოს გამოკვლეული, ხომ არ ითამაშა მსხვერპლის მისამართით დისკრიმინაციული, სექსისტური, მესაკუთრული ან სტერეოტიპული დამოკიდებულების არსებობამ არსებითი როლი მართლსაწინააღმდეგო ქმედების პროვოცირებაში. ამ მხრივ, არ უნდა გამოირიცხოს ერთდროულად რამდენიმე მოტივის არსებობაც (მაგალითად, დანაშაულის ჩადენა გენდერული ნიშნით, რასაც თან ახლავს ექვიანობა მსხვერპლის მისამართით), რომელთაგან თითოეულს უნდა მიეცეს დამოუკიდებელი შეფასება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ასევე, ქალთა მიმართ ძალადობის, ოჯახში ძალადობის თავიდან აცილებისა და აღკვეთის შესახებ სტამბოლის კონვენციის თანახმად, ქალის მიმართ გენდერული ძალადობა არის ქალის დისკრიმინაციის ფორმა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ქალთა მკვლელობების საქმეებში სასამართლო და ბრალდების ორგანოები აღარ შემოიფარგლონ მხოლოდ შურისძიების, ექვიანობის ან სხვა ამგვარ მოტივებზე მითითებით და რეალურად გამოიკვლიონ, ყველაფერთან ერთად, ხომ არ სჩადიოდა ბრალდებული დანაშაულს დისკრიმინაციული მოტივით.

პრაქტიკაში იყო შემთხვევები, როდესაც დანაშაულების ფაქტობრივი გარემოებები, თითოეულ შემთხვევაში, გენდერული მოტივის არსებობაზე მეტყველებდა, რამაც ქალის მკვლელობა განაპირობა. დამნაშავე იჩენდა მსხვერპლის მიმართ დისკრიმინაციულ და მესაკუთრულ დამოკიდებულებას, აკონტროლებდა მის ქცევას და მოუწოდებდა გენდერული როლების მიმართ მკაცრი მორჩილებისკენ. მსხვერპლის დაუმორჩილებლობა და აღნიშნული მოთხოვნის შეუსრულებლობა, როგორც განაჩენების ანალიზი ცხადყოფს, გახდა დამნაშავის მიერ დანაშაულის ჩადენის მოტივი.<sup>13</sup>

კანონმდებელი სასამართლოს ავალდებულებს სასჯელის დანიშვნის დროს გაითვალისწინოს დანაშაულის მოტივი და მიზანი, ვინაიდან ამ შემთხვევაში ნათელი

<sup>13</sup> იხ. დეკანოსიძე თ., ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბ., 2016, გვ. 31.

ეფინება პიროვნების შინაგან სამყაროს, მის ღირებულებით ორიენტაციებს და ა.შ.<sup>14</sup> დანაშაულის მოტივთან მიმართებით მნიშვნელოვან რეგულირებას ადგენს ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმადაც, გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს იმ დანაშაულებრივი ქმედების აღწერას, რომელიც სასამართლომ დადგენილად ცნო. განაჩენში მითითებული უნდა იყოს მისი ჩადენის ადგილი, დრო და ხერხი, ბრალის ფორმა, დანაშაულის მოტივი, მიზანი და შედეგი. შესაბამისად, მოტივის დადგენა სისხლის სამართალწარმოების პროცესში მოსამართლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, რომლის შეუსრულებლობამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს თავად განაჩენის კანონიერება ან/და დასაბუთებულობა.

ზოგადად მოტივისა და მიზნის დადგენას ოთხი ფუნქცია აქვს: დანაშაულების ერთმანეთისგან გამიჯვნა; დანაშაულის კვალიფიციური შემადგენლობის შექმნა; სასჯელის დამძიმება; შემსუბუქება.<sup>15</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დანაშაულის გამოძიება უნდა მოხდეს „ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად“. პროკურატურა, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანო, ხელმძღვანელობს გამოძიების პროცესს და სასამართლო პროცესზე მას ეკისრება ტვირთი, რომ ამტკიცოს პირის ბრალეულობა. სისხლის სამართლის პროცესი წარმოებს შეჯიბრებითი მოდელის საფუძველზე. სასამართლო ვალდებულია, ბრალდებისა და დაცვის მხარეებს შეუქმნას თანაბარი შესაძლებლობები და არცერთ მათგანს არ მიანიჭოს უპირატესობა. აღნიშნულ მოდელში მოსამართლის მიმართ ნეიტრალურობისა და პასიურობის მოლოდინი მოქმედებს.

მხარეთა თანასწორობა და სამართალწარმოების შეჯიბრებითი ხასიათი უზრუნველყოფილია საქმისწარმოების ყველა სტადიაზე, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან სამართალწარმოების დასრულებამდე. სასამართლო გამოდის მედიატორის როლში, არ მონაწილეობს მტკიცებულებათა მოძიებაში, არ გააჩნია საკუთარი ინიციატივით მტკიცებულებათა გამოკვლევის უფლება, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფისათვის, შეუძლია მხარეებთან შეთანხმებით დასვას დამაზუსტებელი კითხვა.<sup>16</sup> შესაბამისად, დანაშაულის თაობაზე მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა არის ბრალდების მხარის ვალდებულება. სასამართლოს ეკრძალება ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სწორედ ბრალდების მხარეა ვალდებული, მიაწოდოს სასამართლოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია შესაძლო დანაშაულთან დაკავშირებულ გარემოებებზე. ეს თანაბრად ეხება, როგორც დანაშაულის მაკვალიფიცირებელ, ისე სასჯელის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს. მაგალითად, სწორედ ბრალდებამ უნდა წარუდგინოს სასამართლოს მტკიცებულებები ფემიციდის საქმეში არსებული დისკრიმინაციული მოტივის თაობაზე და დაანახოს

<sup>14</sup> იხ. დვალიძე ი., მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008, გვ. 132.

<sup>15</sup> იქვე. გვ. 264.

<sup>16</sup> იხ. ფაფიაშვილი ლ., თუმანიშვილი გ., ლიპარტელიანი ლ., და სხვ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომც.: „მერიდიანი“, თბ., 2015, გვ. 85.

სასამართლოს დანაშაულში გენდერის ნიშნის არსებობა. გამოძიებას სათანადო გეზს აძლევს კონფლიქტის ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაცია. მისი გამოკვლევის შედეგად ვლინდება დამნაშავის მოტივი, დანაშაულის ჩადენის გარემოებები.<sup>17</sup> ბრალდების მხარე ვალდებულია, მოიპოვოს და სასამართლოში წარადგინოს ყველა ის მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს დანაშაულის გენდერულ ნიშანზე და სქესის ნიშნით დისკრიმინაციაზე. თუ საგამოძიებო ორგანო, დანაშაულში გენდერის ნიშნის არსებობის შემთხვევაში, არ წარადგენს სასამართლოში შესაბამის მტკიცებულებებს და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, ირღვევა დანაშაულის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოძიების ვალდებულება. სასამართლო ვალდებულია, სათანადო შეფასება მისცეს მის წინაშე წარმოდგენილ მტკიცებულებებს და დაუმძიმოს დამნაშავეს სასჯელი გენდერული დანაშაულის ჩადენის გამო. თუმცა, მეორე მხრივ, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას, დანაშაულის გენდერული ნიშნით ჩადენის თაობაზე პროკურორის მიერ მტკიცებულებების წარმოდგენლობის შემთხვევაში, თავად გამოიკვლიოს დანაშაულის მოტივი და განიხილოს დანაშაულში არსებული შესაძლო დისკრიმინაციული ნიშნები. რაც შეეხება დანაშაულის კვალიფიკაციას, მოსამართლე არ არის უფლებამოსილი, გადააკვალიფიციროს დანაშაული უფრო მძიმე დანაშაულზე, ვიდრე ბრალდების მხარის მიერ არის წარდგენილი. სასამართლოს განაჩენი, გარდა კანონიერისა, უნდა იყოს დასაბუთებული და სამართლიანი. განაჩენი უნდა ემყარებოდეს სასამართლო პროცესზე გამოკვლეულ ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებებს და განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. **განაჩენი უნდა იყოს სამართლიანი, ანუ სასჯელი უნდა შეესაბამებოდეს მსჯავრდებულის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს.** ამდენად, ფემიციდის საქმეებზე, როგორც ბრალდების ორგანოებს, ისე სასამართლოს, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, მნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა აკისრიათ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისა და სამართლიანი პროცესის უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

ბრალდების და სასამართლო ორგანოების მიერ, მათი უფლებამოსილების ფარგლებში, გენდერის ნიშნით ჩადენილი მკვლელობების/თვითმკვლელობამდე მიყვანის სათანადო შეფასების გარეშე დატოვება ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს, არყვეს ძალადობის მსხვერპლი ქალების და მათი ოჯახების ნდობას სამართალდამცავი ორგანოებისა და მართლმსაჯულების სისტემის მიმართ და ინარჩუნებს საზოგადოებაში არსებულ გენდერულ დისკრიმინაციასა და სუბორდინაციას.<sup>18</sup>

ფემიციდის ეფექტური გამოძიება, დასჯა და მართლმსაჯულების პროცესში გენდერული ხედვის გათვალისწინება მნიშვნელოვანია გენდერის ნიშნით ჩადენილი ქალთა სიცოცხლის მოსპობის სიმწვავისა და მასშტაბის აღიარების, სამართლიანობის აღდგენის, ფემიციდის განმეორების თავიდან აცილებისა და ქალთა ტრანსფორმაციული თანასწორობის მისაღწევად.

## სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

<sup>17</sup> იხ. გაბრიჩიძე ნ., საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი მკვლელობის გამოძიების მეთოდოლოგია, გამოც.: „ინტელექტი“, თბ., 2005, გვ. 98.

<sup>18</sup> იხ. დეკანოსიძე თ., ფემიციდის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბ., 2016, გვ. 28.

მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან. 2016 წლის 27 სექტემბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის თანახმად,<sup>19</sup> ზ.კ-ს ბრალად ედებოდა ოჯახის წევრის თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა მსხვერპლისადმი სასტიკი მოპყრობითა და მისი პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირებით, რაც გამოიხატა შემდეგში: ზ.კ, მ.ნ-ს, რომელთანაც მუდმივად ერთან საოჯახო მეურნეობას ეწეოდა, სისტემატურად ამცირებდა, არ აძლევდა მუშაობის უფლებას, აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას. კერძოდ, ურტყამდა სახის და სხეულის არეში, რის გამოც მ.ნ განიცდიდა ფიზიკურ ტკივილს. სისტემატური დამცირებით და ძალადობით შეურაცხყოფილი მ.ნ თვითმკვლელობის მიზნით, მეტეხის ხიდიდან გადახტა მტკვარში, თუმცა დროულად მოხერხდა მისი ამოყვანა და გაწეული სამედიცინო დახმარების შედეგად გადაურჩა სიკვდილს.

სასჯელის დანიშვნისას სასამართლომ გაითვალისწინა, რომ ზ.კ აღიარებდა და ინანიებდა ჩადენილ ქმედებას, იყო ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, ჰყავდა მცირეწლოვანი შვილი, რომელსაც ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა ჰქონდა, რაც დასტურდებოდა სასამართლოსთვის წარდგენილი დოკუმენტებით. ამასთან, ზ.კ-ს არ გააჩნდა პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ ზ.კ-ს სასჯელის სახით განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რაც საქართველოს 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაუთვალა პირობით 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

აღნიშნულ განაჩენში არ არის მითითება დანაშაულის მოტივზე, თუმცა საქმის ფაქტობრივი გარემოებების აღწერით შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა გენდერული ნიშნით მოტივირებულ დანაშაულს, მაშინ როდესაც მეუღლე არ აძლევს მის ცოლს მუშაობის უფლებას, შეიძლება გამოიკვეთოს ქალი, როგორც დაქვემდებარებული პირი. მოცემულ საქმეში აშკარად იკვეთება მოტივი, რომელის შემდეგში გამოიხატება: ზ.კ მისი მეუღლეს მ.ნ-ს დაქვემდებარებულ ობიექტად აღიქვამს, რომელიც უნდა ემორჩილებოდეს მას, არ ქონდეს სამსახური, იმიტომ, რომ ზ.კ-ს ესე სურს, ხოლო ამ უკანასკნელს თავი დომინანტ, უპირატესობის მქონე სუბიექტად მიაჩნდა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მხარე ვალდებული იყო გამოეყვინა გენდერული ნიშნით მოტივი და ემტკიცებინა ის სასამართლოზე.

კვალიფიკაციის პრობლემა გამოვლინდა მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში. მოძალადის მიერ მეუღლის მკვლელობა პროკურატურამ დააკვალიფიცირა სსკ-ის 111-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა, უცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობა ში) მტკიცებულებების ანალიზიდან ვლინდება, რომ მას შემდეგ, რაც მოძალადემ გაიგო მეუღლის ღალატის შესახებ, მივიდა სახლში და მსხვერპლი დანით მოკლა. საქმეში არ იკვეთება აფექტის იურიდიული მხარე, კერძოდ, აფექტის შესაფასებლად სამედიცინო ელემენტებთან ერთად აუცილებელია იურიდიული ელემენტების უპირობო არსებობა. მტკიცებულებების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ ბრალდებულმა მკვლელობის დღეს პირველად გაიგო მეუღლის ღალატის შესახებ. ინფორმაციის მიღებიდან გარკვეული პერიოდის შემდგომ მივიდა სახლში და მსხვერპლი მოკლა (განზრახვა სისრულეში მოიყვანა). შესაბამისად, მოძალადის ქმედება და ემოცია არ

<sup>19</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, 2016 წლის 27 სექტემბერი, საქმის ნომერი დაშტრიხულია.



იყო უეცრად აღძრული. მოძალადის ქმედებას აკლია იურიდიული ელემენტები, რომელიც სამედიცინო ელემენტებთან ერთად აფექტის შემადგენლობას მოგვცემდა.

აღნიშნული საქმე საკმაოდ სახიფათო პრეცედენტია, რომელიც სტიმულს აძლევს მოძალადეებს ეჭვიანობის ნიადაგზე შურისძიების მოტივით ჩაიდინონ მეუღლის (ქალის) მკვლელობა და მათი დანაშაულებრივი ქმედება მსხვერპლის ამორალური ქცევით განპირობებულ აფექტში ჩადენილ დანაშაულად წარმოაჩინონ, რომლისთვისაც სანქციას წარმოადგენს – შინაპატიმრობა ვადით ექვსი თვიდან ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ერთიდან სამ წლამდე. საქმეს ბუნდოვანებას მატებს ისიც, რომ განაჩენი დაუსაბუთებელია.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ფემიციდი არის ქალის წინააღმდეგ ჩადენილი ყველაზე საშიში დანაშაული, რომელიც დისკრიმინაციული ხასიათისაა. იგი მთელს მსოფლიოში გახლავთ გავრცელებული. გენდერული თანასწორობის მიღწევა ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევაა თანამედროვე საზოგადოებაში.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ერთი კონკრეტული მიზეზი არ არსებობს, რაც ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით მკვლელობას იწვევს. ამის მიუხედავად პატრიარქალური შეხედულებები ერთ-ერთ მოწინავე მიზეზთა შორის უნდა მოვიანოთ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დადებითი პოზიცია გამოვხატოთ, იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო ცდილობს დახვეწოს კანონმდებლობა, რიგი ცვლილებები სულ ცოტა ხნის წინ შევიდა. ამავდროულად, უნდა გამოვანაშკაროთ ყველა ის პრობლემა რომელიც ჯერ კიდევ არსებობს. ამასთანავე, მინდა იმედი გამოვთქვა, რომ თითოეულ ნორმას, რომელიც ესოდენ მნიშვნელოვანია ქალთა ძალადობასთან ბრძოლის კუთხით ექნება რეალური, ჯეროვანი აღსრულება.

განხორციელდეს ძალადობის წინარე ისტორიის მასალების მოძიება და მხედველობაში მიღება, ასევე, დისკრიმინაციული მოტივის დასადგენად სათანადო მტკიცებულებების მოძიება

- სასამართლო ეტაპზე, ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის საქმეებში გამოიყოს გენდერული მოტივი. მნიშვნელოვანია, სასამართლომ განავითაროს მსჯელობა გენდერულ მოტივთან დაკავშირებით და არ შემოიფარგლოს მხოლოდ მუხლის მითითებით
- იმ საქმეებში, სადაც იკვეთება გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაული, დამამძიმებელ გარემოებად მიეთითოს დანაშაულის ჩადენა გენდერული დისკრიმინაციის ნიშნით.
- განხორციელდეს ფემიციდის და ფემიციდის მცდელობის საქმეთა იდენტიფიცირების მეთოდის შემუშავება და ზუსტი სტატისტიკის წარმოება.

## თსუ იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი

### ზურაბ ქარჩავა

#### შესავალი

ადევნება გახლავთ ძალადობის გამომხატველი ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დანაშაულად ითვლება, მხოლოდ 2017 წლის 4 მაისის კანონით. ქართული კანონმდებლობა ამ დრომდე ადევნებას არ აღიქვამდა, როგორც სისხლისამართლებრივ კანონდარღვევად და ამ მხრივ ქართულ სისხლის სამართლის კოდექსში მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს.

ადევნებას არ ააქვს ერთი კონკრეტული დეფინიცია, რომლითაც შესაძლებელია კანონმდებელმა იხელმძღვანელოს. იგი წარმოიშვა ინგლისურენოვანი სიტყვიდან და გახლავთ კონტინენტურ-ევროპული წარმონაქმნი.<sup>1</sup> პირდაპირი მნიშვნელობით ადევნება გამოიყენებოდა მონადირეთა სივრცეში სადაც მისი მნიშვნელობა გამოიყენებოდა, როგორც ჩასაფრება<sup>2</sup>. ხოლო გარკვეული პერიოდის შემდგომ, როდესაც ცნობილი პირების მიმართ ხდებოდა სისტემური თვალთვალი, ადევნების მნიშვნელობამ სულ სხვა დატვირთვა მიიღო და შეიძინა სამართლებრივი დატვირთვა.

ყველაზე მისაღები და აქტუალური განმარტება ადევნების გახლავთ: განმეორებადი დევნა და შევიწროება, რომელიც საფრთხეს უქმნის კონკრეტულ პიროვნებას<sup>3</sup>. იქიდან გამომდინარე, რომ ადევნებას არ ააქვს კონკრეტული განმარტება იგი უნდა განვიხილოთ როგორც ერთ-ერთი სერიოზული სოციალური პრობლემა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა ვერ მოხერხდება სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის გარეშე.

როგორც უკვე ავლინებდნენ დროის ცვლილებასთან ერთად მოიმატა მისმა საშიშროებამ და შესაბამისად მისი საფრთხის როლი ბევრ ქვეყანაში გახდა საგანგაშო. კვლევების მიხედვით ძირითადად მოცემული დანაშაულის მსხვერპლი არის ქალი, ამერიკის შეერთებულ შტატებში მოკლულ ქალთაგან 30%-50%-მდე მოკლულია ყოფილი ან მოქმედი პარტნიორის მიერ. მოცემული სტატისტიკა ასევე ირკვევა, რომ ძირითადად 75% მდე მოძალადე დევნიდა დაზარალებულს. შესაბამისად ადევნება არ უნდა განვიხილოთ, როგორც მხოლოდ და მხოლოდ მუქარის შემცველი მოქმედება, ის შესაძლებელია იყოს მკვლელობის წინაპირობა.<sup>4</sup> ადევნებას, ისევე როგორც სხვა სახის შევიწროებას, როგორც ავლინებდნენ ძირითადად ქალები განიცდიან, რასაც კულტურული, რელიგიური, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები განაპირობებს. სამწუხაროდ, საზოგადოება ჯერ კიდევ მიიჩნევს, რომ მამაკაცი დომინანტია და ქალი ვალდებულია მას დაემორჩილოს, მამაკაცს აქვს უფლება

<sup>1</sup> გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ჟურნალი. ადევნება, როგორც სისხლისამართლებრივი შემადგენლობა. ბაჩანა ჯიშკარიანი LL.M. (მიუნხენი) გვ.45

<sup>2</sup> Spohn, Viola, Zehn Jahre Anti-Stalking-Gesetz, 2017, 24.

<sup>3</sup> Meloy J.R., Stalking An old behavior, a new crime, Forensic Psychiatry, volume 22, number 1 1999, 85

<sup>4</sup> სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, ადევნების დასჯადობის ლეგიტიმაცია, ნათია მერებაშვილი, გვ.66 თბილისი 2017.

აკონტროლოს ქალის ცხოვრება და ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. შესაბამისად, ასეთი დამოკიდებულებები ხელს უშლის ზოგადად ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის სათანადოდ აღქმას.

ძალიან ბევრმა სახლემწიფომ მხარი დაუჭირა ადევნების კრიმინალიზაციას, მათ შორის საქართველოც შეურთდა 2017 წელს, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ქვეყანა ჯერ კიდევ არ იცნობს ადევნებას როგორც, სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას.

### მოკლე ისტორიული ექსკურსი

თავად ტერმინი ადევნება ინგლისური სიტყვა „სტალკინგი“ მოდის, რაც სიტყვა სიტყვითი მნიშვნელობით ნიშნავს „მიპარებას, უკან გაყოლას. როგორც ზემოთ ავღნიშნე 80-იანი წლებიდან უკვე თავად ტერმინი „სტალკინგი“ გარკვეული პიროვნებების მიერ კონკრეტული ადამიანის თვალთვალს და მხოლოდ შემდგომ იქმნა აღქმული ადევნება როგორც ძალადობასთან დაკავშირებული ერთ-ერთი ფორმა,

ადევნების სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი გახლდათ 90-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში ხუთი კვირის კანმავლობაში 4 ქალის მკვლელობა, რომლებიც მოკლულ იქნენ თავიანთი მეუღლეების მიერ.<sup>5</sup> ასევე ამ დანაშაულის აქტუალური აქტუალურობა გამოიწვია ცნობილი ამერიკელი მსახიობის რებეკა შაფერის მკვლელობამ, მისი ერთ-ერთი ფანის მიერ ჯერ ადევნება, ხოლო შემდგომ მკვლელობა. ამ ქმედების შემდგომ ადევნება უკვე ამერიკის შეერთებულ შტატებში განიხილებოდა, როგორც სერიოზული გამოძახილი და გახდა სოციალური პრობლემა. უკვე მედიისა და საზოგადოების მხრიდან ერხმად დაიწყო იმაზე საუბარი, რომ არსებულიყო კანონები, რომლებიც მოახდენდნენ ამ სახის დანაშაულის აღკვეთას.<sup>6</sup> პირველი კანონი, რომელიც იქნა მიღებული ადევნებასთან დაკავშირებით გახლავთ კალიფორნიის შტატში, 1991 წლის 1 იანვარს.<sup>7</sup>

უკვე მიღებული პირველი კანონიდან და აქ უკვე არსებული პრაქტიკიდან სხვა ქვეყნებმაც მიბაძეს კალიფორნიას და უკვე დააცლოებით სამი წლის შემდგომ აბსოლუტურად ყველა შტატს ქონდა მიღებული ადევნების საწინააღმდეგო კანონი. დაახლოებით 10 წლის შემდგომ უკვე ავსტრალიასა და კანადაშიც მიღებული იქნა სპეციუალური რეგულაციები ადევნებასთან დაკავშირებით.<sup>8</sup>

პერიოდულად იზრდებოდა ამ დანაშაულის ცნება და უფრო და უფრო გლობალურ სახეს იღებდა, თუმცა ევროპის ძალიან ბევრ ქვეყანაში ამ დანაშაულის რეგულაცია ვერ

<sup>5</sup> Issa, Ammer, Der Straftaftbestand der Nachstellung (§238 StGB) und die Strafbarkeit von Stalking nach US-amerikanischem Recht am Beispiel Kaliforniens, 2015, 121.

<sup>6</sup> სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები, ადევნების დასჯადობის ლეგიტიმაცია, ნათია მერებაშვილი, გვ.67 თბილისი 2017.

<sup>7</sup> Mullen, P.E. Pathe M., Stalking, Crime and Justice, Vol. 29 (2002) 273,274

<sup>8</sup> Aa. S. van der. New Trends in the Criminalization of Stalking in the EU Member States, Our j Crim Policy Res DOI 10. 1007/s10610-017-9359-9, 2017, 1,2

მოხერხდა დიდი ხნის განმავლობაში. ნაციონალური კანონმდებლობა ძალიან ბევრ წინააღმდეგობას აწყდებოდა. ძალიან ბევრი ქვეყანა არ მიიჩნევდა ადევნების პრობლემას, რადგან მათში არ იყო ეს დანაშაული აღქმული, როგორც სოციალური პრობლემა. 2007 წლამდე მხოლოდ და მხოლოდ 8 წევრ ქვეყანას ჰქონდა მიღებული შიდა კანონმდებლობაში ადევნების მარეგულირებელი ნორმები.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ძალიან ბევრმა ევროკავშირის ქვეყნებმა ხელი მოაწერეს კონვენციას „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ საქართველოს ან კონვენციას შეერთდა 2017 წელს თუმცა იქამდე სანამ მოხდებოდა ამ კონვენციის აღიარება დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა ნეგატიური დამოკიდებულება და იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას.

### ადევნება საერთაშორისო კონვენციის მიხედვით

ევროპის საბჭოს კონვენცია მოიცავს გენდერული ძალადობის სხვადასხვა ფორმას, რომელიც განისაზღვრება, როგორც „ქალის წინააღმდეგ მიმართული ძალადობა იმის გამო, რომ ქალია, ან რომელიც არათანაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალზე. სტამბოლის კონვენცია აღიარებს და პირველად გვთავაზობს ღონისძიებათა ერთობლიობას ადევნების წინააღმდეგ მსხვერპლის მხარდასაჭერად. კონვენციის ძალაში შესვლა და მისი ეროვნულ დონეზე განხორციელება დიდ შვებას მოუტანს ადევნების მსხვერპლთ.

კონვენცია ნათლად განმარტავს, რომ ადევნება არის ქალის მიმართ ძალადობის ფორმა. იმისდა მიუხედავად, რომ ევროპის საბჭოს მონაცემები ამ საკითხთან დაკავშირებით არის განსხვავებული საბოლოო ჯამში ადევნების მსხვერპლი ძირითადად ქალია, დამნაშავე კი - მამაკაცი. ხშირად ქალებზე ადევნება ხდება მას შემდეგ, რაც ისინი ურთიერთობას ასრულებენ მამაკაცთან. ამ ტიპის ძალადობა ცალსახად გენდერზეა დაფუძნებული, რადგან უკავშირდება დომინანტობისა და კონტროლის სურვილს. არცთუ იშვიათად ქალებზე ადევნება ხდება იმ მამაკაცების მხრიდანაც, რომლებთანაც მათ არასდროს ჰქონიათ ურთიერთობა, მაგრამ, როგორც წესი, მოძალადე არ არის უცხო პირი, მას ქალი საიდანღაც იცნობს.<sup>9</sup>

ეროვნული კანონმდებლობის მიერ უნდა იქნეს გათვალისწინებული ადევნებასთან გამკლავების მექანიზმები. კონვენცია ითხოვს სახელმწიფოებისგან სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრას ადევნებისათვის, რაც იმის მაუწყებელია, რომ თუ რომელიმე ქვეყანას აქვს რატიფიცირებული კონვენცია იგი ხდება ვალდებული მოახდინოს ადევნების კრიმინალიზაცია. იგი განისაზღვრება, როგორც „მეორე პირის მიმართ მრავალჯერადი მუქარის შემცველი ქცევით გამოხატული წინასწარგანზრახული ქცევა,

<sup>9</sup> Boon J., Sheriden, L., Stalking and Psychosexual Obsession, 2002.8

რომელიც მასში საფრთხის შიშს იწვევს“.<sup>10</sup> მოლაპარაკებებისას ზოგიერთმა წევრმა ქვეყანამ დაიტოვა უფლება, ადევენებისთვის ითვალისწინებდეს არასისხლისსამართლებრივ სანქციებს, სისხლისსამართლებრივის ნაცვლად, თუმცა მას აღიარებდეს დანაშაულად. სწორედ ამიტომ, შესაძლებელია დათქმა ამ დებულებასთან დაკავშირებით (78-ე მუხლის მე-3 პუნქტი). ი კონვენციის ავტორებმა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს, რომ ყველა დებულება ჩამოეყალიბებინათ გენდერის თვალსაზრისით ნეიტრალურ ენაზე, რის გამოც ადევენების განსაზღვრება მოიცავს ორივე სქესის აღმნიშვნელ კუთვნილებით ნაცვალსახელს. ეს ნიშნავს, რომ კონვენციის ყველა დებულება, არსებითად, ქალებსაც შეეხება და მამაკაცებსაც, რაც თანხვედრა უმეტესი წევრი ქვეყნების სისხლისსამართლებრივ კანონმდებლობას.

სისხლისსამართლებრივი დანაშაულები, ჩვეულებრივ, შემუშავებულია გენდერის თვალსაზრისით ნეიტრალურ ენაზე და შეეხება როგორც მამაკაცებს, ისე ქალებს. ადევენების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საშუალებს აძლევს სასამართლოებს შეისწავლონ ეს საკითხი. ისეთი ფორმები როგორცაა ვინმესთან დაუპატიჟებლად მისვლა ან სმის გაგზავნა ან სამსახურში გამოცხადება შესაძლებელია სულაც არ იყოს სახეზე ადევენების საფუძველი. მნიშვნელოვანი ფაქტორი რასაც ყურადღება უნდა მიექცეს გახლავთ შიში, ანუ მსხვერპლი უნდა გრძნობდეს შიშს, რომელიც მოდის კონკრეტული პიროვნებისგან, აქ სისხლისსამართლებრივი დანაშაულის მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია დამნაშავის განზრახვა. ისეთი აღიარებული სისხლისსამართლებრივი დანაშაულები, როგორცაა იძულება ან პირად ცხოვრებასა თუ საკუთრების უფლებაში ჩარევა, სრულად არ მოიცავს ადევენების დანაშაულის შემადგენელ ელემენტებს. ამ ხარვეზის შესავსებად, ადევენების კრიმინალიზაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

ახალი დანაშაულის დადგენა და მის მიმართ წარმატებული დევნა მეტწილად დამოკიდებულია განხორციელების მექანიზმებზე. ამიტომ კონვენცია მოიცავს დებულებებს, რომლებიც ხელს უწყობს გამოძიებასა და სამართალწარმოებას. მიზანი არის მსხვერპლის უფლებების გათვალისწინება სისხლის სამართლის საქმისწარმოების ყველა სტადიაზე, მისი უსაფრთხოების, უფრო ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის უზრუნველსაყოფად.

### **ადევნება ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით**

ადევნება ქართულ სისხლის სამართალში სწორედ სტამბულის კონვენციის გავლენით გაჩნდა. ქალთა მიმართ ძალადობა არის მამაკაცსა და ქალს შორის ძალთა უთანასწორო

---

<sup>10</sup> Krupna, Karsten, in Dölling, Dieter/Duttge, Gunnar/König, Stefan/Rössner, Dieter, *Gesamtes Strafrecht*, 4. Aufl., 2017, §238, Rn. 1

გამოვლენა. კომპენციიდან ნათლად ვხედავთ, რომ აქცენტი მაინც კეთდება ძირითადად ქალებზე, ხოლო ქართული კანონმდებლობის მიხედვით მსგავსი გამიჯვნა არ მომხდარა და ეს დანაშაული ვრცელდება, როგორც ქალებზე ასევე მამაკაცებზე.

სისხლის სამართლის კოდექსს 2017 წელს დაემატა მუხლი ადევნება. რაც მოიცავს შემდეგს: პირადად ან მესამე პირის მეშვეობით პირის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალი, ან არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტრონული ან სხვა საშუალებით, ან ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედება, რომელიც სისტემურად ხორციელდება და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას ან/და პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიან შიშს, რაც პირს ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს ან მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საფრთხეს უქმნის.

ამ დანაშაულის მიხედვით არ გვაქვს სახეზე კონკრეტული სამართლებრივი სიკეთე, თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნორმა იცავს ადამიანის კონკრეტულ ინდივიდუალურ სფეროს.<sup>11</sup> მის თავისუფლებას და გადაწყვეტილების მიღების თავისუფლების შესაძლებლობას, აქვე უნდა დავამატოთ მისი შინაგანი სიმშვიდის უფლება, რადგან ვიცით რომ ადევნების დროს ადამიანის ადგება პირველ რიგში ფსიქოლოგიური ტრავმა.<sup>12</sup>

ამ დანაშაულის ამსრულებელი გახლავთ ნებისმიერი სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი. ამ დანაშაულს აქვს ასევე დამამძიმებელი გარემოება ქმედება ჩადენილი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, ასეთ შემთხვევაში დანაშაული დაკვალიფიცირდება ამ მუხლის მეორე ნაწილით, ხოლო დამატებით კვალიფიკაციას არ საჭიროებს.

ობიექტური მხარე გამოხატება ქმედებაში. კერძოდ გვაქვს რამოდენიმე ალტერნატიული ქმედება, რომელიც განხორციელებული უნდა იყოს სისტემატირულად. რამდენჯერ უნდა განხორციელდეს არასასურველი კომუნიკაცია მსხვერპლთან, ეს არსად არ არის გაწერილი და ჩარევის ინტენსივობიდან გამომდინარე, თვითონ სასამართლომ უნდა შეაფასოს თითოეულ შემთხვევაში. შესაბამისად სახეზე გვაქვს ერთიანი დანაშაული სხვადასხვა ქმედებებით.

რადგანაც სახეზე გვაქვს რამოდენიმე ალტერნატიული ქმედება განვიხილოთ თითოეული მათგანი:

დაზარალებულის ან მისი ოჯახის წევრის ან დაზარალებულის ახლო ნათესავის უკანონო თვალთვალი. ამ შემთხვევაში პირი ახორციელებს სისტემურ თვალთვალს პოტენციურ მსხვერპლზე, რათა მისთვის გახდეს ცნობილი მსხვერპლისდ ადგილმდებარეობა და ყოველდღიური ქმედება. არ აქვს მნიშვნელობა თუ რა საშუალებით იქნება ეს ფეხით თუ ტრანპორტით ასევე არ აქვს მნიშვნელობა თუ სად განხორციელდება უკანონო თვალთვალი. კვლევების მიხედვით მუდმივი თვალთვალი და გაყოლა არის ყველაზე გავრცელებული სახე ადევნების.

<sup>11</sup> Fischer, Thomas, Strafgesetzbuch mit Nebengesetzen, 64. Aufl., 2017, §238 Rn. 2.

<sup>12</sup> Mitsch, Wolfgang, Neue Juristische Wochenschrift (NJW) 2007, 1227, 1238.

თუმცა ბოლო პერიოდში ელექტორნული ტექნიკის განვითარებამ კიდევ ერთი გავრცელებული სახე მიიღო და რადიკალურად შეცვალა ადევნების მეთოდი. მეორე ალტერნატიული ქმედება გახლავთ არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ტელეფონის, ელექტორნული ან სხვა საშუალებით.<sup>13</sup> არასასურველ კომუნიკაციაში უნდა ვიგულისხმოთ შემთხვევა, როდესაც პირი სისტემატიურად ტელეფონის ან ინტერნეტის საშუალებით შეურაცყოფას აყენებს დაზარალებულს და ამით იწვევს შიშს მასში, ან გაუვრცელებს ინფორმაციას სოციალური ქსელის საშუალებით.<sup>14</sup> არ ააქვს მნიშვნელობა დამნაშავე აპირებდა თუ არა ქმედების განხორციელებას. კომუნიკაცია იმ შემთხვევაში ითვლება არასასურველად თუ მსხვერპლს არ ააქვს სურვილი დაამყაროს რაიმე სახის კონტაქტი დამნაშავესთან ან მასში იწვევს ნეგატიურ დამოკიდებულას მასთან საუბარი და თავიდანვე აქვს შიშის შეგრძნება.

ასევე კიდევ ერთი ალტერნატიული ქმედება გახლავთ ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედება. ამ ქმედების შემოღებით კანონმდებელმა მიანიჭა უფლება სასამართლოს თავად განსაზღვროს მისი არსი.<sup>15</sup> მოცემული ქმედებაში უნდა ვივარაუდოთ პიროვნება რომელსაც ხშირი კონტაქტი აქვს მსხვერპლთან ან მის შვილთან და ამ კონტაქტებით გაარკვიოს თუ ვისთან ააქვს ურთიერობა მსხვერპლს, მისი ადგილსამყოფელი და ა.შ.

ამ დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის საკმარისია ერთ-ერთი შედეგის დადგომა, როგორც უკვე ავლინებთ სახეზეა დანაშაული ალტერნატიული ქმედებებით და ასევე ალტერნატიული შედეგებით.

სახეზე შესაძლებელია გვქონდეს რამოდენიმე სახის შედეგი:

1. პირის ფსიქიკური ტანჯვა. მიადგა თუ არა პიროვნებას ფსიქიკური ტანჯვა ეს გახლავთ ექსპერტიზის გადასაწყვეტი.
2. პირის ან მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის მიმართ ძალადობის გამოყენების ან/და ქონების განადგურების საფუძვლიანი შიში. ძალადობის გამოყენების შიში მოიცავს ყველანაირ შიშს, როგორც ფიზიკურად გასწორების, სქესობრივი დანაშაულის თუ მკვლელობის შიშს
3. პირს ცოხვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლას აიძულებს. ეს შემთხვევა უნდა გავიგოთ ისე, რომ პირი არ აძლევს დაზარალებულს საშუალებას ნორმალურად იცხოვროს. დაზარალებულს ააქვს გარეთ გასვლის შიში, ან იძულებულია შეცვალოს ტელეფონის ნომერი, გამოცვალოს სამუშაო ადგილი.<sup>16</sup>
4. ან უმქნის მისი მნიშვნელოვნად შეცვლის რეალურ საჭიროებას. იგი იმდენად ხშირად და სისტემატიურად ახორციელებს მასზე ზეცოლას, რომ დაზარალებული თვლის ცხოვრების მნიშვნელოვნად შეცვლის საჭიროებას.

<sup>13</sup> სისხლის სამართლის აქტუალური საკითები, ადევნების დასჯადობის ლეგიტიმაცია, ნათია მერებაშვილი, გვ.72 თბილისი 2017.

<sup>14</sup> Tribal Legal Code Resource: Sexual Assault and Stalking laws. Guide for drafting or revising Victim-Centered Tribal Laws against sexual assault and stalking 2012. 91

<sup>15</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი ( მე-2 წიგნი) ავტორთა კოლექტივი

<sup>16</sup> Meloy J.R., Stalking An old behavior, a new crime, Forensic Psychiatry, volume 22, number 1 1999, 90

მოცემული დანაშაული უნდა გავმიჯნოთ იძულებისა და მუქარისგან. თავდაპირველად გავმიჯნოთ იგი იძულებისგან :

1. იძულების შემთხვევაში პირი იყენებს ფიზიკური ან ფსიქიკური ზეცოლვის ხერხს იმ მიზნით, რომ დაზარალებული აიძულოს რაიმე ქმედების შესრულებისაკენ, ან თავი შეიკავოს ამ ქმედებისაგან. ხოლო ადევნებისას აუცილებელი არაა, რომ პირს ჰქონდეს ეს განზრახვა.<sup>17</sup>
2. ადევნება როგორც ავლნიშნით სისტემური ხასიათისაა, ხოლო იძულება ერთჯერადი
3. იზულებისას არ არის აუცილებელი მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა

მუქარისგან გავმიჯნავთ შემდეგი ნიშნებით:

1. იგი ძირითადად დაკავშირებული პირის ფსიქიკურ ზემოქმედებაზე, რაც გამოხატება ჯანმრთელობის დაზიანებაში, ქონების განადგურებაში, სიცოცხლის მოსპობაში.<sup>18</sup>
2. ადევნება სისტემური ხასიათისაა, ხოლო მუქარა ერთჯერადი
3. მუქარას ყოველთვის ააქვს ერთი შედეგი, ხოლო ადევნებას რამოდენიმე შედეგიდგან შესაძლებელია დადგეს რომელიმე.<sup>19</sup>

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი რაზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება გახლავთ გამიჯვნა ქორწინების იძულებისაგან:

1. ადევნების შემთხვევაში დაკონკრეტებულია დანაშაულის ობიექტური მხარის ნიშნები, ხოლო ქორწინების იძულების ობიექტური მხარე კი გამოიხატება პირი ქორწინების იძულებაში რისი გამოვლენის ფორმა არაა დაკონკრეტებული.
2. როდესაც ვსაუბრობთ ადევნებაზე ობიექტური მხარე გულისხმობს ალტერნატიული ქმედების სისტემურ განხორციელებას, ხოლო ქორწინების იძულების ობიექტური მხარე აუცილებლად არ გულისხმობს სისტემატურად განხორციელებას.
3. ქორწინების იძულება დამთავრებული გახლავთ განხორციელების მომენტიდან, და მნიშვნელობა არ ააქვს მოყვება თუ არა რაიმე სახის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ხოლო ადევნების დროს აუცილებელია ალტერნატიული ქმედებებიდან გამოიწვიოს რომელიმე შედეგი.
4. ქორწინების იძულების დროს მიზანი გახლავთ დაქორწინება, ხოლო ადევნების დროს ეს მიზანი არ გახლავთ.

სუბიექტური მხრივ დანაშაულის მოტივსა და მიზანს არ ააქვს არსებითი მნიშვნელობა.

ბრალის ფორმის მიხედვით კი სახეზეა განზრახი დანაშაული.(პირდაპირი და არაპირდაპირი)

რაც შეეხება ამ მუხლის დამამძიმებელ გარემოებას ესენი გახლავთ :

<sup>17</sup> სისხლის სამართლის კერძო ნაწილი ( მე-2 წიგნი) ავტორთა კოლექტივი გვ.367

<sup>18</sup> იქვე 368

<sup>19</sup> Lackner, Karl /Kühl, Kristian, StGB Kommentar, 29. Aufl., 2018, §238 Rn. 12.



1. დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან ორსული ქალის მიმართ.
2. ჯგუფურად
3. არაერთგზის
4. სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით

როგორც უკვე ზემოთ ავლნიშნე სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენების დროს სუბიექტი არის როგორც კერძო ისე საჯარო მოხელე. პიროვნება რომელიც ტავის სამსახურეობრივ მდგომარეობას იყენებს ბოროტად და სჩადის ამ დანაშაულს.

### სასამართლო პრაქტიკა

ამ დანაშაულის კრიმინალიზაციის შემდგომ უკვე ამოქმედდა სასამართლო პრაქტიკა. დაახლოებით 35 მდე სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება. სახეზე გვაქვს როგორც გამამართლებელი ასევე გამამტყენებელი განაჩენი, წარმოდგინდნენ ერთ საქმეს სასამართლო პრაქტიკიდან,

განაჩენი გამოტანილ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2018 წლის 24 სექტემბერს. სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ ზ-მა ჩაიდინა ადევნება. ე.ი არასასურველი კომუნიკაციის დამყარება და სისტემატური განზრახი ქმედება, რამაც გამოიწვია პირის მიმართ ძალადობის გამოყენების საფუძვლიანი შიში, ტანჯვა და პირს შეუქმნა ცხოვრების წესის მნიშვნელოვნად შეცვლის რეალური საჭიროება. მანვე ჩაიდინა სიცოცხლის მოსპობის მუქარა, როდესაც იმას ვისაც ემუქრებოდა, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

2018 წლის 11 თებერვლიდან ზ-ი სისტემატურად ამყარებდა არასასურველ კომუნიკაციას ნ-კ სთან. თითქმის ყოველდღე აკითხავდა სამსახურში და მიჰყვებოდა სახლამდე, რა დროსაც მოითხოვდა მისგან სასიყვარულო ურთიერთობას, თუ არადა ემუქრებოდა რომ მოკლავდა მას. ნ-კ იმისათვის რომ არ შეხვედროდა ზ-ი იძულებული ხდებოდა სამსახურიდან არ გასულიყო და ნათესავისთვის ეთხოვა მიეცილებინა სახლამდე. 2018 წლის 17 თებერვალს დაახლოებით 19:00 თბილისში შეხვდა ზ-ი ნ-კ-ს და დაემუქრა მოკვლით. ამ უკანასკნელმა ეს ფაქტი და გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

სასამართლომ ყოველმხრივ ობექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებები, შეაფასა თითოეული მათგანი, აგრეთვე მრალდებულ ზ-ი ის დამნაშავედ ცნობისათვის საკმარისობის თვალსაზრისით, სასამართლოში წარდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით- დაზარალებულ ნ-კ და მოწმეების დახმარებით, გონივრულ ეჭვს მიღმა

სტანდარტით დადასტურებულად მიიჩნია ზ-ი მიერ საქართველოს სსკ-151 1 მუხლის 1-ლი ნაწილით ქმედების ჩადენა.<sup>20</sup>

### დასკვნა

ადევნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და საფრთხის შემცველი ქმედებაა, რომელიც აუცილებლად საჭიროებს სისხლის სამართლის კანონმდებლობათა ყურადღებას. თუ დავეყრდობით კვლევებსა და შედეგებს არ უნდა გაგვიჩნდეს ამ დანაშაულის შემოღების ეჭვი. შესაძლებელია სხვადასხვგვარია ადევნების შემადგენლობა, მაგრამ მათ ელემენტი საერთო აქვთ. ჩვენ გავიზიარეთ ევროპის საბჭოს კონვენცია და ისევე, როგორც ყველა სხვა რატიფიცირებული სახელმწიფოსათვის, ჩვენთვისაც აუცილებელია ყველა საჭირო ზომის მიღება რათა ეს დანაშაული იქნეს აღმოფხვრილი.

---

<sup>20</sup> N1-0174/8302